

## ელენე ახალაია

სუვერის ჭარხლის  
სოკოვანი დაავადებები და  
მათ ფინანსდება ბრძოლის  
ღონისძიებების დასაბუთება  
შიდა ქართლის  
კირობები

F87320  
3



## ელენე ახალაია

სუვრის ჭარხლის სოკოვანი  
დაბავადებები და მათ ტინააღმდეგ  
ბრძოლის ღონისძიებების  
დასაბუთება შიდა ქართლის  
პირობებში

უაკ (UDC) 632.4  
 ა981

ნაშრომში წარმოდგენილია სუფრის ჭარხალზე გამოვლინებული სოკოების სახეობრივი შედგენილობა. პათოგენური სოკო *Phoma betae*-ს გავრცელება, მაცნეობა და ბიოეკოლოგიური თავისებურებები. მისი გავლენა სუფრის ჭარხლის ფოთლებში და ძირზენებში მიმდინარე ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებზე.

დადგენილია ურთიერთკავშირი ნიაღაგის მიკრომიცეტების და სუფრის ჭარხლის დავადებების გამომწვევ სოკოებს შორის. განსაზღვრულია სუფრის ჭარხლის რიზოსფეროს სოკოების რიცხობრივობა. წლის სეზონურ ციკლთან და ნიაღაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებულია ბრძოლის ღონისძიებების სისტემა სუფრის ჭარხლის სოკოვანი დავადებების წინააღმდეგ და შედგენილია რეკომენდაცია წარმოებისათვის, რომელიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღებას, მოსავლის რაოდენობის და ხარისხის გაზრდას. გარემოს დაცვას პესტიციდებით დაბინძურებისაგან.

რედაქტორი: ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი თ. პუპრა შვილი

რევუნზენტები: ბიოლოგის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი ა. შათირი შვილი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა

დოქტორი გ. ყანჩაველი

© ე. ახალაია, 2005

გამომცემულია „ანისალი“, 2005

ISBN 99940-51-15-6

სკო-2000

მემორანული



კ248235

## გესავალი

უხსოვარი დროიდან დღემდე ადამიანი საკვების ძირითად პროდუქციას მცენარეებიდან იღებს. ამან ზელი შეუწყო მცენარეთა გაკულტურებას და სოფლის მეურნეობის განვითარებას. კულტურულ მცენარეებს შორის ბოსტნეული კულტურებიდან მნიშვნელოვანია სუფრის ჭარხალი *Beta vulgaris L.* ჭარხალი მიეკუთვნება კლასი – ორლებნიანები *Dicotyledoneae*, რიგი – ცენტრალურთესლოვანები *Centrospermae*, ოჯახი – ნაცარქათამასებრნი ანუ თათაბოსებრნი *Chenopodiaceae*, გვარი – ჭარხალი *Beta*.

კულტურული ჭარხლის *Beta vulgaris*-ის წინაპრად ითვლება მრავალწლოვანი ჭარხალი *Beta perennis L.* იგი ველურად იზრდება დასავლეთ ევროპის, ატლანტიდის ოკეანის, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე, ამიერკავკასიასა და ყარაფუშში. ველური ჭარხლიდან ადამიანის მიერ გამოყვანილია კულტურული ჭარხალი, რომელსაც ექვთვნის შაქრის, საკვები და სუფრის ჭარხალი. მათ შორის კვებითი ღირებულების მიხედვით გამოიჩინება სუფრის ჭარხალი *Beta vulgaris L.* (კომარნიცია და სხვა, 1973; Красочкин, 1971).

სუფრის ჭარხალი, როგორც ბოსტნეული ჩვენს წელთაღრიცხვამდე 2000-1500 წლის წინ იყო ცნობილი. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს, შაქრებს, მინერალურ და ორგანულ ნივთიერებებს, რაც უდიდეს კვებით ღირებულებას ანიჭებს მას. სუფრის ჭარხალი გამოიყენება საჭმელად, სალათების, ხორციანი კერძების საკმაზად, დასამუავებლად, საკონდიტრო წარმოებაში და სხვა. მისი სამკურნალო თვისებები უტევლესი დროიდან არის ცნობილი. ძველი წელთაღრიცხვის ბერძნ ექიმს, ჰიპოკრატეს მოყვანილი აქვს 10-მდე რეცეპტი ადამიანის სხვადასხვა დაავადებების წინააღმდევ ჭარხლის გამოყენების მიზნით (ჯაფარიძე, კვაჭაძე, 1950; Уников, 1953; Красочкин, 1971).

სუფრის ჭარხალი საქართველოს თითქმის ყველა რაიონშია გავრცელებული და დიდი ყურადღება ექცევა მისგან მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღებას. შიდა ქართლის (მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური) ბუნებრივი კლიმატური პირობები, ხელსაყრელ გარემოს ქმნის ამ კულტურის განვითარებისათვის.

სუფრის ჭარხლის ზრდა-განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს მასზე განვითარებული სოკოვანი დაავადებები, რომლებიც აზიანებენ:



ფოთლებს, ფესვებს, მირხვენებს, საყვავილე ღეროს, ფავილებს და თუხლებას სხვადასხვა სოკოებით გამოწვეული დაავადებებით დიდ ზარალს იწვევს. ისინი ამცირებენ მოსავალს, აქვეითებენ პროდუქციის ხარისხს და უკარგავენ კვებით ღირებულებას.

უკანასკნელ წლებში აგროცენოზებში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, აქტუალური პრობლემაა: პათოგენური მიკობიოტის გამოვლენა, მათი ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა, გარემოს დაცვის და ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღების მიზნით, დაავადებების წინააღმდეგ უსაფრთხო ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება.

სუფრის ჭარხლის მიკობიოტის გამოვლინება, პათოგენური სოკო *Phoma betae*-ს გავრცელების, მავნეობის და ბოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა მცხარის ფენოლოგიურ ფაზებთან დაკავშირებით, საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარების ოპტიმალური ვადები. ღონისძიებების სწორად შემუშავება ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მიღებას, მოსავლის რაოდენობის და ხარისხის გაზრდას. პესტიციდებით გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებას.

კვლევის საუცხველზე მიღებული შედეგები მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს საცდელ მეურნეობებს და ფერმერებს ჭარხლის სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლაში ეფექტური შედეგების მისაღწევად და ეკოლოგიურად სუფთა მოსავლის მისაღებად.

## სუვრის ჭარხლის მიკობიოტა შიდა ძართლის პირობებში

ჭახლის სოკოვანი დაავადების შესახებ ცნობებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მკვლევართა შრომებში ვხვდებით. ჯერ კიდევ 1898 წელს პ. საკარდოს (Saccardo, 1898) ჭარხალზე აღნიშნული აქვს 52 სახეობის სოკო. ა. ალეშერს (Allecher, 1901) – 12, გ. ლინდაუს (Lindau, 1910) – 7, ნ. დიდიკეს (Diedike, 1915) – 3, ა. ასჩევსკის (Ячевский, 1930) – 23, გ. გროვეს (Grove, 1935) – 3, ი. ლიაკოვას (Дьякова, 1969) – 46, 6. პიდოპლიჩკოს (Пидопличко, 1978) – 40. ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში 1978 წლისათვის ჭარხალზე სულ აღრიცხული იყო 155

## სახეობის სოკო (Указатель возбудителей болезней с/х растений, 1978)

ჭარხლის დავადების გამომწვევი სოკოები გამოვლენილი და შესწავლილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში: ამერიკა, (Bugbee, 1975; Bugbee, Soine, 1974; Herr, 1988; Leach, MacDonald, 1986), ინგლისი (Carnegie, Cameron, 1991), გერმანია (Kohl, Schlosser, 1989; Horn, Haecker, Stolle, 1991), საფრანგეთი (Chariet, Pamparaj, Torcheus 1986; Vergnaud, 1987), იტალია (Frisullo Salvatore, Contesini Annamaria, 1989), იაპონია (Chikuo Yoshiaki, Sugimoto Tochija, 1989; Hyakumachi Mitsuro, 1991; Uchino Hirokatsu, Kanzawa Katuichi, 1988), ინდოეთი (Waraitch, Kanwer, Kumar, 1986; Upadhyay, Mukhopadhyay, 1988; Sharma Bhimsen, Pathak, 1991), ეგვიპტე (Zayst, Ashour, Abdel, Moit, 1986), პოლონეთი (Grzelak, Stefanowska, 1987; Kowalik, 1989, 1990), ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში (Жорженко, 1982, 1987; Топоровская, 1971, 1988; Ковбасюк, 1985; Бабченко, Беляева и др., 1989; Собченко, 1989; Загурский, Альховская, 1990; Шендрік, Запольська, 1998 და სხვ.).

საქართველოში ჭარხალზე პირველი მიკოლოგიური გამოკვლევების შესახებ ცნობებს ვხვდებით ვ. სემაშქოს (Семашко, 1915), ი. ვორონიცის (Воронов, 1915; 1922-23), ბ. ვორონინის (Воронихин, 1916, 1918), ს. ისარლიშვილის (Исаарлишвили, 1940), ი. შოშიაშვილის (1940), ლ. ყანჩაველის (1942, 1987), ლ. ყანჩაველი, მ. მელიას (1956), ა. მელიას (1969), ა. ბადრიძის (1969), ი. ნახუცრიშვილი, ი. მურვანიშვილი, მ. ბადრიძის (1970), ო. მაინძის (1997) და სხვა აკტორთა შრომებში. მათ შიერ ჭარხალზე აღნიშნულია ზოგიერთი სახეობის სოკო, რომელიც კვლევის დროს შეხვედრიათ და შემთხვევით ხასიათს ატარებს.

საქართველოში პირველი სპეციალური გამოკვლევები ჭარხალზე ჩატარებული აქვს ს. ისარლიშვილს (Исаарлишвили, 1940). მას შიდა ქართლის პირობებში, ჭარხლის აღმონაცენებზე, ფოთლებზე, ძირხვენებზე მინდორში და შენახვის პირობებში გამოვლენილი აქვს 30-მდე სახეობის სოკო. მიკოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე, მ. ბერიანიძეს (Берianiძე, 1978) ჭარხალზე გამოვლენილი 15 სახეობის სოკოდან სრულყოფილად აქვს შესწავლილი, ჭარხლის ფოთლების ლაქიანობის გამომწვევი სოკო *Cercospora beticola*, მისი გავრცელება, მავნეობა და



ბიოეკოლოგიური თავისებურებები. აღწერილი აქვს ჭარხალზე გამოვლენილობა სხვადასხვა ანომალიები, ვირუსეული და ბაქტერიული დაავადებები.

უკანასკნელ წლებში, ლ. წივილაშვილმა (2001), შიდა ქართლის პირობებში შეისწავლა სარეველა მცენარეების გავლენა შექრის ჭარხლის დაავადებების გამომწვევ 4 სახეობის სოკოზე.

სუფრის ჭარხლის ხანგრძლივი სელექციის შედეგად გამოყვანილია მრავალი ჯიში. მათ შორის შიდა ქართლის ზონაში დარაიონებულია სუფრის ჭარხლის ჯიშები: “ბორდო 237”, “გორული ერთოუტი” და “ღვუსემინაია”. სოფლის მეურნეობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან კულტურაზე მრავალი სოკოვანი დაავადება ვითარდება, რომელიც დიდ ზიანს აყნებს მას. 1998-2001 წწ. შიდა ქართლის პირობებში ჩატარებული მარშრუტული გამოკვლევების შედეგად სუფრის ჭარხალზე ჩვენს მიერ გამოვლენილი სოკოების სიახ, თან ახლავს მოკლე დიაგნოზები, მოპოვების აღილის და დროის ჩვენებით. ჩვენი მასალები შევსებულია საქართველოში ჭარხლის მიკობიოლის შესახებ არსებული ლიტერატურული მონაცემებით.

სოკოები დაღაგებულია თანამედროვე სისტემატიკის (Мюльер, Леффлер, 1995) მიხედვით.

საქართველოში სუფრის ჭარხალზე ჩვენს მიერ პირველად გამოვლენილი სოკოები აღნიშნულია წერტილებით (\*\*).

## კლასი Oomycota

1. *Aphanomyces cochlioides* Drechs. (Былай и др., 1988:24; Исаарлишвили, 1940:215; Бернаниძе, 1977:77).

უფერული, სქელგარსიანი, დატოტვილი მიცელიუმის ტოტებზე განვითარებულია გრძელი, არათანაბარი სისქის, თავში შევიწროებული ზოოსპორანგიუმები. პირველადი ზოოსპორები გრძელი ფორმისაა. ცისტის დიამეტრი 5-17 მკმ-ს ტოლია. მეორად ზოოსპორებს ორი გვერდითი წამწამი აქვს განვითარებული. მიცელიუმის მოკლე გვერდით ტოტებზე გნევითარებულია სფერული ფორმის, არათანაბარი გარსის მქონე უფერული ან მოყვითალო ფერის ოოგონიუმები. სფერული ფორმის ოოსპორების დიამეტრი 16-24 მკმ-ს ტოლია. ანთერიდიუმი, მოღუნული თითისტარისებური ფორმისაა, ზომით 5-9×8-30 მკმ.


დაავადებული აღმონაცენების ფესვის ყელი ვიწროვდება, თბილასთან ერთად მუქდება და შავდება. მცენარე სუსტდება და ჭრდება. დაავადებული მცენარე თუ გადარჩა, მიხვან ვითარდება დაქნინებული, დეფორმილებული ძირხვენა.

- გორი, ტყვიავი, კერძო პირის ნაკვეთები 12-05.1999. ე. ახალაძა.
- კასპი, ლუესი 20.06.2000 ე. ახალაძა.

*2. Pythium de bariatum Hesse. (Былай и др., 1988:24; Исаарлишвили, 1940:215; Берианиძэ, 1977:77; Ф.С.Р.Г\*. 1986:297).*

ერთუჯრედიანი მიცელიუმის ჰიფები დატოტვილია, იშვითად დატიხრული. სფერული ფორმის ზოოსპორანგიუმის დიამეტრი 16-24 მკმ-ია. გლუვზედაპირიანი ოოგონიუმი ჰიფის წვეროზე ან ინტერკალარულად არის განვითარებული. მრგვალი ფორმის, 15-26 მკმ. დიამეტრის ოოგონიუმზე 1-დან 6-მდე ანთერიდიუმი ვითარდება. ოოსპორები გლუვია, მრგვალი ფორმის, ზომით 12-20 მკმ დიამეტრის.

აავადებს სუფრის ჭარხლის აღმონაცენებს. დაავადებული ფესვის ყელი ვიწროვდება, შავდება (სურათი 1). მცენარე ზრდაში ჩამორჩება, ფვითლდება, ჭრდება და იღუპება. გადარჩნილი მცენარეების ძირხვენები დეფორმი-



*სურათი 1. საღი (1) და სოკო *Pythium de bariatum*-ით დაავადებული აღმონაცენი (2)*

\* Флора споровых растений Грузии


ლებულია და დაკნინებული. მირხვენები ცუდად ინაჟება და წარმოადგინება ლპობის მირითად მიზეზს შენახვის პირობებში.

- გორი, ტყვიავი, კერძო ნაკვეთი 10.05.2000, ე. ახალაია.
- ქარელი, 3.04.2001, ე. ახალაია, 17.04.2001, თ. კუპრაშვილი.

*3. Peronospora farinosa (Fr.) Fr. un. Peronospora schachtii Frank. (Бытай и др., 988:24; Исаартишвили, 1940:215; Берианидзе, 1977:77).*

კონიდიათმტარები ჯგუფურად გამოდის დაავადებული ფოთლების ბაგეებიდან. კონიდიათმტარები დიქოტომიურად არის დატოტვილი. ელიფსური ან კვერცხისებური ფორმის კონიდიუმები კონიდიათმტარზე მიმაგრების ადგილას ოდნავ წაწვეტებულია. ზომით  $20-26 \times 15-18$  მკმ. სქელი, ორშრიანი გარსით დაავარული ოოსპორუბი, სფერული ფორმისაა, მუქი ყავისფერი შეფერილობის.

ავადდება ჭარხლის ახალგაზრდა ფოთლები (სურათი 2). საყვავილე ღეროს წვეროები, თანაყვავილებები, გორგლები. დაავადებული ფოთლების



სურათი 2. ჭარხლი – *Peronospora farinosa* (Fr.) Fr. დაავადებული სუსტის ჭარხლის ფოთლები



ქვედა მხარეზე ვითარდება რუხი ფერის ფიფქი, რომელსაც იღებენ გადაპერავს.

- გორი, ხელთუბანი 19.07.1999. ე. ახალაია. კასპი, ერთაწმინდა 11.06.2001. ქარელი, მოხისი, 22.08.2001, ე. ახალაია.

### კლასი Zugomucota

#### 4. *Rhizopus nigricans Ehrenb.* (Пидопличко, Милько, 1971:34).

კოლონია ქეჩისებურია, დასაწყისში წენგოსფერია, შემდეგში მუქი რუხი ფერისაა, დატოტვილი. სტილოსპორანგიათმტარები სწორმდგომია, სტილოსპორების სვეტი სფერულია 40-120 მკმ. დიამეტრის. სპორანგიოსპორები ელიფსური ფორმისაა ზომით  $3-11 \times 5-9$  მკმ.

- აავადებს ძირზენებს შენახვის პირობებში. თბილისი შ.3.ს. \*\* ბოსტნეულის მაღაზია 02.03.2000, ე. ახალაია.
- გვხვდება თესლის გორგლებზე 13.04.2001. ე. ახალაია, თ. კუპრაშვილი.

#### 5. *Rhizopus oryzae Went. et Prin.* (Пидопличко, Милько, 1971:37)

კოლონია ქეჩისებურია, მუქი რუხი ფერის, სტილოსპორანგიათმატრები სწორია, ოდნავ მოლუნული, მარტივი. სტილოსპორანგიუმის თაღი სფერული ფორმისაა, ზომით  $40-90 \times 40-70$  მკმ. ყავისფერი შეფერილობის სპორანგიოსპორები ელიფსურია, ზომით  $5-8 \times 4-7$  მკმ. მუქი ყავისფერი შეფერილობის.

- აავადებს ძირზენებს შენახვის პირობებში. თბილისი შ.3.ს. ბოსტნეულის მაღაზია 02.03.2000, ე. ახალაია. მცხეთა, კერძო მესაკუთრე 12.03.2000. ე. ახალაია.
- აავადებს სათესლე გორგლებს 4.04.2001, ე. ახალაია.

#### 6. *Mucor parasiticus Bain.* (Пидопличко, Милько, 1971:62).

მიცელიუმი ფაფუკია, ყვითელი შეფერილობის სტილოსპორანგიათმტარები სწორია, ღია ყავისფერი, დატოტვილი. სტილოსპორანგიები სფერული ფორმისაა, თაღი სფერული 16-30 მკმ. უფერული. სპორანგიოსპორები მსხლისებური ფორმისაა, ზომით  $6-8 \times 3-6$  მკმ.

შენიშვნა: — შპს\*\* შეზღუდული პასუხისმეგბლობის საშსახური



- აავადებს ძირზენებს შენახვის პირობებში. თბილისი, საკოლმეურნეოს ბაზარი, 3.03.1999, ე. ახალაია.

### *Mucor silvaticus Hagem. (Пидопличко, Милько, 1971:64).*

მიცელიუმი რუხი ფერისაა. სტილოსპორანგიათმტარი სწორია, უფერული. მარტივი. სტილოსპორანგიები სფეროსებურია. 40-80 მკ. დიამეტრის, გლუვი ზედაპირით. თაღი სფერულია, ღია ყავისფერი შეფერილობის. სპორანგიოსპორები ცილინდრული ფორმისაა, უფერული, ზომით  $4-5 \times 2-3$  მკ.

- აავადებს ძირზენებს შენახვის პირობებში. გორი, ბერბუკი 2.03.1999, ე. ახალაია. გორი, საკოლმეურნეო ბაზარი 11.03.2000, ე. ახალაია.
- გვხვდება თესლის გორგლებზე ნოტიო კამერებში გაღივებისას. 11.03.2001. ე. ახალაია.

### *Mucor mucedo Fres. (Пидопличко, Милько, 1971:78).*

მიცელიუმი ქეჩისებურია, ღია მოყვითალო შეფერილობის, სტილოსპორან-გიათმტარები სწორია, ცილინდრული ფორმის ღია ყავისფერი შეფერილობის, სუსტად დატოტვილი. სტილოსპორანგიები სფერულია. 100-350 მკ. დიამეტრის. გლუვზედაპირიანი, რუხი ფერის. ცილინდრული ფორმისაა, ზომით  $50-200 \times 40-150$  მკ. უფერული. სპორანგიოსპორები ცილინდრული ფორმისაა, ზომით  $7-14 \times 5-7$  მკ.

- აავადებს ძირზენებს შენახვის პირობებში. ხაშური, 3.03.2001, ე. ახალაია.
- თბილისი, საკოლმეურნეო ბაზარი, 12.04.2001, ე. ახალაია.
- გვხვდება თესლის გორგლებზე ნოტიო პირობებში, 12.03.2000, ე. ახალაია.

### *Cunninghamella vesiculosa Misra. (Пидопличко, Милько, 1971:98).*

მიცელიუმი უფერულია, კონიდიამტარები ძაფისფერი ფორმისაა, თავში კვერცხისებური ფორმის გამსხვილებით. ზომით  $20-45 \times 15-35$  მკ. კონდიუმები სფერული ფორმისაა, ზომით 12-16 მკ. დიამეტრის. ღია ყავისფერი შეფერილობის.

- აავადებს ძირზენებს შენახვის პირობებში. თბილისი, შ.კ.ს. ბოსტნეულის მაღაზია. 10.03.2000, ე. ახალაია.
- გვხვდება თესლის გორგლებზე ნოტიო პირობებში. 17.09.2001, ე. ახალაია.


## კლასი Ascomycota

10. *Erysiphe betae* (Vanha) Weltzien. (Ellis, 1985:318) syn. *Erysiphe communis* (Waller) Grew. f. *betae* Jacz. (Хорхряков и др. 1984:169; Билай и др. 1988:48; Воронов, 1922-23:15; Воронихин, 1927:28; მელია, 1953:229; ნაბურ-რაშვალი, 1951:31; მურვანიშვილი, 1956:48; Берианиძე, 1977:68; ბაქრაძე, 1969:56; შაინიძე, 1997:208).

მიცელიუმი თეთრი ფერისაა, აბლაბუდისებური კლეისტოტეციუმი სფერული ფორმისაა, ზომით  $60-160$  მკმ. ღიამეტრის, სხვადასხვა ფორმის დანამატებით. ჩანთები კვერცხისებური ფორმისაა, ზომით  $44-68 \times 28-42$  მკმ. თითოეულ ჩანთაში 6 ასკოსპორა. ასკოსპორა  $18-28 \times 7-12$  მკმ-ს ტოლია. კონიდიუმები ძეწკვებად არის ასხმული.

დაავადებულ ფოთლებზე ვითარდება თეთრი ფერის ფიცქი, რომელიც შემდგეში აბლაბუდის მსგავსი ხდება. ზევიდან ვითარდება მრგვალი ფორმის მუქი შავი ფერის წერტილები, სოკოს კლეისტოკარპიუმები (სურათი 3).

დაავადებულ ფოთლები სუსტდება და ხმება.



სურათი 3. საღი (1) და ნაცრით (2) – *Erysiphe betae* (Vanha) Weltzien დაავადებული სუფრის ჭარხლის ფოთლები



- მცხეთა, წეროვანი 16.08.1999, კასპი, ნოსტე 21.08.1999, გორი ქვებულიშვილი 17.09.2000, ხაშური, სურამი, 17.08.2000, ქარელი, მოხისი, 4.08.2001, ე. ახალაძა.

11. \*\* *Sordaria fimicola* (Rob) Ces. et de not (Смицкая, Смык, Мережко, 1986:107).

პერიტეციუმი მსხლისებური ფორმისაა, 400-480×350-300 მკმ. მუქი ყავისფერი, სქელედულიანი ჰიფისებური გამონაზარდებით. ჩანთა ცილინდრული ფორმისაა 8 სპორით. სპორა ელიფსურია, მუქი ყავისფერი, ზომით 16-20×8-10 მკმ.

- აავადებს საყვავილე ღეროს, გორი, ბერბუქი 14.07.1999. გვხვდება თესლის გორგლებზე. 2000. თ. კუპრაშვილი.

12. \*\* *Chaetomium botrychoides* Zopf. Verh. (Смицкая, Смык, Мережко, 1986:119).

პერიტეციუმი ოვალურია, ზომით 200-280×100-220 მკმ. წენგოსფერ-ყავისფერი, რომელიც დაფარულია სწორი ან ბოლოში სპირალურად დახვეული დანამატებით. ჩანთები ქინძისთავისებურია, ზომით 48×10 მკმ. 8 სპორიანი, გვხვდება თესლის გორგლებზე. 4.03.2001, თ, კუპრაშვილი, ე. ახალაძა.

13. *Whetzelinia sclerotkrum* (lib) d. By. Cuh. *Sclerotinia sclerotiorum* (lib.) de By., *S. liberiana* Funk., *S. xompactum* D.C. (Биглай и др. 1988:51)

აპოტეციუმი ძაბრისებური ფორმისაა, ღია წაბლისფერი, ჯგუფებად შეკრებილი, ჩანთები ცილინდრული ფორმისაა, ზომით 120-130×8-10 მკმ. ასკოსპორები ელიფსური ფორმისაა, ერთბირთვიანი, ზომით 8-11×4-6 მკმ.

- აავადებს ჭარხლის ძირხვენებს, (სურათი 4)  
სათესლე ღეროებს. დაავადებულ ორგანოებზე ვითარდება თეთრი ფერის, ფეხვირი მიცელიუმი, რომელიც იჭრება ქსოვილებში, ქსოვილი რბილდება და ლპება.
- გორი, ტყვიავი, 3.09.1999, ახალდაბა, 14.08.1999, ე. ახალაძა, მცხეთა, წეროვანი 17.08.2000. ე. ახალაძა.



სურათი 4. სოფ. Wertzelinia sclerotitum  
(Lib) d By.-ით დაავადებული  
ძირხვენა

## კლასი Basidiomycota

14. *Uromyces betae* (Pers.) Kühn. (Билай и др. 1988:76; Исаарлишвили, 1940:215; Мелия, 1969:8; შაინიძე, 1997:209).

სპერმოგონიები ვითარდება პატარა, 150 მკმ, დიამეტრის, მრგვალი ფორმის კედელებად, ეცილები ფოთლების ქვედა მხარეზე ყვითელი ფერის ლაქებზე განლაგებული. ეცილოსპორუები დაკუთხული ფორმისაა, ზომით  $16-25 \times 15-20$  მკმ. მოყვითალო-ნარინჯისფერი შეფერილობის ურედინიები ფოთლის ორივე მხარეზე ვითარდება და წრიულად არიან განლაგებულნი ეპილერმისის ქვეშ. ურედისპორუები ფანგისფერი, მოწითალო შეფერილობისაა, მრგვალი ფორმის ხორკლიანი გარსით, ზომით  $21-35 \times 116-24$  მკმ.

დაავადებული ფოთლების ზედაპირზე ვითარდება წვრილი, ყავისფერი წერტილები სპერმოგონიები, ხოლო ქვედა მხარეზე ჩაღრმავებული ფორმის ეცილები. (სურათი 5). დაავადება ვლინდება ფოთლებზე, ფოთლის ყენწე, ღეროზე და თესლის გორგლებზე.



სურათი 5. ფანგითი — *Uromyces betae*  
(Pers.) Kunh-ით დაავადებული  
სუფრის ჭარხლის ფოთლები

- გორი, ძევერა, 13.08.1998, მცხეთა, მუხრანი 17.09.2000, ტბილისი, ქარელი, რუისი, 16.08.2001, ე. ახალაია, თ. კუპრაშვილი.

## კლასი Deuteromycota

### 15. *Rhizoctonia aderholdii* (Ruhh.) Kolosh. (Билай и др., 1988:86).

მიცელიუმი ქეჩისებური, მურა, წაბლისფერია, ერთმანეთთან გადახლართული მიცელიუმის ჰიფები წარმოქმნის სკლეროციებს. განსხვავებული ფორმის და ზომის უჯრედები ერთმანეთზე ძეწკვებადა ასხმული.

ავადებს ჭარხლის აღმონაცენებს, ძირხვენებს. დაავადებული აღმონაცენების ფესვის ფელი ვიწროვდება, შავდება, მცენარე სუსტდება, ჭერება და ზმება (სურათი 6). დაავადებული ძირხვენების ეპიდერმისი სკდება და ლპება.

- მცხეთა, 13.03.1998, ერევა 15.05.1999, ქარელი, რუისი, 28.09.2000, ე. ახალაია.

### 16. *Rhizoctonia violaceae* Tul. *Rh. craccorum* (Pers.). *D.C. Rh. medicaginis* D.C. (Билай и др. 1988:87; Исаарлишвили, 1940:216; Ф.С.Р.Г., 1986:671).

კოლონია თასმისებური ფორმისაა, წაბლისფერი შეფერილობის. მიცელიუმი მრავალუჯრედიანია, დატოტვილი, მრავალრიცხოვანი სკლეროციებით.



სურათი 6. ხალი (1) და სოკო *Rhizoctonia aderholdii* Ruhh.-ით დაავადებული (2) სუფრის ჭარხლის აღმონაცენები



ჭარხლის აღმონაცენტრის დაავადების დროს უესვის ყელი ვიწრო შეფარგვებისაა მუქდება, მცენარე ჭკნება და იღუპება.

დაავადებულ ძირხვენებზე ვთარდება ჩაღრმავებული ლაქები ზევიდან წაბლისფერი მიცელიუმით. მიცელიუმი იჭრება ქსოვილებში და ძირხვენას ალპობს.

- გორი, ქიშნისი, 4.05.1999, ძევერა, 13.02.1999, ე. ახალაია.

17. *Sclerotium bataticola* Taub. (Билай и др., 1988:87; Исаарлишвили, 1940:214; განჩაველი, 1940:228, 1987:412; Цанава, 1974:68).

მიცელიუმი მრავალუჯრედიანია, სქელგარისიანი, ყავისფერი შეფერილობის, სხვადასხვა ფორმის სკლეროციების დიამეტრი 50-150 მკმ-ს ტოლია.

დაავადებულ ძირხვენებზე ვთარდება შშრალი, რუხი ფერის, მცირე ზომის დამსკდარი ლაქები. დაავადებული ქსოვილი განევებულია, გამუქებული.

- გორი, ხელთუბანი, 14.03.2000, ე. ახალაია.

**შენიშვნა:** ჭოფილ სსრკ-ში პირველად შაქრის ჭარხალზე 1934 წელს აღინიშნა ე. ერისთავის მიერ (Исаарлишвили, 1940).

18. *Oospora betae* Delacr. (Билай и др., 1988:87; Исаарлишвили, 1940:215).

გართხმული თეთრი ფერის მიცელიუმი წარმოქმნის ბალიშისებურ ხლართებს. კონიდიათმტარები არა აქვს. მიცელიუმის პიფები იშლება ცილინდრული ფორმის უფერულ ოიდიებათ, რომლებიც ძეწვებს წარმოქმნან. ოიდიების ზომა  $4-16 \times 4-4,5$  მკმ.

აავადებს ფოთლებს, ძირხვენებს შენახვის პირობებში.

დაავადებულ ძირხვენებზე ვთარდება მუქი ფერის ცალკეული ბორცვები. დაავადებული ქსოვილი მუქდება და იქერცლება შრეებად.

- ხაშური, ახალდაბა 11.08.1999, ე. ახალაია, სურამი, 1.09.2001, ე. ახალაია, გორი, ტყვიავი, 9.09.2000, ე. ახალაია.

19. \*\* *Oedocephalum beticola* Oud. (Пидопличко, 1977:41; Билай и др., 1988:92).

გართხმული მრავალუჯრედიანი მიცელიუმი მუქი რუხი შეფერილობისაა, სწორმდგომი, მარტივი კონიდიათმტარები ბოლოში მრგვალი, სფერული



ფორმისაა. ზომით  $30 \times 32$  მკმ. კონიდიუმები მრავალრიცხოვნია, ჯუჭულული ცილინდრული ფორმის, ზომით  $8 \times 32$  მკმ. შეკრებილია თავაკებად.

დაავადებულ ძირწვენებზე ვითარდება ქეჩისებური, ღია შეფერილობის მიცელთუმი, რომელიც იჭრება ქსოვილში. ქსოვილი იშლება, წარმოიქმნება დარუბი, რომელიც ამოვსებულია მთლიანად სოკის მიცელთუმთ (სურათი 7).

- გორი, ხელთუბანი, 12.02.1998, ე. ახალაია, ბერბუკი, 9.01.2000, ე. ახალაია.



სურათი 7. ხელი *Oedocephalum beticola*  
Oud-ით დაავადებული ძირწვენა

20. *Nigrospora maydis* (Garov.) Cuh: *Sporotichum maydis* Garov., *Acremoniella occulta* Garov., *Nigrospora gallarum* (Moll) Potlaitchuk, *N. gossypii* Jacz., *N. musae* Mc Len. et Höet., *N. oryzae* (Berk. et Br) Petch. (Пидопличко, 1977:32).

კონიდიუმები ელიფსური ფორმისაა, შავი, ზომით  $10-20 \times 8-15$  მკმ. ვითარდება თესლის გორგლებზე ნოტიო პირობებში.

- თბილისი, 21.10.2001, ე. ახალაია.

21. \*\* *Periconia macrospinosa* Lefeb. et John. (Ellis, 1971:348; Кириленко, 1977:29).

კოლონია მუქი შეფერილობისაა. კონიდიათმტარები ერთეულია, თავში გამობერილი, სადაც დაკვირტვის შედეგად, აკროპეტალურად წარმოქმნილი კონიდიუმები სფერულ თავაკს ქმნიან. ისინი ძეწკვებად არიან ასხმული

და აღვილად იშლებიან. კონიდიუმები მრგვალია და ელიფსური ფორმით 18-323-7 მკმ.

გვხვდება სათესლე გორგლებზე ტენიან პირობებში.

- თბილისი, 29.09.2001, ე. ახალაია.

## 22. \*\* *Gliocladium varians Pidopl.* (Пидопличко, 1977:40).

მიცელიუმი თეთრი ფერისაა. მიცელიუმის ჭიმები კონდიათმტარებთან არის გადახლართული. კონიდიათმტარის თავზე, დატოტებული სტერიგმები ფუნჯისებურად არის განლაგებული. კონიდიათმტარების ზომა  $140-200 \times 4-4,5$  მკმ-ია. კონიდიუმები ელიფსური ფორმისაა ზომით  $2-7 \times 2-3$  მკმ. მწვანე შეფერილობის.

მიცელიუმი იჭრება დაავადებული ძირხვენების ქსოვილებში და იწვევს ლპობას.

- თბილისი, საკოლმეურნეო ბაზარი, 11.01.2000, ე. ახალაია.

## 23. *Aspergillus repens D.B. Raper, Fennell.* (Пидопличко, 1977:44).

მიცელიუმი გართხმული ქეჩისებური, მოყვითალო-მომწვანო ფერისაა, დანაოჭებული ზედაპირით. კონიდიათმტარები გლუვზედაპირიანია, თავში გამსხვილებული. სტერიგმები ერთიარუსიანია, ზომით  $7-10 \times 3,5-4,5$  მკმ. კონიდიები კვრცებისებური ფორმისაა. დაგბილული გარსით. ზომით  $4-6$  მკმ.

დაავადებულ ძირხვენაზე გახვდება სხვა სოკობთან ერთად.

- თბილისი, საკოლმეურნეო ბაზარი, 2.04.2001, ე. ახალაია.

## 24. *Aspergillus niger v. Tiegh.*, (Пидопличко, 1977:47; Ellis, 1971:547).

მოთეთრო-მოყვითალო ფერის, ფხვიერი მიცელიუმის პიფებზე განვითარებული კონიდიათმტარები მუქი ყავისფერი შეფერილობისაა, სფერული ფორმის თავაკებით, რომელთა დამეტრი  $45-75$  მკმ-ს ტოლია. სტერიგმები ორ წყებადაა განვითარებული. ქვედა ბაზალური სტერიგმები სხვადასხვა ფორმისაა ყავისფერი შეფერილობის. მეორე იარუსის სტერიგმები ერთნაირია ზომით  $8-10 \times 3-5$  მკმ. კონიდიუმები სფერული ფორმისაა. ზოგჯერ ეკლიანი ზედაპირით. 4-5 მკმ. დიამეტრით.

გვხვდება გორგლებზე ნოტით პირობებში.

- 1999, 2000, 2001, ე. ახალაია.





გველება ძირხვენებზე შენახვის პირობებში სხვა სოკოებთან ურთისაფრთხოება

- ქარელი, რუისი, 13.01.2000, ე. ახალაია; ხაშური, საკოლმეურნეო ბაზარი, 4.05.2000, ე. ახალაია.

### *25 Aspergillus flavus Link., Raper, Fennell (Пидопличко, 1977:47).*

მიცელიუმი მკრთალი, მომწვანო-მოყვითალო ფერისაა, კონიდიალური თავაკებით. კონიდიათმტარები უფერულია, მოგრძო ელიფსური ფორმის, ზომით 25-45 მკმ. სტერიგმები ორ წყებადაა განლაგებული. ბაზალური სტერიგმა ზომით 6-10×4-6 მკმ. კონიდიუმები სფერული ფორმისაა, დაკბილულზედაპირიანი, 3-6 მკმ. დიამეტრით.

გველება ძირხვენებზე შენახვის პირობებში სხვა სოკოებთან ერთად.

- გორი, 20.03.1999, ე. ახალაია.

### *26. Aspergillus nidulans (Fidam), Wint., Raper, Fennell, (Пидопличко, 1977:50).*

მიცელიუმი მოყვითალო-მომწვანო ფერისაა, კონიდიალური თავაკები მოკლეა სვეტისებური ფორმის. კონიდიათმტარები ღია ყავისფერი შეფერილობისაა სფერული ფორმის, 8-10 მკმ დიამეტრის. სტერიგმები ორ წყებადაა განლაგებული. ბაზალური სტერიგმა ზომით 4-5×2-3 მმ-ა. მეორე წყება სტერიგმის ზომა 4-5×2-3 მკმ. კონიდიუმები სფერული ფორმისაა 3-3,5 მკმ. დიამეტრით, ხორკლიანზედაპირიანი, მწვანე შეფერილობის.

გველება გორგლებზე ტენიან პირობებში.


- 3.03.1999, 02.04.2001, ე. ახალაია.
- ძირხვენებზე შენახვის პირობებში.
- თბილისი, შ.პ.ს. ბოსტნეულის მაღაზია, 11.02.2000, ე. ახალაია, ხაშური, 17.03.2001, ე. ახალაია.

### *27. Penicillium spinulosum Thom., Raper, Thom. (Пидопличко, 1977:26).*

კოლონია გართხმულია ფაშარი ქეჩისებური, მკრთალი მწვანე ფერის. მიცელიუმიდან გამოსული სწორმდგომი კონიდიათმატრების სიგრძე 70-90 მკმ. ხორკლიანზედაპირიანი კონიდიუმები სფერული ფორმისაა 3-3,5 მკმ. დიამეტრის.

აავალებს ძირხვენებს შენახვის პირობებში.

- მცხეთა, 3.03.1999, ე. ახალაია; ძალისი, 6.04.2000, ქასპი, იგორეთი, 2.04.2000, ე. ახალაია.

28. *Penicillium luteum* Zukal, Raper, Thom (Пидопличко, 1977:62) 

- მოცელიუმი მოვალეობას განვითაროთ - ნარინჯის ფერია, კონიდიამტარები და ტოტები.
  - კონიდიები ელიფსური ან გვერცხისებური ფორმისაა, ზომით  $2-3 \times 1-2$  მეტრი. ასხმულია მოკლე ძეწკვებად.
  - აავადებს ძირხვენებს შენაძვის პირობებში.
  - თბილისი, საქოლმეურნეო ბაზარი. 3.03.2000, კ. ახალაია.

29. *Botrytis cinerea* Pers. (Ellis, 1971:179; Пидопличко, 1977:64; Семашко, 1915:27; Воронов, 1922-23:33; იმერლიაშვილი, 1968:115; Берianiძე, 1977:88; Ф.С.Р.Г. 1986:485).

კოლონია რუხი ფერისაა. მიცელიუმი სქელგარისიანი, კონიდიათმტარები სწორმდგომია, დატოტვილი, წვრილი გამონაზარდებით. მათზე განლაგებულია მჭიდროდ შეკროვილი კვერცხისებური ფორმის კონიდიუმები ზომით  $9-15 \times 6,5-10$  მკმ. წვრილი სკლეროციები დასაწყისში რუხი ფერისაა შემდეგ შავფეხა.

დაავადებულ ძირზენებზე ვითარდება ჩაღრმავებული ლაქები, ზევიდან მოთეთრო-მოყვითალო შეფერილობის გამბისებური მიცელიუმით. მიცელიუმზე ვითარდება მუქი რუხი ფერის მიკროსკოპული ზომის სტანდაროვანები.

აავადებს ძირხვენებს შენახვის პირობებში (სურათი 8).

- გორი, 3.03.1988, 12.02.2000, თბილისი, მ.3.ს. მაღაზია. 4.02.2000, 23.03.2001, ქ. ახალიათ.

სუკინთი 8. ხოეთ *Botrytis cinerea*  
Pers.-ით დაავალებული  
ძირზე ვნა





30. *Trichoderma viride* Pers., *Rifai*, syn: *Trichoderma lignorum* Tode Tr.  
*truncorum* Bain. (Пидопличко, 1977:77; Котетишвили, 1984:78;  
 მელაძე, კოტეტიშვილი, 1988:12).

მიცელიუმი დასაწყისში თეთრია, შემდეგში მუქი მწვანე შეფერილობისაა. კონიდიამტარები დატოტვილია, რომელზედაც ერთმანეთის მოპირდაპირები არის განლაგებული პატარა გვერდითი შტოები. სტერიგმები ერთეულია ან ჯგუფებად შეკრებილი. ზომით  $8-14 \times 2,4-3$  მკმ. ოდნავ მოღუნული. კონიდიუმები სფერული ფორმისაა. ზომით  $4-4,8 \times 3,5-4$  მკმ.

გვხვდება ძირზენებზე ზედაპირულად.

- ხაშური, 24.09.1999, ე. ახალაია; გორი, 3.09.2000, ე. ახალაია.

31. *Trichothecium roseum* Link. (Пидопличко, 1977:40; Билай и др.  
 1988:108).

მიცელიუმი პაეროვანია, აბლაბუდისებრი. კონიდიათმტარები სწორშდგომია, ცილინდრული ფორმის, ზომით  $120-130 \times 4-5$  მკმ. კონიდიუმები მსხლისებური ფორმისაა, ორუჯრედიანი, ღია ვარდისფერი შეფერილობის. მასაში ვარდისფერია. შეკრებილია თავაკებად. კონიდიუმების ზომა  $10-22 \times 7-10$  მკმ.

აავადებს ძირზენებს შენახვის პირობებში.

- მცხეთა, 4.04.1999, 13.02.2000, კასპი, 12.01.2000., ხაშური 3.03.2000,  
 თესლის გორგლებზე 12.02.2001, ე. ახალაია.

32. *Verticillium lateritium* Berk. f. *betae* Pidopl. (Пидопличко, 1977:79;  
 Исаарлишвили, 1940:510).

მიცელიუმი ხავერდოვანია, მოწითალო ფერის, კონიდიათმტარები სწორშდგომია, დატოტვილი. გვერდითი ტოტები სოლისებური ფორმისაა, ზომით  $7-14 \times 2-3$  მკმ. კონიდიუმები ცილინდრული ფორმისაა, ზომით  $3,5-4 \times 2-3$  მკმ.

დააგადებული ძირზენები შრება და ხმება.

- მცხეთა, 4.04.1999, 13.02.2000., კასპი, 12.01.2000, ხაშური, 3.03.2000.  
 თბილისი, შ.პ. მაღაზია 12.02.2001, ე. ახალაია.



კონიდიათმატრები შექრებილია ჯგუფებად. კონიდიუმები ცილინდრული ფორმისაა ბოლოში წაწვეტებული, ერთ ან ორუჯრებიანი. ზომით 10-20×3-4 მკმ.

დაავადებული ფოთლების ორივე მხარეზე ვითარდება რუხი ფერის წვრილი, მრგვალი ან სხვადასხვა ფორმის ლაქები. ირგვლივ წითელი ფერის არშით, დაავადებული ფოთლები ხმება.

- მცხეთა, წეროვანი, 17.09.1999, 4.08.2000, კასპი, ივოეთი, 4.09.2000, სამთავისი, 4.09.2000; ხაშური, ახალდაბა, 8.08.2001. ე. ახალაძა.

34. *Cladosporium herbarum* (Pres.) Link., (Ellis, 1971:303; Пидопличко, 1977:107; Билай и др. 1988:117; Ф.С.Р.Г. 1986:526).

მიცელიუმი ხავერდოვანია, წენგოსფერი, კონიდიათმტარები სწორმდგომია. თავში გასქელებული. კონიდიუმები ერთუჯრებიანი ან ერთ ტიხრიანია, ელიფსური ფორმის, რუხი შეფერილობის, ძეწკვებად ასხმული, ზომით 6-20×3-7 მკმ.

აღმონაცენების დაავადებისას ფესვის ყელი ვიწროვდება, მცენარე სუსტდება და ჭინება, მცხეთა, ძალისი 12.05.2000.ე. ახალაძა.

შენახვის პირობებში დაავადებულ ძირხვენებზე ვითარდება სქელი ყავისფერი მიცელიუმი.

- თბილისი, შ.პ.ს. ბოსტნეულის მაღაზია, 12.02.2000., საკოლმეურნეო ბაზარი, 4.03.2001, ე. ახალაძა.

35. *Thielaviopsis basicola* (Berk. et Br.) Ferr., (Ellis, 1971:31; Пидопличко, 1977:102; Шаინიძე, 1997:216).

ხავერდოვანი მიცელიუმი რუხი მომწვანო ფერისაა. კონიდიათმტარების ზომა 50×6-9 მკმ ძეწკვებად ასხმული ართოკონიდიები, მრავალუჯრებიან კონიდიუმებს ჰგავს და ერთად არის შეკრული. ცალკეული კონიდიუმები მოგრძი ან მოკლე ცილინდრული ფორმისაა, თავში მომრგვალებული, მოყავისფრო შეფერილობის, გლუვზედაპირიანი. ზომით 8-12×9-16 მკმ. ფიალიდების შიგნით განვითარებულია ცილინდრული ფორმის ძეწკვებად ასხმული უფერული ფიალოკონიდიები, ზომით 7-17×2,5-4,5 მკმ.

იწვევს ძირხვენების ლაპობას.

- კასპი, 17.03.1999, ქარელი, 4.02.2001, ე. ახალაძა.

*36. Alternaria alternata (Fr.) Keissler, Ellis, Sin. Alternatia tenuis Nees., A. grossulariae Jacz., A. lini Dey* (Ячевский, 1917:308; Ellis, 1971:465; Пидопличко, 1977:171; Билай и др. 1988:123; Исаарлишвили, 1940:215; Бернаниძე, 1977:83).

მიცელიუმი რუხი წენგოსფერია, კონიდიათმტარები ერთეული, სწორმდგომი, იშვიათად დატოტებილი. კონიდიუმები შსხლისებური ფორმისაა. 4-7 განივი და 2-3 სიგრძივი ტიხრებით. იშვიათად მეჭეჭებიანი ზედაპირით. კონიდიუმები ასებულია ძერჯვებად ზომით  $20-40 \times 8-16$  მკმ.

აღმონაცენების დაავადებისას, ფესვის ყელი ვიწროვდება და შავდება. მცენარე იღუპება. დაავადებულ ფოთლებზე ვითარდება შავი ფერის ლაქები ზევიდან ხავერდოვანი ფიფქით.

- გორი, ხელთუბანი, 23.05.1999, ტყვიავი, 17.08.2000, მცხეთა, წეროვანი, 18.08.2000, ხაშური, ახალდაბა 28.08.2001, ე. ახალაძა.

*37. Stemphylium botryosum Wallr. Neergard, Sin. Macrosporium sarcinula Berk. M. commune Robenh., M. parasiticum Thuem., M. aliorum Cooke et Mass., (Ellis, 1971:167; Пидопличко, 1977:183; Билай и др., 1988:124; Воронов, 1915:21; Исаарлишвили, 1957:83; მურვანიშვილი, 1957:83; ჭელიძე, 1971:56; Ф.С.Р.Г. 1986:532).*

მიცელიუმი მუქი ფავისფერია. კონიდიათმტარები სწორმდგომი, თავში ოდნავ გამსხვილებული. კონიდიუმები ერთეული, მეჭეჭებიანი ან ეკლიანი ზედაპირით. მრგვალი კვადრატული ფორმის, შეაში ოდნავ შევიწროებული ჭიმით. 3-8 განივი და 1-6-მდე სიგრძივი ტიხრებით. ზომით  $12-60 \times 6-28$  მკმ. დაავადებული აღმონაცენების ფესვის ყელი ვიწროვდება, შავდება, აღმონაცენა იღუპება. ძირხვენაზე ჩნდება ჩაღრმავებული ლაქები ზევიდან მუქი ფავისფერი ფიფქით.

- მცხეთა, ნიჩბისი 12.05.1999. თბილისი, საკოლმეურნეო ბაზარი, 21.02.2000. ე. ახალაძა.



38. *Heterosporium betae* Dowson. (Пидопличко, 1977:144; Исаарлишвили, 1940:215; Шаабодж, 1997:210).

მიცელიუმი რუხი ფერისაა. კონიდიათმტარები ცილინდრული ფორმის, ზომით  $13-24 \times 6-12$  მკმ. 2-3 განივი ტიხრით. შეკრებილია მოკლე ქეწკვებად. დაავადებულ ფოთლებზე ჩნდება მუქი რუხი ფერის ლაქები.

- ქარელი, მონისი 17.08.2000, ე. ახალაია.

39. *Helminthosporium solani* Dur. et Mont. sin. *Spondylocladium atrovirens* (Herz) Harz et Sacc. (Ellis, 1971:390; Исаарлишвили, 1940:215).

კონიდიათმტარები მარტივია ზომით  $600 \times 9-5$  მკმ. კონდიუმები თითისტარისებურია  $2-8$  ცრუ ტიხრიანი, ზომით  $22-60 \times 6-10$  მკმ. ყავისფერი შეფერილობის.

დაავადებული აღმონაცენების ფესვის ყელი ვიწროვდება, შავდება, მცენარე ჭერება და იღუპება. ფოთლებზე ვითარდება ყავისფერი ლაქები, ირგვლივ მუქი ფერის არშიით.

- ხაშური, სურამი 8.05.2000. ქასპი, ოკამი 3.04.1999. მცხეთა, მუხრანი 10.08.2001, ე. ახალაია.

40. *Cercospora beticola* Sacc. Syn: *Cercospora betae* (Rabenh) Frank (Василевский, Каракулин, 1977:114; Пидопличко, 1977:114; Билай и др., 1988:135; Ellis, 1971:278; Ф.С.Р.Г. 1988:514).

კონიდიათმტარები ყავისფერია, უტიხრო. დაკბილული კონიდიუმები უფერული, ქინძისთავისებური, მრავალრიცხოვანი ტიხრებით, ზომით  $30-360 \times 3-5$  მკმ.

დაავადებულ ფოთლებზე, ღეროზე ვითარდება რუხი ფერის ლაქები ყავისფერი წითელი ფერის არშიით, რომელიც ზემოდან იფარება რუხი ფერის ფიფქით. სოკოს ნაყოფიანობით.

გავრცელებულია შიდა ქართლის ყველა რაიონში.

- მცხეთა, გორი, ქასპი, ქარელი, ხაშური 1999-2001 წლები, ე. ახალაია.

41. *Fusarium oxysporum* Sl. var *orthoceras* (App. et Wr.) Bilai (Пидопличко, 1977:261; Исаарлишвили, 1940:215).

მიცელიუმი დაბალი, აბლაბულისებური, თეთრი, ბაცი ვარდისფერი



შეფერილობისაა. პირნეტებად შეკრებილი მაკროკონიდიები ნამდვიუმციფრული ფორმისაა. 3-5 ტიხრიანი ზომით  $20-40 \times 3-5$  მეტრი.

აღმონაცენტების ფესვის ყელი ვიწროვდება, მცენარე ჭერება.

დაავადებულ ძირხვენებზე ჩნდება ჩაღრმავებული ადგილები ზევიდან მოვარდისფერო შეფერილობის ფიფქით. დაავადებული ძირხვენა ჭერება, ტენიან პირობებში კი ლპება.

- ხაშური, სურამი 15.05.2000. მცხეთა, საგურამო, 23.06.2000. კასპი, ოკამი, 17.02.2000. გორი, ბერბუკი 17.03.2001. ქ. ახალაია.

*42. Fusarium gibbosum var acuminatum (Ell et Ev.) Bilai Syn: F. scirpi Lamb. et Fautr. var acuminatum (El. et Ev.) Wr., F. scirpi Lamb. et Fautr. var. filiferum (Preuss) Wr., (Билай, 1977:187; билай и др., 1988:152; Исаарлишвили, 1940:215; Бернаниძე, 1977:46; წიგლიაშვილი, 2001:8; ახალაია, 2001:88).*

კოლონია დასაწყისში ღია ვარდისფერია, შემდეგ მუქი ყავისფერია, აბლაბუდისებური. პირნეტებად შეკრებილი მაკროკონიდიუმები ნამდვიუმციფრული ფორმისაა, 5 ან 6 ტიხრიანი, ზომით  $20-60 \times 3-6$  მეტრი. მიკროკონიდიები წვრილია, 1 ტიხრიანი ან უტიხრო, ოვალური ფორმის.

აღმონაცენტების დაავადების დროს ფესვის ყელი ვიწროვდება და ლპება. დაავადებულ ძირხვენებზე ვითარდება ნარინჯისფერი მიცელიუმი. ძირხვენა ლპება.

გვხვდება ძირხვენებზე.

- ხაშური 2.02.1999. თბილისი, საკოლმურნეო ბაზარი 17.03.2001. ქ. ახალაია.

*43. \*\* Epicoccum neglectum Desm. (Lindau, 1910:597; Ellis, 1971:72; Пидопличко, 1977:251; Ф.С.Р.Г. 1988:540).*

სარეცელი სფერული ფორმისაა, ბალიშისმაგვარი, მოშავო ყავისფერი ქონდათმტარები მოკლე 2-4 მეტრი. სიგრძის. კონიდიუმები მრგვალია მუქი შავი ან ყავისფერი შეფერილობის, მეჭეჭისებური გარსით.  $12 \times 21$  მეტრი დიამეტრის.

დაავადებული ჭარხლის გორგლებზე შეინიშნება წვრილი შავი წერტილები. გამხმარ ფოთლებზე განვითარებულია ხავერდოვანი, ხახევრად სფერული ფორმის მოშავო-ყავისფერი ბალიშის მაგვარი სარეცელები.



- გამსმარ ფოთლებზე, მცხვეთა-ძალისი, 16.08.1998, ქუდვა, 21.08.2000 გორგლებზე 21.02.1999, 18.03.2000., 3.03.20001. ე. ახალაია.

**44. \*\* *Gloeosporium betae Dearn. et Barth.* (Пидопличко, 1977:219).**

სარეცელი ოდნავ ამობურცულია, მუქი ყავისფერი შეფერილობის, კონდიდათმტარები მოკლეა, ცილინდრული ფორმის. კონიდიუმები პერცნისებური ფორმისაა. მრავალრიცხოვანი. ერთად ლენტისებურ ფორმას ქმნიან. კონიდიუმების ზომა  $4-6 \times 3-4$  მკმ-ს ტოლია.

დაავადებულ ფოთლებზე ვითარდება მრგვალი ფორმის, მუქი რუხი ფერის, 6-19 მმ. დამტეტრის ზონალური ლაქები.

- ხაშური, 17.06.1999. კასპი, ერთაწმინდა 10.07.1999. გორი, ტყვიავი 4.07.2000. ქარელი, ქვენატკოცა 16.08.2000, ე. ახალაია.

**45. \*\* *Cylindrosporium sp.***

კონდიდათმტარები ცილინდრული ფორმისაა, 20-30 მკმ-ს ტოლი. კონიდიუმები ერთუჯრედიანია, ერთეული, უფერული, ძაფისებური, ცილინდრული ფორმის, სწორი, ზომით  $18-30 \times 3-6$  მკმ. ღია ფერის სარეცელი ბალიშისებური ფორმისაა და ოდნავ ამობურცული.

დაავადებულ ფოთლებზე ვითარდება არათანაბარი ზომის, მოყვითალო ფერის 250-300 მკმ. დამტეტრის ლაქები, ირგვლივ მუქი რუხი ფერის არშიით. ფოთლების ეპიდერმისა სკდება და მრგვალრიცხოვანი კონიდიუმები ლორწოვან მასას ქმნიან.

აავადებს ახალ აღმონაცენებს 3-4 ფოთლის ფაზაში. იწვევს ფესვის ყელის შევისწროებას, გაშავებას და მცენარეების ჭკნობას.

**46. *Phoma betae* Frank Sin: *Phoma sphaerocarpa* Rostr. *Phyllosticta betae* Oud. *P. tabifica* Prill (Билай и др., 1988:200; Sutton, 1980:380; Исаарлишвили, 1940:215; ბაღრიძე, 1978; Берианиძე, 1977:68; Ф.С.Р.Г. 1986:528; შაინიძე, 1997:204; წიგილაშვილი, 2001:42).**

მუქი ყავისფერი, მოშაო ფერის პიგნიდიუმები სფერული ფორმისაა, რომლის დამტეტრი 100-400 მკმ-ს ტოლია. კონიდიუმები ოვალური ან პერცნისებური ფორმისაა, ერთი ან ორი ცხიმის წვეთით. ზომით  $4-6 \times 2,5-3$  მკმ. მომწიფებული მრავალრიცხოვანი კონიდიუმები, ლორწოვანი მასის სახით ლენტისებურად გამოდიან პიგნიდიუმების პორუსიდან.



დაავადებული აღმონაცენტრის ფესვის ყელი ვიწროვდება, გამოვლენა  
მცენარე სუსტდება და ჭკნება.

დაავადებულ ფოთლებზე, ღეროზე, ძირხვენებზე და გორგლებზე  
ვითარდება მუქი ფერის ლაქები, ზევიდან შავი წერტილები – პიკნიდები.

- მცხეთა, ნიჩბისი 27.09.1999, წეროვანი 20.04.1998, ერედვა  
10.08.2000, კასპი, კავთისხევი 7.08.2000, გორი, ტყვიავი 12.05.1999,  
ბერბუკი 1.09.2000, ტინისხიდი, 3.04.2001, ქარელი, ქვენატკოცა  
14.09.2000, ხაშური 8.08.2000, ე. ახალაია.

47. *Ascochyta betae* Fr. et Del. (Билай и др., 1988:213; Хохряков и др.,  
1984:167; Исаарлишвили, 1940:215; შაინიძე, 1997:219).

პიკნიდიუმები შავი ან მუქი წენვოსფერია, მრგვალი ფორმის, 120-130  
მკმ. დიამეტრის, სპორები ოვალური, იშვიათად ცილინდრული ფორმის,  
ერთ ტიხერიანი, სწორი ან ოდნავ მოღუნული ზომით  $9-15 \times 2-3$  მკმ.  
დაავადებულ ფოთლებზე ვითარდება მრგვალი ფორმის, მოღუნული, მუქი  
წაბლისფერი ლაქები, ზევიდან შავი წერტილებით. თესლის გორგლებზე  
ვითარდება შავი წერტილები სოკოს პიკნიდები.

- გორი, ბერბუკი, 30.08.1998; ხელთუბანი, 17.08.1998; ქარელი, მოხისი  
8.08.2000, ხაშური, ახალდაბა 28.08.2001.

48. *Septoria betae* West. (Хохряков и др., 1984:167; Тетерешкова-Бабаян, 1987:169;  
Воронов, 1922-23:28; Исаарлишвили, 1940:78; Берианиძე, 1977:68).

პიკნიდები სფერული ფორმისაა, 60-65 მკმ. დიამეტრით. შავი ფერის,  
კონიდიუმები ძაფისებურია, სწორი ან ოდნავ მოღუნული, მნიშვნელოვანი  
ტიხერებით. ზომით  $18,2-28,4 \times 19,2-2,8$  მკმ. მრავალრიცხოვანი ცხიმის წვეთებით.

დაავადებულ ფოთლებზე ვითარდება თეთრი ფერის ლაქები ინგვლივ ყავისფერი  
არშიათ, ზევიდან განვთარებულია შავი წერტილები, სოკოს პიკნიდები.

- მცხეთა, ნიჩბისი, 16.08.1999, 28.09.2000, კასპი, ივნეთი 7.09.2001,  
გორი, ტყვიავი, 3.08.2000, ქარელი, რუისი 7.09.2001, ხაშური,  
ახალდაბა 8.08.2001, ე. ახალაია.

49. \*\* *Camarosporium betae* (Хохряков и др., 1984:167; Кирilenko, 1977:43).

სოკოს პიკნიდიუმები ოვალური ფორმისაა, მუქი შეფერილობის, ზედა



მხრიდან განვითარებული აქვს პორუსი, პიკნისპორები ცილინდრული ფორმისაა, მურა წაბლისფერი შეფერილობის, 1-2 სიგრძივი და განივი ტისტებით. ზომით  $8-20 \times 4-6$  მეტ.

ავადებს სათესლე ჭარბლის ღეროებს და გორგლებს, დაავადებულ ორგანოებზე ვითარდება წვრილი, მავი ფერის წერტილები, სოკოს ნაყოფსხეულები – პიკნიდები.

- მცხეთა, ძალისი 12.08.1998, თბილისი, საქართველოშის მაღაზიაში შეძნილ თესლზე, 20.02.2002, ე. ახალაია.

ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, შიდა ქართლის პირობებში, სუფრის ჭარბალზე ჩვენს მიერ გამოვლენილია 5 კლასის, 37 გვარის, 49 სახეობის სოკო. გამოვლენილი სოკოებიდან სუფრის ჭარბლის ფოთლების ლაქიანობას იწვევენ შემდეგი სოკოები: *Peronospora farinosa*, *Erysiphe communis f. betae*, *Uromyces betae*, *Ramularia betae*, *Aleternatia alternata*, *A. tenius*, *Heterosporium betae*, *Cercospora beticola*, *Gloeosporium betae*, *Cylindrosporium sp.*, *Phoma betae*, *Ascochita betae*, *Septoria betae*.

აღმონაცენების დაავადებას იწვევს შემდეგი სოკოები: *Aphanomices cochlioides*, *Pythium de Baryanum*, *Rhizoctonia aderholdii*, *R. violaceae*, *Cladosporium herbarum*, *Alternaria alternata*, *Stemphilium botryosum*, *Helminthosporium solani*, *Fusarium gibbosum*, *Cylindrosporium sp.*, *Phoma betae*.

მინდვრისა და შენახვის პირობებში, ძირხვენების ლპობის გამომწვევი 29 სახეობის სოკოდან, გავრცელებით გამოირჩევა: *Pythium de Baryanum*, *Rhizopus nigricans*, *Rhizoctonia aderholdii*, *Sclerotium batacticola*, *Oospora betae*, *Oedocephalum beticola*, *Gliocladium varians*, *Aspergillus niger*, *Penicillium spinulosum*, *Botrytis cinerea*, *Verticillium lateritium f. betae*, *Trichothecium roseum*, *Stemphyllium botryosum*, *Fusarium gibbosum*, *Phoma betae*.

თესლზე გამოვლენილი 21 სახეობის სოკოდან უნდა აღინიშნოს თესლზე შინაგანი ინფექციის გამომწვევი შემდეგი სოკოები: *Perenospora farinosa*, *Alternatia alternata*, *Fusarium gibbosum* და *Phoma betae*.

ჩვენს მიერ შიდა ქართლის პირობებში სუფრის ჭარბალზე გამოვლენილი სოკოებიდან პირველად არის რეგისტრირებული ამ კულტურაზე შემდეგი სოკოები: *Camarosporium betae*, *Chaetomium botrychoides*, *Cilindrosporium sp.*, *Epicoccum neglectum*, *Gliocladium varians*, *Gloeosporium betae*, *Oedocephalum beticola*, *Periconia macrospinosa*, *Sordaria fimicola*.

## სოკო *Phoma betae*-ს ბიომარცობის თავისებურებები

სუფრის ჭარხლის დაავადებათა შორის, ფართო გავრცელების და მავნეობის გამო, შიდა ქართლის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფოტოზე, რომელსაც სოკო *Phoma betae* – იწვევს.

საქართველოში 1998-2001 წლებში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით სოკო *Phoma betae* გავრცელებულია შიდა ქართლის ყველა რაიონში. ავადებს სუფრის ჭარხლის აღმონაცენტრებს, ფოთლებს, საყვავილე ღეროს, ფავილებს, თესლს, ძირხვენებს მინდორში და შენაზვის პირობებში (ახალია, 2002).

სოკო *Phoma betae* მიეკუთნება Deuteromycota-ს კლასს, Phomales-ების ოჯებას, Phomaceae-ს ოჯახს და *Phoma*-ს გვარს (Miyller, Leffler, 1995). ბ. სუტონის (Sutton, 1980) მიხედვით სოკო *Phoma betae* პირველად აღწერილია Franki-ის მიერ 1892 წელს, მისი სინონიმია *Phyllosticta betae*. მასვე მონაცემებით, ამ სოკოს ჩანთიანი სტადია *Pleospora betae* (Berl.) 1915 წელს აღწერილი აქვს ნევოლოვსკის.

1895 წელს სოკო *Phoma betae* Rostr. Zeitschr. აღწერილი აქვს პ. საკარდოს (Saccardo, 1895), გ. ბომპეიქის (Bompeix, 1988) შრომაში სოკოს ჩანთიანი სტადიის სინონიმია *Pleospora betae* Biorl., ხოლო კონიდიალური (ანამორფი) სტადია *Phoma betae* Frank.

დ. სატონის, ა. ფოტერგილის, ხ. რინალ्डის (Саттон, Фотергилл, Ринальди, 2001) მიხედვით, გვარ *Phoma*-ს მველი სახელწოდებია: *Plenodomus*, *Leptophoma*, *Bakerophoma*, *Sclerophomella*, *Polyopeus*, *Deuterophoma*, *Peyronellaea*.

ტელემორფებია: Ascomycetes, Dothidiales, Pleosporaceae. ტელემორფას სახეობა – *Pleospora*.

თანამედროვე ნომენკლატურის მიხედვით (Minter, Gvritishvili, Haumova, Krivomaz, 2002), *Phoma betae* Frank-ის სინონიმება: *Phyllosticta spinaciae* Zimm., *Phoma betae* A. B. Frank (1892), *Phoma spinaciae* Bubak et Willi Krieg (1912), *Gloeosporium betae* Dearn et Barthol (1917), *Phyllosticta betae* Oudem (1977).

საქართველოში სოკო *Phoma betae* შიდა ქართლის პირობებში სუფრის ჭარხალზე პირველად 1940 წელს აღწერილია ს. ისარლიშვილის (Исаилишивили, 1940) მიერ.



1973 წელს ი. ნახუცრიშვილის, ნ. მურვინიშვილის, ტ. გულმაგარაშვილის (ციტირებულია **Флора споровых растений Грузии** 1986-ის მიხედვით) მიერ ზემო სვანეთშია რეგისტრირებული.

1977 წელს შიდა ქართლში ჭარხლის დავადებების შესწავლისას სოკო *Phoma betae* გამოვლენილია მ. ბერიანიძის (1977) მიერ. ო. შაინიძეს (1997) სოკო აღნიშნული აქვს აჭარის მიდამოებში. წივილაშვილის (2001) მიერ *Phoma betae* მოხსენიებულია შაქრის ჭარხლის ძირითადი დავადებების გამომწვევ სოკოებს შორის, შიდა ქართლის პირობებში.

ე. სტეკმენი და დ. ხარარი (**Стекмен, Харрап, 1959**) ამტკიცებენ, რომ ზოგიერთი სოკო სპეციალიზებულია რომელიმე პატრონ მცენარის, მცენარის რომელიმე ორგანოს ან ქსოვილის მიმართ. ზოგიერთი პათოგენური სოკო აავადებს მცენარის ყველა ორგანოს და მისი მოქმედება თითოეული ორგანოს მიმართ განსხვავებულია. მაგალითად სოკო *Phoma betae* იზამთრებს შაქრის ჭარხლის თესლში. გაზაფხულზე, სოკო იწვევს აღმონაცენების ლპობას, ზაფხულში – ფოთლების ლაქიანობას, შემოღვრმაზე – ძირხვენების შერალ სიდამპლეს. სოკო პათოგენურია, მცენარის როგორც ახალგაზრდა ისე ზანდაზმული ქსოვილების მიმართ.

*Phoma*-ს გვარში გაერთიანებული უამრავი სახეობები გვხვდება სხვადასხვა პატრონ მცენარეებზე და იწვევენ დაავადების სხვადასხვა სიმპტომებს. ზოგი მათგანი პოლიფაგური, ზოგი კი მონოფაგური ბუნებისაა.

გვარ *Phoma*-ს სახეობა *P. fracheiphila* (**Petri**) Kantschaveli et Gikashvili ლიმონების ხმელას ანუ მალხვოს გამომწვევი სოკო საქართველოში პირველად რეგისტრირებულია 1940-41 წლებში ციხისძირში, იტალიიდან შემოტანილ ციტრუსების ნარგავებზე. აღნიშნული სოკო სრულყოფილად აქვს შესწავლილი ქ. გიგაშვილს (**Гикашвили, 1984**).

გვარ *Phoma*-ს სახეობის უმრავლესობა მონოფაგური ბუნების სოკოა და ვიწრო სპეციალიზაციით ხასიათდებიან. ს. გუცევიჩის (**Гуцевич, 1966**) მონაცემების მიხედვით *Phoma*-ს გვარის სახეობების 31%-ი ვიწრო სპეციალიზაციით ხასიათდებიან. ბ. დოროჟკინი, ს. ბელიკაია და ფ. პოპოვმა (**Дорожкин, Бельская, Попов, 1976**) შეისწავლეს კარტოფილის ფოთლების გამომწვევი სოკო, *Phoma solanicola* Prill. et Del.-ის სპეციალიზაცია, მკვებავი მცენარეების მიმართ. 26 სხვადასხვა სახეობის მცენარეზე



ჩატარებული სელოვნური დასენიანების შედეგად მათ დააღვიძესკარისტ სოკო კარგად განვითარდა კომბოსტოზე (*Brassica oleracea*), სტაფილოზე (*Daucus satius*) და სუფრის ჭარხალზე (*Beta vulgaris*). დაავადების სიმპტომები ერთი კვირის მანძილზე გამოვლინდა, მაგრამ დაავადებულ აღვილებზე ნაყოფიანობა არ განვითარდა. ავტორები ასკვინან, რომ რადგან სოკოს განვითარება რეპროდუქციული ორგანოების გარეშე მიმდინარეობს, მას არ შეუძლია იყოს ინფექციის რეზისუარი. სოკო *Phoma solanicola* ავლენს აგრეთვე ორგანტროფიკულ დამოკიდებულებას ცალკეული ორგანოების მიმართ. მაგალითად, ავადებს კარტოფილის ღროს, ტუბურებს, მაგრამ არ გადადის ფოთლებზე და ფესვთა სისტემაზე.

იმავე ავტორების მიერ (Дорожкин, Бельская, Попов, 1978) დაღვენილია, რომ სოკო *Phoma solanicola* კარგად ვითარდება ნახშირწყლების: გლუკოზა, სახაროზა, სახამბელის შემცველ საკვებ არებზე. აღნიშნულ ნახშირწყლებს შეიცავს კარტოფილი, რაც ზელს უწყობს სოკოს პარაზიტულ აქტივობას მცენარეებზე. მსგავს გავლენას ახდენს სოკოზე აზოტის ნიტრატული და ორგანული ფორმები.

*Phoma*-ს გვარის ზოგიერთი სახეობის პარაზიტულ აქტივობაზე, საინტერესო გამოკვლეული აკუთვნის ტ. კნიაზევას (Князева, 1977), მის მიერ *Phoma*-ს გვარის ოთხი სხვადასხვა სახეობის (*Ph. beta*, *Ph. exiqua*, *Ph. rostupii* და *Ph. lingam*) სოკოზე ჩატარებული გამოკვლეულით დადგინდა, რომ მაღალი პარაზიტული უნარით გამოირჩევა *Phoma betae*. სოკოს ახასიათებს ცილების გახლების დიდი უნარი და ეკონომიკური კოეფიციენტის მაღალი სიღიდე. რაც სოკოს მაღალი პარაზიტიზმის პოტენციალურ შესაძლებლობებზე მიუთითებს.

სოკო *Phoma betae* კარგად იზრდება და ინვითარებს ნაყოფიანობას ფერა სახის, მათ შორის ნახშირწყლებით ღარიბ საკვებ არეზე და ავლენს მაღალი პათოგენობის უნარს.

ი. პოპუშოის, ა. მარჯინა და სხვა ავტორების (Попушой, Маржина, и др. 1976) მონაცემებით 1976 წლისათვის მოლდავეთში, კულტურულ მცენარეებზე გამოვლენილია *Phoma*-ს გვარის 50 სხვადასხვა სახეობის სოკო. მათ შორის მრავალი მათგანი ვიწრო სპეციალიზაციით ხასიათდება. იმავე ავტორების მიხედვით *Phoma*-ს წარმომადგენლები ვითარდებიან როგორც ცოცხალ ისე გამხმარ, ნეკროზულ და ლპობად ორგანოებზე.



ამის გამო *Phoma betae*-ს პათოგენურ და არაპათოგენურ სახეობების შორის ასახელებენ. მათ მიერ გამოვლენილი სოკოები აზიანებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურებს, ამცირებენ მოსავლის ხარისხს და იწვევენ ეკონომიკურ ზარალს.

მკვლევარებმა ვ. ოტაზუ, გ. ბოერემა და სხვა (Otazu, Boerema, Mool, Salas, 1979) შეისწავლეს კარტოფილის ლპობის გამომწვევი სოკო *Phoma exigua* var. *foveata*-ს გავრცელების გეოგრაფიული არეალი. დააღინეს, რომ სამხრეთ ამერიკის მაღალმთანეთი წარმოადგენს ამ სოკოს განვითარების გეოგრაფიულ ადგილს, სადაც პირველად იქნა ეს სოკო აღმოჩენილი პარაზიტულ მცენარეებზე. ლიტერატურული წყაროების საფუძველზე ავტორები მიმოიხილავენ სოკოს ისტორიას და აღნიშნავენ, რომ დღეისათვის ფართოდ გავრცელებული კარტოფილის ლპობა პირველად აღინიშნა შოტლანდიაში 1935 წელს. დაავადების გამომწვევი სოკო 1936 წელს აღწერეს ალკოკ და ფოისტერმა (Alcock, Foister) და უწოდეს *Phoma foveata*. სოკო მაღალ გავრცელდა სამხრეთ აუსტრალიაში, ტასმანიასა და ანალ ზელანდიაში.

1946 წელს დენისმა (Dennis) გამოაქვეყნა მოსაზრება, რომ სოკო *Phoma* sp. პოლიფაგია და მოიცავს პატრონ მცენარეების ფართო სპექტრს, ხოლო მასის (Maas, 1965) მიხედვით კოსმოპოლიტია და მისი უძველესი სახელია *Phoma solanicola* Prill. et Delaer. (ციტირებულია Otazu, Boerema, Mool, Salas, 1979-ის მიხედვით).

საქართველოში სოკო *Phoma betae*-ს გავრცელების, მავნობის, სპეციალიზაციის და ბიოლოგიის თავისებურების შესახებ მონაცემები არ არსებობს. ჩვენი გამოკვლევები პირველი ცდაა სოკო *Phoma betae*-ს განვითარების და ბიოეკოლოგიის თავისებურებების შესწავლის შესახებ საქართველოში.

## სოკო *Phoma betae*-ს მორფოლოგიურ-კულტურალური ნიშნები

ქ. გიგაშვილის (Гикашвили, 1984)მონაცემების მიხედვით, სოკო *Phoma tracheiphila*-ს ზრდა-განვითარება, სხვადასხვა სახის ნაფოთანობის, პიკნიდიების წარმოქმნა, მათი ფორმა, შეფერვა და ზომები განსხვავდებულია სხვადასხვა საკვებ არებზე, განსხვავდებული ტემპერატურის და ტენის პირობებში.



Российская Федерация

Министерство сельского хозяйства Российской Федерации

გ. უსპენსკაია, ი. რეშეტნიკოვა (Успенская, Решетникова, 1979) აღნიშნავენ, რომ პიკნიდიალური ლორწოს ბიოქიმიური შედგენილობა გავლენას ახდენს *Ascochyta*-ს და *Phoma*-ს გვარის კონიდიუმების გაღივებაზე და სიცოცხლისუნარიანობაზე.

6. ლოროუკინის და სხვა ავტორების (Дорожкин, Бельская, Попов, 1978) მიერ დადგენილია, რომ სოკო *Phoma solanikola*-ს მიცელიუმის, კონიდიების, პიკნიდიების ფორმა, ზომა და შეფერილობა ცვალებადობს ნახშირბადოვანი და აზოტოვანი ძვების გავლენით.


ყ. კნიაზევას (Князева, 1977, 1978) მონაცემებით *Phoma*-ს გვარის სხვადასხვა სახეობების პათოგენობა ცვალებადობს მკვებავი მცენარის შესაბამისად. სოკო *Phoma lingam*-ის ნაყოფიანობაზე, საკვები არის შენდგენილობის გავლენის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს 3. ფლანდერკოვა (Flanderkova, 1982).

მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამენ სხვა მკვლევარები (Попкова, Ковалева, 1974; Савина, 1972 და სხვა).


ჩვენს მიერ ჩატარებული ცდების შედეგად გამოირკვა, რომ აგარიზებული ლუდის ტებილის საკვებ არეზე,  $22^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის პირობებში, ვან ტიგენის კამერაში, სოკო *Phoma betae*-ს კონიდიუმები 8 საათის შემდეგ ინტენსიურად იწყებენ გაღივებას, (სურათი 9). 24 საათის შემდეგ ღივები იტოტება და წარმოიქმნება მრავალუჯრედიანი დატოტვილი მიცელიუმი, რომელიც დაა რუხი შეფერილობისაა. 48 საათის შემდეგ პიფებს შორის ვითარდება ანასტრომოზები, ხოლო ოთხი-ხუთი დღის შემდეგ შიცელიარული ჭიმები (სურათი 10). ამავე პერიოდში შეიმჩნევა პიკნიდიების წარმოქმნა და მეშვიდე დღეს მიცელიუმზე პიკნიდიები შავი წერტილების სახით არის განვითარებული.

პიკნიდიები თხელგარსიანია, მრგვალი ან ელიფსური ფორმის ოდნავ ამობურცულ შხარეზე, პირუსი აქვს განვითარებული, საიდანაც მომწიფებული, მრავალრიცხოვანი სპორები, ლორწოვანი მასის სახით, ლენტისებურად გამოყობა. პიკნიდიებში ვითარდება მრავალრიცხოვანი, ერთუჯრედიანი, მრგვალი ან ოვალური ფორმის კონიდიები, მიგთავსში ორი ცხიმის წვეთით (სურათი 11).


სოკოს კოლონია ხავერდოვანია. ახალგაზრდა ერთი-ორი დღის მიცელიუმი დაა რუხი შეფერილობისაა, ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ბაცი ყავისსფერი შეფრილობის ხდება. ოორმეტ-თხუთმეტ დღიანი ხანდაზმული მიცელიუმი



სურათი 9. სოკო *Phoma betae*-ს ნპორების გაღიცება 1 – 2 სო-ის,  
2 – 8 სო-ის და 3 – 24 სო-ის შემთხვევა.



სურათი 10. სოკო *Phoma betae*-ს მიცელიუმის პიფბის შორის წარმოქმნილი  
ანასტომოზები (1) და მიცელიალური ჭიმები (2).



სურათი 11. სოკო *Phoma betae*-ს 1 – მოუმწიფებელი პიქნიდიუმი, 2 – სპორების გამოსხვა მომწიფებული პიქნიდიუმიდან, 3 – სპორები

ჭუქლება და მოშაო ფერი გადაკვრავს. ოცდახუთი-ოცდაათი დღის შემდეგ მიცელიუმი ინვითარებს ერთუჯრედიან ქლამიდოსპორებს, რომლებიც ერთმანეთზე ძეწკვებად არის ასხმული (სურათი 12). ზოგ შემთხვევაში შეიმჩნევა ფსევდოსკლეროციების განვითარება.

იგივე პირობებში ჩაპეკის საკვებ არეზე კოლონია მუქი წენგოსფერი შეფერილობისაა, ანასტომოჟების წარმოქმნა ექვსი დღის შემდეგ შეიმჩნევა, ხოლო პიგნიდიების განვითარება მერვე დღეს.

გამოირკვა, რომ სოკო *Phoma betae*-ს მორფოლოგიურ-კულტურალური ნიშნები მნიშვნელოვნად ცვალებადობს საკვები არის შესაბამისად, მიცელიუმის ხნოვანების გავლენით.



სურათი 12. სოკო *Phoma betae*-ს ქლამიდოსპორები

სოკო *Phoma betae*-თი გამოწვეული დაავადების  
სიმპტომები

სოკო *Phoma betae* აავადებს სუფრის ჭარხლის ყველა ორგანოს: აღმონაცენებს, ფოთლებს, ბირჩვენებს, საყავილე ღეროებს, ყავილებს, სათესლე გორგლებს, თესლს. დაავადება კითარდება ჭარხლის განვითარების ყველა ფაზაში.

აღმონაცენების დაავადების დროს, ლებანფოთლების ქვეშ ფესვის ყელთან ჩნდება მურა ფერის ჩაღრმავებული ლაქები, რომლებიც იფარება ზევიდან შავი წერტილებით პიქნიდიებით. აღმონაცენის ფესვის ყელი ვიწროვდება, შავდება და ლპება (სურათი 13). ფესვის ყელის ეს დაავადება ღიტერატურაში (Исаарлишвили, Быстрова, 1957; Шевченко, 1959; Ниязов, 1967; Беринидзе, 1977; Орехова, 1976, 1981; Дудка, Васснер,



სურათი 13. 1 – საღი, 2 – სოკო *Phoma betae*-თი გამოწვებული აღმონაცენები


1987; Горина и др., 1988) ფესვისმჭამელას ანუ შავფეხას სახელმწიფო არის ცნობილი.

შავფეხათი დაავადებული აღმონაცენი ზშირ შემთხვევაში იღუპება, ზოგჯერ ღივი ინკითარებს დამატებით ფესვებს და ვითარდება დაკნინებული მცენარე, დეფორმირებული ძირხვენებით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს მოსავალს.

ს. ისარლიშვილის (1940), გ. ბერიანიძის (1977), ლ. ყანჩაველის (1987) მიხედვით ჭარხალზე “ფესვის მჭამელას” ანუ “შავფეხას” მსგავს სიმპტომებს იწვევს სხვა სოკობიც: *Pythium de Barianum, Rhizoctonia aderholdii, Alternaria alternata, Cladosporium herbarum, Fusarium oxysporum, Penicillium sp.* და სხვა.

ჩვენს მიერ 1998-2001 წლებში შიდა ქართლში ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, ფესვისმჭამელათი ანუ შავფეხათი დაავადებული სუფრის ჭარხლის აღმონაცენებზე გამოვლინებულ სოკობს შორის დომინირებს სოკო *Phoma betae*.

სოკო *Phoma betae*-თი დაავადებულ ფოთლებზე ჩნდება მუქი, მოშაო ფურის არათანაბარი ზომის ლაქები, ლაქებზე ზევოდან ვითარდება წვრილი, შავი ფერის წერტილები, სოკოს პიკნიდიები (სურათი 14). ძლიერი



სურათი 14. სოკო *Phoma betae*-ს ლაქები დაავადებულ სუფრის ჭარხლის ფოთლებზე.



დაავადების დროს ლაქები მთღლიანად ფარავენ ფოთლის ზეფურებულის  
სასიმილაციო არის შემცირების გამო ფოთლები ჭერება. დაავადებული  
ფოთლის უჯრედებში და უჯრედშორისებში ვითარდება მრავალუჯრედიანი,  
დატოტვილი მიცელიუმი.

სოკო *Phoma betae* აავადებს ძირხვენებს როგორც მინდორში, ისე  
შენახვის პირობებში. ძირხვენებზე ვითარდება მუქი რუხი ფერის  
ჩაღრმავებული ლაქები. ზევიდან მცირე ზომის შავი წერტილებით –  
სოკოს პიკნიდიებით. (სურათი 15). ხელსაყრელი პირობების დროს საცავში  
შენახვისას, სოკო იჭრება ქსოვილებში, ვითარდება და იწვევს ძირხვენების  
გულის მშრალ სიდამპლეს.

სუფრის ჭარხლის საყვავილე ღეროების დავადებისას ვითარდება  
ყავისფერი ლაქები ზევიდან შავი წერტილებით – პიკნიდიებით. სოკო  
*Phoma betae*-თი დაავადებული თესლის გორგლები ფერშეცვლილია, ხშირ  
შემთხვევაში გაშავებულია და შედარებით წვრილია (სურათი 16). თესლის  
დაავადებისას სოკო იწვევს როგორც გარეგან ისე შინაგან ინფექციას.  
გარეგანი ინფექციის დროს გორგლებზე და თესლზე ვითარდება სოკოს




სურათი 15. სოკო *Phoma betae*-თი დაავადებული  
ძირხვენა



სურათი 16. სუფრის ჭარხლის (კიში “ბორდო 237”)

1. საღი თესლი მისგან განვითარებული ღივით;
2. დაავადებული თესლი მისგან განვითარებული ღივით.

შავი პიკნიდიები – სპორებით. წელსაყრელ პირობებში სპორები ღივდებიან, იჭრებიან ჩანასახში და იწვევენ მის დასენიანებას. შინაგანი ინფექციის დროს, სოკო გვხვდება თესლის ლებნებში, ლებნებშორის ან ჩანასახის ქსოვილებში. ასეთი თესლიდან აღმოცენი ან სულ არ ვითარდება, ან იგი დაკნინებულია (სურათი 17). მასში შემცირებულია ყოველგვარი ფიზიოლოგიური პორცესები, ჩანასახი ნორმალურად არ ვითარდება, აღვილად ავადდება და აღმონაცენი იღუპება.



სურათი 17. 1 – საღი, 2 – დაავადებული თესლისგან განვითარებული აღმონაცენები

## სოკო *Phoma betae*-ს გავრცელება და განვითარების დინამიკა

მცენარეთა ზრდა-განვითარება, სოკოვანი დაავადებების გავრცელება და განვითარების ინტენსივობა, დამოკიდებულია ეკოლოგიური პირობების: ტემპერატურის, ტენის, ნალექების რაოდენობის, ბუნებაში ინფექციის მარაგის რაოდენობაზე, ვერტიკალურ ზონალობაზე და სხვა მრავალ ფაქტორებზე (Стекмен, Харрап, 1959; Tapp, 1975).

მ. მელია (1969) აღნიშნავს, რომ უანგა სოკოების სახეობრივი შედეგნილობა და გავრცელება ცვალებადობს ვერტიკალური ზონალობის მიხედვით. მაღალმთიან რაონინებში უანგა სოკოების გავრცელება მნიშვნელოვნად მცირდება.

ცვალებადი ეკოლოგიური პირობების ზემოქმედებით წსნის, სტაფილოს შავი ლაქიანობის (*Alternaria radicina*) გავრცელებას და განვითარების ინტენსივობას წლების მიხედვით თ. კუპრაშვილი (1973).

მ. ბერიანიძის (1977) მონაცემებით, ჭარხლის ჭრაქის გავრცელება შიდა ქართლის რაიონებში ცვალებადობს ტემპერატურის, შეფარდებითი ტენიანობის და ნალექების რაოდენობის მიხედვით.

მცენარეთა დასხინანება სხვადასხვა სოკოვანი ინფექციებით სხვადასხვა ფენოლოგიურ ფაზაში ხდება, რაღაც პათოგენურ სოკოებს ახასიათებთ მცენარის გარკვეულ ორგანოებზე სპეციალურ ქსოვილებში დასახლება და განვითარება. (Tapp, 1975).

მკვლევართა მიერ (Долидзе, 1967; Джохадзе, 1985; Жвания, 1985) დადგენილია, რომ მცენარეთა დასხინანებაზე და დაავადების განვითარებაზე გავლენას ანდენს მცენარის განვითარების ფენოლოგიური ფაზა.


სუფრის ჭარხლის ფომოზის გამომწვევი სოკო *Phoma betae*-ს გავრცელების და განვითარების ინტენსივობის შესწავლის მიზნით, 1998-2000 წლებში შიდა ქართლის რაიონებში ჩატარებული აღრიცხვის შედეგები მოცემულია 1 დიაგრამაზე.

აღრიცხვის შედეგების მიხედვით, გამოირკვა, რომ აღნიშნულ წლებში სუფრის ჭარხლის მოსავლის აღების პერიოდში, სოკო *Phoma betae*-ს გავრცელება ზღვის დონიდან 450 მ-ზე მდებარე მცხეთის რაიონში შესაბამისად 24,8%, 28,6%, 18,4%-ს აღწევდა. დაავადების განვითარების ინტენსივობა კი 8,6%-16,4%-ს მორის ცვალებადობდა. ხაშურის რაიონში

კონკრეტული ქართული მდგრადი სამსახურის



**სოკი Phoma betae-ს გავრცელება შიდა ქართლის რაოდენობი**



შენიშვნა: 1. აღრიცხვის წელი  
2. აღრიცხვის ადგილი



(ზღ. 690ბ) კი, სოკოს გავრცელება შესაბამისად 9,2%, 16,2%, 7,2%-ით მეტი განვითარების ინტენსივობა 3,4%, 6,4% და 2,8%-ს არ აღემატებოდა.

1999 წელს ყველა რაიონში აღინიშნებოდა სოკოს გავრცელების და განვითარების ინტენსივობის შედარებითი ეპიფარმოტია. კერძოდ, მცხვთის, კასპის, გორის და ქარელის რაიონებში (ცხრილი 1) სოკოს გავრცელება შესაბამისად 28,6%, 23,6%, 21,2%-ს აღწევდა. სოკოს განვითარების ინტენსივობა კი, აღნიშნულ რაიონებში 6,4%, 16,4%-ს შორის მერყეობდა.

### ცხრილი I

#### სოკო *Phoma betae*-ს გავრცელება შიდა ქართლში

გამოკლევის აღგარეობის მდგრადი	სიმაღლე ზღვის დონიდან მ.	1998 წ.		1999 წ.		2000 წ.	
		გავრცელება %	განვითარების ინტენსივობა %	გავრცელება %	განვითარების ინტენსივობა %	გავრცელება %	განვითარების ინტენსივობა %
შიდა	450	24,8	11,4	28,6	16,4	18,4	8,6
კასპი	522	21,2	9,8	23,6	12,2	14,6	6,6
გორი	588	18,2	7,6	21,2	9,8	12,8	5,2
ქარელი	610	16,8	5,6	20,8	8,6	10,6	3,4
ხაშური	690	9,2	3,4	16,2	6,4	7,2	2,8

2000 წელი გამოირჩეოდა ცხელი და გავალვანი ზაფხულით, რის გამოც სოკოს გავრცელება და განვითარების ინტენსივობა მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ, მცხეთის რაიონში სოკოს გავრცელება 10,2%-ით და განვითარების ინტენსივობა 7,8%-ით ნაკლები იყო 1999 წლის მონაცემებით შედარებით. სხვაობა აღნიშნულ მონაცემებს შორის კასპის რაიონში 9,0%-5,6%-ის, გორის – 8,4%-4,6%-ის, ქარელის – 10,2%-5,2%-ის და ხაშურის რაიონში 9,0%-3,6%-ის ტოლი იყო.

ინკვევა, რომ სოკოს გავრცელება და განვითარების ინტენსივობა მკვეთრად ცვალებადობს წლების მიხედვით. შეიმჩნევა აგრეთვე, რომ ზღვის დონიდან შედარებით დაბლა მდებარე მცხეთის და კასპის რაიონებში სოკო უფრო ინტენსიურად ვითარდება, ვიდრე გორის, ქარელის და ხაშურის რაიონებში, რაც გეოგრაფიული მდებარეობით და კლიმატური პირობების თავისებურებებით უნდა აიხსნას.

სოკო *Phoma betae*-ს განვითარების დინამიკის შესწავლის შიზნით, სუფრის ჭარხლის ფენოლოგიურ ფაზებთან დაკავშირებით, გორის რაიონის ბერბეკის საცდელი სადგურის სტაციონალურ ნაკვეთზე 1999-2000 წლებში ჩატარებული აღრიცხვის შედეგები მოცემულია მე-2 და მე-3 დიაგრამაზე.

გამოირკვა, რომ 1999 წელს, სოკოს პირველი ინფექცია სუფრის ჭარხლის ფოთლებზე ლაქების სახით გამოვლინდა 14 მაისს, ხოლო ლაქებზე პიკინდიდების განვითარება 25 მაისს აღინიშნა, როცა თვის საშუალო ტემპერატურა  $13,6^{\circ}$ , ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა 72% და ნალექების რაოდენობა 84,6 მმ იყო.

სოკოს პირველი ნაყოფიანობის გამოჩენის შემდეგ მისი გავრცელება და განვითარების ინტენსივობა შესამჩნევად მატულობს და მაქსიმუმს აღწევს მოსავლის აღების ფაზაში, როცა ხანდაზმული, ფიზიოლოგიურად დასუსტებული ფოთლებიდან ინფექცია გადადის ძირჩვენებზე ინფერი ლაქების სახით.

2000 წელს ინფექცია ერთეული ლაქების სახით 7 ივნისს გამოვლინდა, ხოლო პიკინდიუმების განვითარება 18 ივნისს – მცენარის აყოჩების ფაზაში აღინიშნა, როცა ტემპერატურა  $18,8^{\circ}$ . შეფარდებითი ტენიანობა 65% და ნალექების რაოდენობა 34,4 მმ იყო. ივლისი და აგვისტო ხასიათდებოდა ნალექების სიმცირით და დაბალი შეფარდებითი ტენიანობით, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა სოკოს განვითარება.

სექტემბერი გამოირჩეოდა შედარებით მაღალი ტენიანობით, რის გამოც ოქტომბერიში, მოსავლის აღების დროს, სოკოს გავრცელებამ 16,4%-ს და განვითარების ინტენსივობამ 4,2%-ს მიაღწია.

ინკვევა, რომ სოკოს ნაყოფიანობის განვითარებაზე, მის შემდგომ გავრცელებაზე და განვითარების ინტენსივობაზე გავლენას ახდენს ჰაერის ტემპერატურა, შეფარდებითი ტენიანობა და ნალექების რაოდენობა.

იმავე წლებში, გორის რაიონის სხვადასხვა სოფლებში სოკოს განვითარების დინამიკის აღრიცხვის შედეგები მოცემულია მე-4 დიაგრამაზე.

გამოირკვა, რომ 1999 წელს, როცა გორის რაიონისათვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა  $17,0^{\circ}$ , ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა კი 69,8% და ნალექების საერთო რაოდენობა 399,1 მმ-ის ტოლი იყო, მეცნიერებები და ვარიანტი სოკო *Phoma betae*-ს მაისის მესამე დეკადაში

## மாதங்கள்\_2


பெரிம்) *Phoma betae*-ს 8263007ாக்வீடுஸ் இடைாண்டா கலூராத்துர அந்நாவைதான்  
இது 8006ாக்வீஸ் போன்றுமிகு ஒத்துக்கொடி இருக்காமலிருக்கிறது




உதவியளவு கொடுத்து மாநில போன்றுமிகு ஒத்துக்கொடி

1999 ஜூலை

- இயாகுவைக்கிள் குற்றெருமை கொண்டு
- காய்ச்சுப்பை %
- பாந்தோசாரைக்கிள் எந்தீழிஸேஷா %
- — மாநில காஷ்சாலை திருத்தாத்துரு சி
- — பேருந்துக்கொடி திருத்தாமலை %
- \* \* \* நாட்டுப்பேரில் காஷ்சாலை மீ



სრუბი Phoma betae-ს განვითარების დინამიკა კლიმატურ პირობებითან  
და 2006-ის უცხოლობით უაზრითაც დაკავშირდებით







სომხი *Phoma betae*-ს განვითარების დონეების გრაფიკის რაორის რაორის საკვადასხვა სოფლის მიერ მომზადება

ერთობლივ ნიშნები

გაერცელება %

განვითარების ინტენსივობა %



- შენიშვნა: 1. გაავალების პირველი ნიშნების გამოვლენის ქრთვა  
2. აღრიცხვის აღვალი



(30.05) გამოვლინდა, ტყვეიავში მაისის მეორე დეკადაში (16.05-20.05) ძევერასა და ქიშისში ივნისის პირველ დეკადაში. (16.06 და 10.06). აღნიშნულ ნაკვეთებზე მოსავლის აღების პერიოდში დაავალების გავრცელება 11,2%-20,2%-ს შორის, ხოლო განვითარების ინტენსივობა 5,2% და 8,6%-ს შორის მერყეობდა.

2000 წელს შედარებით დაბალი შეფარდებითი ტენიანობის (67,8%) და მცირე ნალექების (208,7 მმ) პირობებში, დაავადება ყველა ნაკვეთზე შედარებით გვიან მაისის მესამე დეკადაში (30.05), ივნისის პირველ (6.06) და მეორე დეკადაში (12.06; 16.06; 20.06) გამოვლინდა. მოსავლის აღების დროს დაავადების გავრცელება 9,2%-15,6% და განვითარების ინტენსივობა 4,2%-8,2%-ს არ აღემატებოდა.

მიღებული მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ სოკო *Phoma betae*-ს განვითარებაზე კლიმატურ პირობებთან ერთად გავლენას ახდენს: სიმაღლე ზღვის დონიდან, ნაკვეთის მიკროკლიმატი, მცენარის განვითარების ფენოლოგიური ფაზა, ინფექციის მარაგი ბუნებაში და სხვა ფაქტორები.

### სოკო *Phoma betae*-ს პათოგენობა და დაავადების საინკუბაციო პერიოდი

მცენარის დასწინანებიდან დაავადების პირველი სიმპტომების გამოჩენამდე და ნაყოფიანობის შექმნამდე საინკუბაციო პერიოდი მნიშვნელოვნად ცვალებადობს მცენარის განვითარების ფაზებთან და გარემო ფაქტორებთან დაკავშირებით.

ე. სტემენის და დ. ხარრარის (Стекмен, Харрап, 1959) მონაცემებით, ხორბლის მიღებიან ჯიშებზე ღეროს ფანგას გამომწვევი სოკო *Puccinia graminis var tritici*-ის საინკუბაციო პერიოდი დასწინანებიდან ურედოსპორების განვითარებამდე ცვალებადობს 3 თვიდან 5 დღემდე. სოკოს უნარი აქვს პატრონ მცენარის ქსოვილებში 3 თვის მანძილზე იმყოფებოდეს ფარულ, ღატენტურ ფორმაში, რასაც მნიშვნელობა აქვს მისი გადაზამთრებისათვის ბუნებრივ პირობებში. იმავე ავტორების მონაცემებით, სოკო *Fusarium oxysporum var. vasinfectum*-ის საინკუბაციო პერიოდი ბამბის და საზამთროს მიმართ  $16^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე 58 დღეს, ხოლო  $27^{\circ}\text{-ზე}$  12 დღეს შორის ცვალებადობს.



გ. ბერიანიძე (Беринидзе, 1977) აღნიშნავს, რომ შაქრის ჭარბობის ფოთლების დასენიანებისას, სოკო *Cercospora beticola*-ს საინკუბაციო პერიოდი დაავადების პირველი ნიშნების გამოჩენამდე მასის თვეში 4-5 დღის, ხოლო იქნისის თვეში 3-4 დღის ტოლია.

სოკო *Phoma betae*-ს პათოგენობის და მის მიერ გამოწვეული დაავადების საინკუბაციო პერიოდის გამოსაკვლევად, სუფრის ჭარბლის პირველი წლის ნათესებზე, საველე პირობებში ჩატარებული ცდის შედეგები მოცემულია მე-5 დღიაგრამაზე.

როგორც ირკვევა, სოკო *Phoma betae*-ს სპოროვანი სუსპენზით სუფრის ჭარბლის ფოთლების დასენიანებისას, საინკუბაციო პერიოდი დასენიანებიდან პირველი სიმპტომების გამოჩენამდე და ნაყოფიანობის შექმნამდე ცვალებადობს მცენარის განვითარების ფენოლოგიურ ფაზებთან დაკავშირებით.

კერძოდ, 3-4 ფოთლის ფაზაში მყოფი მცენარეების (მაისი, ივნისი) დასენიანებისას, დრო – დაავადების პირველი სიმპტომების გამოჩენამდე 5-10 დღის, ხოლო ნაყოფიანობის შექმნამდე – 12-14 დღის ტოლია. ტექნიკური სიმწიფის დასაწყისში (ივლისი), დაავადების პირველი ნიშნები, დასენიანებიდან 6-8 დღეში ვლინდება, ხოლო ნაყოფიანობა – პიგნიდიების წარმოქმნა 9-12 დღეში ხდება.

ტექნიკური სიმწიფის ფაზაში (სექტემბერი), როცა მცენარის ფოთლები შედარებით სანდაზმულია და ფიზიოლოგიურად დასუსტებული, საინკუბაციო პერიოდი დაავადების პირველი ნიშნების გამოჩენამდე 5-6 დღემდე მცირდება, ხოლო ნაყოფიანობის შექმნამდე 8-9 დღეა საჭირო.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაკვეთი, საღაც ხდებოდა ხელოვნური დასენიანება, ზაფხულის თვეებში ირწყვებოდა, რაც გავლენას ახდენდა გარემოს ტემპერატურაზე, შეფარდებით ტენიანობაზე და შესაბამისად სოკოს განვითარებაზე.

გარემო პირობებთან და მცენარის განვითარების ფენოლოგიურ ფაზებთან დაკავშირებით, საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობა დასენიანებიდან პირველი სიმპტომების გამოჩენამდე მერყეობს 5-დან 10 დღემდე, ხოლო ნაყოფიანობის (პიგნიდიების) წარმომქნამდე 8-დან 14 დღემდე.

რაც უფრო ზრდასრულია მცენარე (ტექნიკური სიმწიფე), მით ნაკლებია დაავადების საინკუბაციო პერიოდი. აგვისტოში, სექტემბერსა და


**சிரப்பு Phoma betae-b நெருப்புகளைப் பற்றியில்லை**

பார்த்துக்கொண்டு விடக்கூடிய

ஒடுக்கீலின் சான்றெண்ணா இடங்களுக்கிணங்க

பீரவேலி ஸிம்ப்ளிகேஷன் கார்ப்பரேஷன்

- கார்ப்பரானில்கீ ஶூப்ளாஷன்



கிருந்திகள்: 1. இலாக்டிகான்ஜோன் பார்த்து

2. ரூப்ரீஞ்சின் கார்ப்பரானிகளின் ஜெம்பிலாராயர் தோல்



ოქტომბერში დაავადების სიმპტომები დასენიანებიდან 5-6 დღის შემდეგ კლინიკური ცვლილება, ხოლო პიგნიდიების წარმოქნა 8-9 დღის შემდეგ ხდება. ირკვევა, რომ ტექნიკური სიმწიფეის ფაზაში როცა ფოთლები ფიზიოლოგიურად დასუსტებულია, სუფრის ჭარხალი დაავადების მიმართ მაღალი მიმღებიანობით ხასიათდება.

სუფრის ჭარხლის საღ და მექანიკურად დაზიანებული ძირხვენების ხელოვნური დასენიანებისას, ლაბორატორიის პირობებში ჩატარებული ცდის შედეგების მიხედვით გამოირკვა, რომ მექანიკურად დაზიანებულ ძირხვენებზე დაავადების სიმპტომები ლაქების სახით 4-5 დღის შემდეგ გამოვლინდა და პიგნიდიები 7-8 დღის შემდეგ განვითარდა.

საღი, მექანიკურად დაუზიანებელი ძირხვენების დასენიანებისას, დაავადების სიმპტომები 10-12 დღის შემდეგ გამოვლინდა. პიგნიდიების განვითარება კი, დასენიანებიდან 6-8 დღის შემდეგ შეინიშნებოდა. ირკვევა, რომ ძირხვენების მექანიკურად დაზიანებას დიდი მნიშვნელობა აქვს დაავადების განვითარებაზე და ნაყოფიანობის წარმოქმნაზე.

ჩატარებული ცდების შედეგად შეიძლება დავასკვნათ: სოკო *Phoma betae* პათოგენურია სუფრის ჭარხლის მიმართ. მის მიერ გამოწვეული დაავადების საინკუბაციო პერიოდი ფოთლებზე, დასენიანებიდან პირველი ნიშნების გამოჩენამდე, ცვალებადობს 5-დან 10 დღემდე, ხოლო ნაყოფიანობის წარმოქმნამდე 8-დან 14 დღემდე.

გარემო პირობები და მცენარის განვითარების ფენოლოგიური ფაზა გავლენას ახდენს საინკუბაციო პერიოდის ხანგრძლივობაზე. მცენარის ზრდასრულ ფაზაში (ტექნიკური სიმწიფე) დაავადების საინკუბაციო პერიოდი დასენიანებიდან სიმპტომების გამოჩენადე 5-6 დღის ტოლია, ხოლო დასენიანებიდან ნაყოფიანობის განვითარებამდე 6-9 დღის ტოლი.

ლაბორატორიის პირობებში სუფრის ჭარხლის საღ ძირხვენებზე დაავადების პირველი ნიშნები, დასენიანებიდან 10-12 დღის შემდეგ შეინიშნება, ძირხვენების მექანიკურად დაზიანება ხელს უწყობს დაავადების სწრაფად განვითარებას, კერძოდ – მექანიკურად დაზიანებულ ძირხვენებზე დაავადება 4-5 დღის შემდეგ კლინიდება, დაავადებულ ძირხვენებზე პიგნიდიების განვითარება 6-8 დღის შემდეგ ხდება.

## სოკო *Phoma betae*-ს გადაზამთრება და ინფექციის წყარო



პათოგენური სოკოების მიერ, არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების დროს სიცოცხლისუნარიანობის და ვირულენტობის უნარის შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სოკოების განვითარება და გავრცელება დამოკიდებულია მათი სიცოცხლისუნარიანობის და ვირულენტობის უნარზე. სოკოს ამ თვისებებზე უდიდეს გავლენას ახდენს გარემო პირობები: ტემპერატურა, ჟეფარდებითი ტენიანობა, ნალექიან დღეთა რაოდენობა. ამ თვალსაზრისით სოკოს ონტოგენეზში მნიშვნელოვანი პერიოდია სოკოს გადაზამთრება.

ე. სტეკმენის და დ. ხარრარის (Стекмен, Харрап, 1959) მონაცემებით ხორბლის და ქერის თესლში მტვრიანა გუდაფშეტას სპორები 8 თვის მანძილზე ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას, დაბალი ტემპერატურის პირობებში კი რამდენიმე წლის მანძილზე. სოკო *Helminthosporium sativim*-ი 7 წლის მანძილზე, ხოლო *Clomerella gossypii* ბაბბის თესლში 13 წლის მანძილზე ცოცხლობს. ობის სოკოები *Aspergillus*-ი და *Penicillium*-ი მიკროსკლეროციების სახით, თესლის პერიგარპში 5 წლის, ხოლო *Alternaria* 8 წლის მანძილზეა სისცოცხლისუნარიანი. ბევრი სოკო სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს მანამ, სანამ თესლი არ დაკარგავს სიცოცხლის უნარს. მათივე მონაცემებით სოკო *Phymatotrichum omnivorum* ნიადაგში 12 წლის მანძილზეა სიცოცხლისუნარიანი.

ვ. პოლტაიჩკის (Полтайчук, 1949) მიხედვით სოკო *Rhizoctoma solani* სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს ნიადაგში 2 წლის მანძილზე. *Nigrospora oryzae* – სამი წლის, ხოლო *Fusarium graminearum* – ერთი წლის მანძილზე.

ი. ხუდიაკოვა, გ. მარტუნოვას (Худяков, Мартунова, 1966) მონაცემებით *Alternaria tenius* ხორბალზე სიცოცხლისუნარიანობას 7 წლის შემდეგ კარგავს, ხოლო ქერის თესლზე 5 წლის შემდეგ. ს. რუკშენაიტე – ბერეცკენეს (Рекшкнанте-Беренцкене, 1970) მიხედვით *Alternaria radicina*, *A. dauci* და *A. teniussima*-ს კონიდუმები პერბარიუმის პირობებში გაღივების უნარს 3,5 წლის მანძილზე ინარჩუნებენ, *Aleterania tenius* – კი 2,5 წლის მანძილზე.



არანელსაყრელ პირობებში სოცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, სოკოს უვითარდება სხვადასხვა სახის შეცვების ნაშენები. კერძოდ, გ. უსპენსკაიამ და ი. რეშეტნიკოვამ (Успенская, Решетникова, 1979) შეისწავლეს გვარ *Ascochyta*-ს და *Phoma*-ს პიკნიდიებში განჭვირვალე ვარდისფერი ექსუდატების განვითარების მნიშვნელობა ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით და დაადგინეს, რომ პიკნიდიალური ლორწო ასრულებს დამცველობით ფუნქციას. იცავს კონიდიუმებს არანელსაყრელი პირობების ზემოქმედებისაგან. უნარჩუნებს მათ სიცოცხლის-უნარიანობას გამოშრობის და ტემპერატურის ცვალებადობის დროს. პიკნიდიებში ლორწო ქმნის ხელსყრელ პირობებს კონიდიების განვითარებისთვის. სოკოს გადაზამთრება ორ სავეგეტაციო პერიოდს შორის ხდება მცენარეულ ნარჩენებზე, თესლში ან თესლზე, ნიადაგში სპორების, მიცელიუმის ან სხვა ფორმის (ოოსპორა, სკლეროცია, ქლამიდოსპორა, პიკნიდიუმი, პერიტეციუმი, ტელეიტოსპორა და სხვა) სახით. მრავალი წლის მანძილზე, სოკოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება დაკავშირდებულია ქლამატურ პირობებზე (Tapp, 1975).

მცენარეთა ზრდა-განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნიადაგს, საიდანაც ფესვის საშუალებით ითვისებს წყალს, მინერალურ მარილებს და სხვა საკვებ ნივთიერებებს. ს. ტარი (Tapp, 1972) აღნიშნავს, რომ მცენარის მიწისქვეშა ორგანოებს რთულ ბიოლოგიურ გარემოში უხდებათ განვითარება. ნიადაგში ბინადრობენ მრავალრიცხოვანი სხვადასხვა ცოცხალი იორგანიზმები, რომლებიც ურთიერთ-დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. ამას ემატება სასოფლო-სამუშრეო ღონისძიებები: ნიადაგის დამუშავება, სასუქების შეტანა, ქიმიურ ნივთიერებათა გამოყენება მავნებელ-დაუკადებათა და სარეველების წინააღმდეგ, მცენარეული ნარჩენების დაწვა და სხვა, რაც გავლენას ახდენს ნიადაგის სტრუქტურაზე, ტენიანობაზე, pH-ზე, მიკრობიოლოგიურ წონასწორობაზე.

ვ. ბილაი (Билай, 1977) აღნიშნავს, რომ *Fusarium*-ის გვარის წარმომადგენლების სიცოცხლისუნარიანობა და პიპულაციების რიცხობრიობის შემცირება დამოკიდებულია ნიადაგის ტიპზე, სტრუქტურაზე, ფიზიკურ-ქიმიურ შედგენილობაზე, აერაციაზე და სხვა ფაქტორებზე.

ქ. გიგაშვილის (Гикашвили, 1984) მონაცემების მიხედვით სოკო *Phoma tracheiphila*-ს სპორები  $40-45^{\circ}\text{C}$  ტემპერატურის პირობებში 7



დღის შემდეგ სრულიად კარგავების უნარს, მაშინ ციცონებული 24°C ტემპერატურაზე ხანგრძლივობით ინარჩუნებენ სიცოცხლისუნარიანობას.

ვ. მამუკაშვილი (1988) აღნიშნავს, რომ წიწოვანთა ფესვის ლპობის გამომწვევი სოკოები *Cylindrocarpon cedri* და *C. obtusisporum*-ი დაავალდებულ ფესვებზე იზამორებენ მიცელიუმის სახით, კონიდიალურ ნაყოფიანობას ანახლებენ გაზაფხულზე. სიცოცხლისუნარიანობის ხანგრძლივი (3-5 წელი და მეტი) შენარჩუნება ნიადაგში ქლამიდოსპორების საშუალებით ხდება. ქლამიდოსპორების მოსვენების მდგომარეობიდან გამოსვლას - გაღივებას, უზრუნველპყოფენ პატრონ მცენარის ფესვების მიერ გამოყოფილი ნივთიერებები.

სოკო *Phoma betae*-ს სიცოცხლისუნარიანობის და ვირულენტობის უნარის ხანგრძლივობის დაგვენის მიზნით, ნიადაგში სხვადასხვა სიღრმეზე მოთავსებული ნიმუშებიდან აღვტელი სპორების გაღივების უნარი შემოწმდა 25°C ტემპერატურის პირობებში 2, 4, 6, 8 და 24 საათის შემდეგ. აღრიცხვის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

გამოირკვა, რომ 6 თვის განმავლობაში ნიადაგის ზედაპირზე და 5 სმ სიღრმეზე მოთავსებულ ნიმუშებში ერთეული სპორების გაღივება უკვე 2 საათის შედეგ შეიჩინეოდა და 24 საათის შემდეგ 100%-ს უდრიდა.

10 სმ-ის სიღრმეზე მოთავსებულ ნიმუშებში ერთეული სპორების გაღივება 6 სთ-ის შემდეგ აღინიშნა და 24 სთ-ის შემდეგ გაღივებული

## ცხრილი 2

გადაზამთრების გავლენა სოკო *Phoma betae*-ს სპორების სიცოცხლისუნარიანობასა და ვირულენტობის უნარზე

ონგრექციის გადაზამთრების სიღრმე ნააღმდეგი სმ	გაღივებული სპორების რაოდინობა 6 თვის შემდეგ %	ნიმუშების სიღრმეზე შემდეგი გაღივებული სპორების რაოდინობა 10 თვის შემდეგ %	გაღივებული სპორების რაოდინობა 10 თვის შემდეგ %						სიღრმეზე დაგენერირების შემდეგი			
			2 სთ	4 სთ	6 სთ	8 სთ	24 სთ	2 სთ	4 სთ	6 სთ	8 სთ	24 სთ
ნიადაგის ზედაპირი	კონკრეტი 32,4 48,8 86,2 100 +	კონკრეტი 20,2 22,8 32,6	კონკრეტი 32,6									
5	კონკრეტი 30,6 46,2 72,6 100 +	კონკრეტი 0 0 0 0	კონკრეტი 16,8 28,6									
10	კონკრეტი 0 0 16,2 24,8 -	კონკრეტი 0 0 0 0	კონკრეტი 0									
15	კონკრეტი 0 0 10,8 22,2 -	კონკრეტი 0 0 0 0	კონკრეტი 0									
20	კონკრეტი 0 0 8,2 20,0 -	კონკრეტი 0 0 0 0	კონკრეტი 0									
30	კონკრეტი 0 0 0 0 -	კონკრეტი 0 0 0 0	კონკრეტი 0									



სპორების რაოდენობამ 24,8%-ს მიაღწია. 20 სმ სიღრმეზე მოთავსებული ნიმუშებში ერთეული სპორები 8 სთ-ის შემდეგ გაღივდა და 24 სთ-ის შემდეგ გაღივებული სპორების რაოდენობა 18,4%-ს არ აღემატებოდა. 30 სმ სიღრმეზე მოთავსებულ ნიმუშებში 24 საათის შემდეგ მხოლოდ ერთეული სპორები გაღივდა.

10 თვის შემდეგ სპორების ცხოველმყოფელობის უნარიანობა საგრძნობლად შემცირდა. ნიადაგის ზედაპირზე მოთავსებული ნიმუშებიდან 24 სთ-ის შემდეგ გაღივდა სპორების მხოლოდ 52,6%, 5 სმ სიღრმეზე 28,6%, 10 სმ სიღრმეზე ერთეული სპორები. 15-20-30 სმ სიღრმეზე მოთავსებული ნიმუშები გაიხრწნა და დაიშალა. მოლიანად გაიხრწნა და დაიშალა 16 თვის შემდეგ ნიადაგის ზედაპირზე და 5 სმ სიღრმეზე მოთავსებული ნიმუშებიც. რის გამოც, სპორების გამოცალგვება და მათი სიცოცხლისუნარიანობის შემოწმება შეუძლებელი გახდა.

სოკოს ვირულენტობის დადგენის მიზნით, წმინდა კულტურები გამოითხა ჟვალა იმ ნიმუშებიდან, სადაც სპორები გაღივდა და ჩატარდა სუფრის ჭარბლის ძირხვენების და ფოთლების ხელოვნური დასენიანება, სოკოს სპოროვანი სუსპენზიის შესხერებით. გამოირკვა, რომ 6 თვის შემდეგ ვირულენტობის უნარი შეინარჩუნა მხოლოდ ნიადაგის ზესაპირზე და 5 სმ-ის სიღრმეზე მოთავსებული ნიმუშებიდან გამოყოფილმა კულტურებმა, რომელთა მიერ დასენიანების ნიშნები ფოთლებზე 15 დღის, ხოლო ძირხვენებზე 25 დღის შემდეგ გამოვლინდა. 10 თვის შემდეგ ნიადაგის ზედაპირზე მოთავსებული ნიმუშებიდან გამოყოფილი კულტურებით დასენიანებისას, დაავადების სიმპტომები არ გამოვლინდა. 5, 10, 15, 20, 30 სმ სიღრმეზე მოთავსებული ნიმუშებიდან წმინდა კულტურების გამოყოფა არ მოხერხდა ძლიერი დანაგვიანების გამო და მათი ვირულენტობის დადგენაც შეუძლებელი გახდა.

მიღებული შედეგების მიხედვით შეიძლება დავასკნათ, რომ სოკო *Phoma betae* ქარგად იზამთრებს და ინარჩუნებს ვირულენტობის უნარს ნიადაგის ზედაპირზე და 5 სმ სიღრმეზე 10 თვის მანძილზე. რაც უფრო ღრმად არის მოთავსებული ნიადაგში მცენარეული ნარჩენები (15, 20, 30 სმ) მით უფრო მაღა იშლება ისინი და სოკოც ქარგავს სიცოცხლისუნარიანობას.

ინფექციის გადატანაში მცენარეული ნარჩენების და ოსლის მნიშვნელობის დასადგენად შემოღვომაზე (ნოემბრის მეორე დეკადა) ქოთნებში სტერილურ



ნიადაგში შეტანილი იყო სოკო *Phoma betae*-თი დაავადებული სუფორის ჭარხლის ფოთლები და მოთავსებული იყო ბუნებრივ პირობებში. გაზაფხულზე (აპრილის პირველი დეკადა) ამ ქოთნებში დაითვა კალიუმისტრომანგანტის 0,5%-იან ხსნარში 5 წუთის ექსპოზიციით დამუშავებული სუფრის ჭარხლის თესლი. აღირიცხებოდა აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა და მათზე დაავადების განვითარება. საკონტროლოდ გამოყენებული იყო სტერილურ ნიადაგში დათესილი დეზინფიცირებული თესლი.

აღრიცხვის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

### ცხრილი 3

სოკო *Phoma betae*-თი ნიადაგის ინფიცირების გავლენა  
დაავადების განვითარებაზე

ცხრის ვარჩენტი	დაცუსილი გარეულის რაოდენობა (ცალი)	1999				2000			
		აღმოცენებულ მცენის რაო- დენობა %	სხვაობა ძ %	დაავადებული მცენის რაო- დენობა %	სხვაობა ძ %	აღმოცენებული მცენის რაო- დენობა %	სხვაობა ძ %	დაავადებული მცენის რაო- დენობა %	სხვაობა ძ %
კონტროლი	10	68,8	–	10,2	–	70,8	–	8,8	–
დაცუსილი ნიადაგი	10	61,4	7,4	24,6	14,4	66,6	4,2	17,9	7,1

გამოირკვა, რომ 1999 წელს მცენარეული ნარჩენებით დასენიანებულ ნიადაგში 7,4%-ით შემცირდა აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა და 14,4%-ით გაიზარდა დაავადებული მცენარეების რიცხვი, კონტროლთან შედარებით. 2000 წელს აღნიშნული მონაცემები შესაბამისად 4,2% და 7,1%-ის ტოლია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დაავადებული მცენარეული ნარჩენები წარმოადგენს სოკო *Phoma betae*-ს ინფექციის წყაროს.

სოკო *Phoma betae*-ს გავრცელებაში თესლის მნიშვნელობის დასაღენერად საღი და დაავადებული მცენარეებიდან აღებული თესლი თავსდებოდა სტერილურ ნოტიო კამერებში და იდგმებოდა თერმოსტატში  $25^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე. ირიცხებოდა თესლიდან განვითარებული იმ ღივების რაოდენობა, რომელზედაც სოკო *Phoma betae* გამოვლინდა.

გამოირკვა, რომ საღი მცენარეებიან აღებული დეზინფიცირებული თესლიდან განვითარებულ ღივებზე დაავადება არ გამოვლინდა. დეზინფექციის



გარეშე კი *Phoma betae*-თი დაავადდა ღივების მხოლოდ 0,4% უმცირესი როდესაც დაავადებული მცენარეებიდან აღებული დეზინფიცირებული თესლიდან განვითარებულ ღივებზე დაავადება 11,0%-ზე გამოვლინდა, ხოლო დეზინფექციის გარეშე 18,6%-ზე.

სტერილურ პირობებში, დეზინფიცირებული თესლიდან განვითარებულ ღივებზე დაავადების გამოვლინება თესლის შინაგან ინფექციაზე მიუთითებს.

ჩატარებული ცდების მიხედვით შიეძლება დავასკვნათ, რომ სოკო *Phoma betae*-ს გავრცელებაში, როგორც ინფექციის წყაროს, დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეულ ნარჩენებს, თესლს და ნიადაგს.

სოკო კარგად იზამთრებს, ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და ვირულენტობის უნარს მცენარეულ ნარჩენებზე. ნიადაგის ზედაპირზე მოთავსებულ ნიმუშებში და როგორც თესლში, ისე მის ზედაპირზე.

### სოკო *Phoma betae*-ს მავნეობა სუფრის ჭარხლის მიმართ

საღი და სოკო *Phoma betae*-თი დაავადებული ფოთლების მქონე მცენარეების მავნეობის კოეფიციენტის დასადგნად ჩატარებული აღრიცხვის შედეგები მოცემულია მე-4 ცხრილში.

გამოიკვა, რომ სუფრის ჭარხლის მირზენების მოსავლის რაოდენობაზე გავლენას ახდენს ფოთლების მცირედ დაავადებაც კ. კერძიდ, 1 ბალით დაავადების შემთხვევაში მიღებული მოსავლის რაოდენობა 8,8%-ით შემცირდა, დაავადების ინტენსივობის ზრდის შესაბამისად კლებულობს

#### ცხრილი 4

#### სოკო *Phoma betae*-ს მავნეობის კოეფიციენტი

დაავადების ინტენსივობა ბალებში	აღრიცხული მცენარეების რაოდენობა (ცალი)	მიღებული მოსავლი კბ	I მირზენის საშუალო წონა კბ	I მირზენის სა- შუალო წონის სხვაობა საღმან შედარებით მ	სწვალბა %	მავნეობის კოეფიციენტი
საღი	50	43,200	864	—	—	—
1 ბალი	50	38,260	788	76	8,8	0,08
2 ბალი	50	32,360	647	217	25,1	0,25
3 ბალი	50	26,800	532	332	38,4	0,38
4 ბალი	50	18,400	36550	499	42,2	0,42
5 ბალი	50	12,840	286	578	66,9	0,66




მოსავლის რაოდენობა. ასე მაგალითად, 3 ბალით დაავადების შემთხვევაში მოსავლის რაოდენობა 38,4%-ით შემცირდა. 4-5 ბალით დაავადების შემთხვევაში კი შესაბამისად 42,2-66,9%-ით. მოსავლის რაოდენობის შემცირება იწვევს მავნეობის კოეფიციენტის გაზრდას. თუ 2 ბალით დაავადებული მცენარეების მავნეობის კოეფიციენტი 0,25% იყო, 4-5 ბალით დაავადების შემთხვევაში შესაბამისად 0,42% და 0,66%-ს მიაღწია.

ირკვევა, რომ მავნეობის კოეფიციენტი დაავადების ინტენსივობის პირდაპირპოპორციულად ცვალებადობს. რაც მეტია დაავადების ინტენსივობა, მით მეტია მავნეობის კოეფიციენტი კერძოდ, 1 ბალით დაავადებული მცენარეებისათვის მავნეობის კოეფიციენტი თუ 0,08%-ის ტოლია, 4-5 ბალით დაავადების შემთხვევაში შესაბამისად 0,42% და 0,66%-ს აღწევს.

სოკო *Phoma betae*-თი გამოწვეული სუფრის ჭარბლის ძირხვენების მოსავლის დანაკარგების აღრიცხვის შედეგი მოცემულია დაგრამა 6-ზე.

#### დაგრამა 6





1999 წელს 1 ბალით დაავადებული მცენარეების გავრცელება 41,6%-ის ტოლი იყო და მოსავლის დანაკარგი 3,33%-ს აღწევდა. 3 ბალით დაავადებული მცენარეების გავრცელება 24,4%-ს უდრიდა, ხოლო მოსავლის დანაკარგი – 9,27%-ს.

2000 წელს 1 ბალით დაავადებული მცენარეების გავრცელება 22,2%-ი, ხოლო მოსავლის დანაკარგები 1,78%-ის ტოლი იყო, 3 ბალით დაავადების შემთხვევაში კი შესაბამისად 12,6% და 4,79%. მნიშვნელოვნად შემცირდა მოსავლის დანაკარგები 4 და 5 ბალით დაავადების შემთხვევაში.

ირკვევა, რომ სუფრის ჭარხლის მოსავლის დანაკარგები დაკავშირებულია სოკოს გავრცელებაზე და განვითარების ონტენსივობაზე.

მიღებული შედეგების საუუძველებელზე შეიძლება დავასკვბნათ, რომ სოკო *Phoma betae*-ს მავნეობის კოფიციენტი სუფრის ჭარხლის დაავადების ონტენსივობის პირდაპირპოპორციულად ცვალებადობს. თუ 1 ბალით დაავადებული მცენარეების მავნეობის კოფიციენტი 0,08%-ია, 5 ბალით დაავადების შემთხვევაში 0,66%-ს აღწევს.

სუფრის ჭარხლის მოსავლის დანაკარგები დაკავშირებულია სოკო *Phoma betae*-ს გავრცელებაზე და განვითარების ონტენსივობაზე. 1999 წელს სუფრის ჭარხლის მოსავლის საერთო დანაკარგი 41,34%-ის ტოლი იყო, 2000 წელს – 20,77%-ს არ აღემატებოდა. (ცხრილი 5).

ცნობილია, რომ თესლი არის ბოსტნეული კულტურების მოსავლის რაოდენობის და ხარისხის ძირითადი საფუძველი. სათესლე მცენარეებზე

#### ცხრილი 5

##### სოკო *Phoma betae*-თი გამოწვეული მოსავლი დანაკარგები

დაავადების ინტენსივობა ბალუბში	დაავადების შენრების კოულიცენტი %	1999 წ.		2000 წ.	
		დაავადების გაურცელება %	მოსავლის დანაკარგები %	დაავადების გაურცელება %	მოსავლის დანაკარგები %
1 ბალი	0,08	41,6	3,33	22,2	1,78
2 ბალი	0,25	29,4	7,35	18,4	4,60
3 ბალი	0,38	24,4	9,27	12,6	4,79
4 ბალი	0,42	21,8	9,16	12,2	5,12
5 ბალი	0,66	18,6	12,28	6,8	4,48
კ.მ.მ.	–	–	41,34	–	20,77



და თესლზე ხოკოვანი დაავადებების და მავნეობის შესწავლას ხელშეკრულებისტორია აქვს.

ხაზარაძე (1953) აღნიშნავს, რომ ბადრიჯნის ნაყოფის სიდამპლის გამომწვევი სოკო *Phomopsis vexans*-ის მავნეობა მცენარის ვეგეტატიური ორგანოების და დაზიანების მიხედვით 20,2-39,1%-ს შორის ცვალებადობს. ამავე ხოკოთი ძლიერ დაავადებული ნაყოფებიდან აღებული თესლის აღმოცენება 28-32% არ აღემატება, ი. შოშიაშვილის და ნ. ყირიმელაშვილის (1950) მონაცემებით კი 10-18%-ს შეადგენს.

საქართველოს მებოსტნეობის რაიონებში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად თ. კუპრაშვილის (1997) მიერ დადგენილია, რომ სოკოვანი დაავადებები ამცირებენ ბოსტნეული კულტურების თესლის თესვით ხარისხს (გაღივების ენერგიას 3,6%-დან 95,4%-მდე, აღმოცენების უნარს 3,8%-დან 88,8%-მდე) დაავადების გავლენით მცირდება თესლის მოსავალი. საშუალოდ ერთ მცენარეზე 0,4%-დან 79,9%-მდე. დაავადების მავნეობის კოეფიციენტი იზრდება მცენარის დაავადების გამომწვევი სოკოების განვითარების ინტენსივობის შესაბამისად. იგი მუდმივი არ არის და ცვალებადობს მცენარის ჯიშის და გარემო პირობების მიხედვით.

დ. ტკვარსკოის (Тверской, 1954) მიერ შაქრის ჭარხლის გორგლებზე გამოკვლეულია 17 სახეობის სოკო. ავტორი შენიშნავს, რომ სოკო *Phoma betae* მხოლოდ თესლის საშუალებით ვრცელდება ნიადაგში და აღმონაცენების დაავადება ძირითადად ამ სოკოს მიერ არის გამოწვეული.

ბერიანიძე (1977) ჭარხლის თესლის გარეგანი ინფექციის გამომწვევი სოკოებიდან აღნიშნავს: *Alternaria*, *Cladosporium*, *Fusarium*, *Macrosporium*-ის გვარის წარმომადგენლებს, *Erysiphe communis*-ის კლეისტოკარპიუმებს და *Phoma betae*-ს პიქნიდებს. ავტორი მიუთითებს, რომ სოკო *Cercospora beticola*-თი დაავადებული მცენარეებიდან მიღებული თესლის მოსავალის დანაკარგი ჭრველ 1000 ცალ გორგალზე 5 გ-ს აღწევს.

სუფრის ჭარხლის (ჯიში “ბორდო 237”) თესლის მოსავალზე სოკო *Phoma betae*-ს გავლენის შესწავლის შედეგები მოცემულია მე-6 ცხრილში.

ცხრილში მოტანილი მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ იმ ძირზენებს, რომლებსაც წინა წელს ძლიერი ინტენსივობით (4-5 ბალი) ჰქონდათ დაავადებული ფოთლები, განვითარების უნარი შეუმცირდათ 20-40%-ით. წინა წელს 2 ბალით დაავადებული ფოთლების მქონე



ძირზენებზე შემცირდა 1 მცენარეზე განვითარებული სათესლე ღვწეული რაოდენობა 23,8%-ით, ხოლო 4-5 ბალით დაავადების შემთხვევაში შესაბამისად 57,2% და 66,7%-ით, რამაც გავლენა მოახდინა თესლის მოსავალზე. კერძიდ, თუ საღი მცენარებიდან მიღებული თესლის საშუალო რაოდენობა 384 გრამის ტოლი იყო, 4-5 ბალით დაავადებული მცენარეებიდან მიღებული თესლის რაოდენობა შესაბამისად 264 გ და 218 გ-ს არ აღმატებოდა.

გამოირკვა, რომ თესლის მოსავლის მავნეობის კოეფიციენტი იზრდება დაავადების ინტენსივობასთან დაკაუშირებით პირდაპირპროპორციულად. რაც მეტია დაავადების ინტენსივობა, მით მეტია მავნეობის კოეფიციენტი, რომელიც 2 ბალით დაავადებული ფოთლების მქონე ძირზენებიდან განვითარებული მცენარეებიდან მიღებული თესლისათვის 0,11%-ის ტოლია, 3 ბალით – 0,24%-ის, 4-5 ბალით – შესაბამისად 0,31% და 0,43%-ის ტოლი.

#### ცხრილი 6

სოკო *Phoma betae*-ს გავლენა სუფრის ჭარბლის თესლის მოსავალზე

ცდის ვარიანტი	გრუნტში გადატანილი მირჩვენების რაოდენობა	განვითარებული ძირზენების რაოდენობა	1 მცენარეზე განვითარებული თარგმლის სათესლე დარღვევის რაოდენობა		მიღებული თესლის საშუალო რაოდენობა	თესლის მოსავლის ინტენსივობა საკითხოების ლოსნით შედარებით მუშაობის ტიპი	
			ცალი	%			
(საკითხოების სახი)	10	10	100	21	100	384	–
1 ბალი	10	10	100	19	90,5	351	33 8,6 0,8
2 ბალი	10	10	100	16	76,2	339	45 11,8 0,11
3 ბალი	10	10	100	14	66,6	291	93 24,3 0,24
4 ბალი	10	8	80	9	42,8	264	120 31,3 0,31
5 ბალი	10	6	60	7	33,3	218	16 43,3 0,43

სუფრის ჭარბლის თესლის თესვით ხარისხზე სოკო *Phoma betae*-ს გავლენის შესწავლის შედეგები მოცემულია მე-7 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ირკვევა, დაავადების ინტენსივობის შესაბამისად მცირდება თესლის თესვითი ხარისხი. კერძოდ: 1 ბალით დაავადებულ მცენარეთა თესლის გაღივების ენერგია 5,7%-ით, ხოლო აღმოცენების უნარი 6,8%-ით არის შემცირებული. 4-5 ბალით დაავადების შემთხვევაში კი შესაბამისად – 31,3-38,1% და 33,0-42,9%-ით.

დაავადებული მცენარეებიდან მიღებულ თესლში, დაავადების ინტენსივობის ზრდის შესაბამისად იზრდება დაავადებული ღივების რაოდენობა.

**სოკო *Phoma betae*-ს გავლენა სუფრის ჭარხლის  
თესლის თესვით ხარისხში**

ცენტ კარიანტი	გაღვენდის წერტილი	d % M±m	აღმოჩენების უნარის %	d % M±m	დაავადებული ლივების რაოდენობა %	d % M±m	ლივების სიგრძე სმ	d % M±m
საღი	58,5	—	79,4	—	0,2	—	4,8	—
1 ბალი	52,8	5,7±2,1	72,6	6,8±2,2	1,2	1,0±1,2	4,5	0,3±1,2
2 ბალი	47,4	11,1±1,2	60,4	19,4±2,3	2,7	2,5±1,2	3,9	0,9±1,2
3 ბალი	39,8	18,7±1,2	57,8	21,6±2,2	3,6	3,4±2,0	3,4	1,4±2,2
4 ბალი	27,2	31,2±2,2	46,4	33,0±1,4	9,8	9,6±2,1	3,1	1,7±2,3
5 ბალი	19,4	38,1±12,2	36,5	42,9±1,2	11,4	11,2±1,4	2,8	2,0±2,2

**შენიშვნა:** თითოეულ კარიანტში საცდელად აღმოჩენი იყო 100 გორგლი

მაგალითად, თუ 1 ბალით დაავადებული მცენარეებიდან მიღებული თესლის შემთხვევაში დაავადებული ლივების რაოდენობა 1,2%-ის ტოლია, 4-5 ბალით დაავადების შემთხვევაში შესაბამისად 9,8% და 11,4%-ს აღწევს. დაავადებული მცენარეებიდან მიღებული თესლიდან განვითარებული ლივები დაკინიბულია, რაც აისახება მის ბიომეტრულ მაჩვენებლებზე. კერძოდ, დაავადებული მცენარის თესლიდან განვითარებული ლივის სიგრძე შესაბამისად 3,4 სმ, 3,1 სმ და 2,8 სმ-ს არ აღემატება.

მიღებული შედეგების საფუძველზე ირკვევა, რომ სოკო *Phoma betae* გავლენას ახდენს თესლის თესვით ხარისხში. დაავადების ინტენსივობის ზრდასთან დაკავშირებით მცირდება თესლის გაღივების ენერგია 5,7%-დან 38,1%-მდე, აღმოცენების უნარი 6,8%-დან 42,9%-მდე. იზრდება დაავადებული ლივების რაოდენობა 1,0%-დან 11,2%-მდე. მცირდება ლივის სიგრძე 4,8 სმ-დან 2,8 სმ-მდე.

**სოკო *Phoma betae*-ს და სხვა სოკოვანი დაავადებების  
მავნეობა შენახვის პირობებში**

სუფრის ჭარხლის შენახვას მისთვის დამახასიათებელი თვისებების შენარჩუნებით დიდი მნიშვნელობა აქვს კვების მრეწველობისათვის და მეორე წელს მაღალხარისხოვანი კლიტური თესლის მისაღებად.

შაქრის ჭარხლის ძირხვენების ლპობა შენახვის პირობებში – ბურტებში, მრავალი მკვლევარის მიერ არის შესწავლილი. ნ. ნაუმოვის (**Naumov,**



1940) შაქრის ჭარბლის ძირხვენებზე შენახვის პირველი რეგისტრირებული აქვს 10 სახეობის სოკო, რომლებიც გამოირჩევან პათოგენობით და შეხვედრის სისტემით.

ს. მოროჩკოვსკი (Морочкиковский, 1948) მიერ შაქრის ჭარბლის ძირხვენების შენახვისას ბურტებში გამოვლენილია 153 სახეობის სოკო. ავტორი აღნიშნავს, რომ უსრული სოკოების *Sphaeropsideles*-ების რიგიდან აღინიშნება მხოლოდ *Phoma* და *Sphaeronema*-ს გვარის წარმომადგენლები. დანარჩენი სოკოები მიეკუთვნებან *Hypomycetales*-ების რიგს.

ვ. ბუგბეს (Bugbe, 1974, 1975) მიხედვით აშშ-ი შაქრის ჭარბლის ძირხვენების ლპობის გამომწვევ სოკოებს შორის, როგორც ღია გრუნტში, ისე შენახვის პირობებში პათოგენობით და შეხვედრის სისტემით გამოირჩევა *Phoma betae*.

საქართველოში პირველი გამოკვლეული შენახვის პირობებში შაქრის ჭარბლის დაავადებების შესახებ ეკუთვნის ს. ისარლიშვილს (Исаарлишвили, 1940), იგი ნაუმოვის (Наумов, 1940) მსგავსად აღნიშნავს, რომ შენახვის პირობებში ძირხვენების ლპობა კომპლექსური ხასიათისაა და მასში ძრავალი მიკროორგანიზმი იღებს მონაწილეობას. ლპობის გამომწვევ სოკოებს ის ორ ჯგუფად ჰყოფს. შენახვის პირობებისათვის სეციფიკურ და არასპეციფიკურს. სპეციფიკურ სოკოებს მიაკუთვნებს *Botrytis cinerea*, *Verticillium lateritium* და *Oospora betae*-ს. არასპეციფიკური სოკოებიდან შეხვედრის სისტემით გამოჰყოფს *Aspergillus*-ის და *Penicillium*-ის სხვადასხვა სახეობებს.

მ. ბერიანიძის (1977) მიერ, შენახვის პირობებში შაქრის ჭარბლის ძირხვენებზე რეგისტრირებულია *Botrytis cinerea*, *Cladosporium* sp., *Oospora betae*, *Verticillium lateritium*, *Aspergillus niger*, *Penicillium* sp., *Trichothecium roseum*, *Rhizopus nigricans* და *Alternaria tenuis*.

ნ. ყირიმელაშვილის, მ. დოლიძის (1984) მონაცემებით, შენახვის პირობებში ჭარბლის ძირხვენების დაავადების ინტენსივობა ცვალებადობს შენახვის პირობებთან და ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. 1978-80 წლებში შენახვის დასაწყისში დაავადებული ძირხვენების რაოდენობა 0-10% იყო, შენახვის დასასრულს კი 51-72%. ძირხვენების ლპობის გამომწვევი 16 სახეობის სოკოდან პათოგენობით და შეხვედრის სისტემით გამოჰყოფენ: *Sclerotinia sclerotiorum*, *Botrytis cinerea*, *Rhizoctonia aderholdii*, *Phoma betae*, *Fusarium equisetum*, *F. oxysporum*-ს.



შენახვის პირობებში სათესლე სუფრის ჭარხლის (ჯიში 237<sup>“</sup>) მირჩვენების ლპობის გამომწვევი სოკოების სახეობრივი შედგენილობის და მავნეობის დადგენის მიზნით, 1999-2000 წლებში, გორის რაიონის ბერბუების საცდელი სადგურის საწყობში ჩატარებული მიკოლოგიური გამოკვლევების შედეგად გამოვლინდა: *Phoma betae*, *Botrytis cinerea*, *Fusarium oxysporum*, *F. solani*, *F. orthoceras*, *Rhizoctonia aderholdii*, *Alternaria alternata*, *Cladosporium herbarum*, *Mucor*-ის, *Penicillium*-ის და *Aspergillus*-ის სახეობები.

სოკოების მიერ სუფრის ჭარხლის ჯიში (ბორდო 237-ის) სათესლე შენახულ მირჩვენებზე გამოწვეული დანაკარგები მოცემულია მე-8 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ირკვევა, შენახვის პირობებში დაავადებული სათესლე მირჩვენების რაოდენობა მცირეა. 1999 წელს საკონტროლო ვარიანტში 2,5%-ის ტოლი იყო, ხოლო 1%-იანი ფორმალინის ხსნარით დამუშავებულ ვარიანტში 1,4%. შენახვის პირობებში საკონტროლო ვარიანტში მირჩვენების დაავადებებს შორის უფრო მეტად განვითარდა ფომოზი (*Phoma betae*) – 0,4%, რიზოქტონოზი (*Rhizoctonia aderholdii*) – 0,3%, ალტერნარიოზი (*Alternaria alternata*) – 0,22%. სხვადასხვა მიზეზებით დაავადებული ძირჩვენების რაოდენობა 0,7%-ის ტოლი იყო.

მსგავსი შედეგებია მიღებული 2000 წელს ჩატარებული გამოკვლევების შედეგად. კერძოდ, საკონტროლო ვარიანტში დაავადებული ძირჩვენების საერთო რაოდენობა 0,9%-ით მეტი იყო საცდელ ვარიანტთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ სოკო *Phoma betae*-თი დაავადებული ძირჩვენების რაოდენობა, საკონტროლო და საცდელ ვარიანტებს შორის, 1999 წელს 0,4% და 0,2%-ს შორის მერყებდა, ხოლო 2000 წელს 0,35% და 0,2% შორის ცვალებადობდა.

შენახვის პირობებში სათესლე ძირჩვენებზე სოკოვანი დაავადებების სუსტი განვითარება უნდა აიხსნას იმით, რომ სოკოვანი დაავადებები მინდორში სათესლე მცნარეებზეც არ აღინიშნებოდა. ინფექცია ძირჩვენებს საწყობის პირობებში ნაკვეთიდნ მცირდე ან სულ არ მიჰყებოდა. საწყობი სადაც ძირჩვენები ინახებოდა, ნაკვეთიდნ მცირე მანძილით იყო დაშორებული და გადაზიდვის დროს ძირჩვენები ნაკლებად ზიანდებოდა მექანიკურად. საწყობში დაცული იყო სანიტარულ-პიგინური პირობები, ტემპერატურის (0-4°C) და ტენის რეჟიმი, მუზმივად ხდებოდა საწყობის აერაცია.

ებრაული 8

ხელმისაწვდომი დაცვალებულის მავნეობა შენაძეის პირისძეში

აღნიშვნების დრო	ცენტ კარგი	შენაძეო მარხევების რაოდინის (კბ)	დაცვებული მარხევების რაოდინის (კბ)	ზოგოვანი დაცვალები												
				ფომაზი		ნიკოლეტი ბოტრიტი		ალტერნატი		ფუზიაზი		რიზოციტოზი		სერაფინიზი		
				მმ	%	მმ	%	მმ	%	მმ	%	მმ	%	მმ	%	
1999	საკონტროლო	400	9,9	2,5	1,6	0,4	1,6	0,4	0,9	0,22	1,8	0,45	1,4	0,3	2,8	0,7
	1%-იანი ფუზიაზის შენაძე	400	5,6	1,4	0,7	0,2	1,0	0,25	0,4	0,1	1,0	0,25	0,5	0,12	2,0	0,5
2000	საკონტროლო	400	8,3	2,1	1,4	0,35	1,0	0,25	1,2	0,3	1,6	0,4	1,0	0,25	2,1	0,52
	1%-იანი ფუზიაზის შენაძე	400	4,7	1,2	0,8	0,2	0,6	0,15	0,5	0,12	0,8	0,2	0,5	0,12	1,5	0,4



თბილისის სხვადასხვა რაიონების შეზღუდული პასუხისმგებლობის  
მაღაზიებში 2000 წელს ჩატარებული აღრიცხვის შედეგები მოცემულია  
მე-9 ცხრილში.

### ცხრილი 9

#### სოკოვანი დაავადებების მავნეობა სუფრის ჭარხლის სარეალიზაციო ძირხენებზე

აღრიცხვის ადგილი	სარეალიზაციო ძირხენების რაოდნობა მმ	დაავადებული ძირ- ხენების რაოდნობა		სოკოვანი დაავადებები		სხვადასხვა მიხედვი	
		მმ	%	მმ	%	მმ	%
ნაძლადევის ჩაიონი შ.პ.ს. მაღაზია	120	11,4	9,5	7,8	6,5	3,6	3,0
სამურსალოს ჩაიონი შ.პ.ს. მაღაზია	120	12,6	10,5	8,8	7,3	3,8	3,1

როგორც ცხრილიდან ირკვევა, ნაძლადევის რაიონის შ.პ.ს. მაღაზიაში, სარეალიზაციო დემოტანილი 120 კგ. სუფრის ჭარხლის (ჯიში “ბორდო 237”) ძირხენებიდან 9,5% იყო დაავადებული, მათ შორის სოკოვანი დაავადებებით 6,5%. სხვადასხვა მიზეზებით რეალიზაციიდან ჩამოწერილი ძირხენების რაოდნობა კი 3,0%.

შეგავსი შედეგებია მიღებული საბურთალოს რაიონის შ.პ.ს. მაღაზიაში ჩატარებული აღრიცხვის შედეგად. სადაც 120 კგ. ძირხენებიდან 7,3% სოკოვანი დაავადებებით იყო დაზიანებული, ხოლო 3,1% სხვადასხვა მიზეზით.

ხილბოსტნეულის მაღაზიებში ჩატარებული გამოკვლევებით სუფრის ჭარხლის დაავადებულ ძირხენებზე გამოვლინდა შემდეგ სოკოები: *Phoma betae*, *Botrytis cinerea*, *Sclerotinia libertinia*, *Rhizoctonia aderholdii*, *Fusarium oxysporum*, *Verticillium lateritium*, *Oospora betae*, *Trichothecium roseum*, *Cladosporium herbarum*, *Rhizopus nigricans*, *Aspergillus niger*, *Penicillium*-ის და *Mucor*-ის გვარის სახეობები, ბაქტერიული ლპობა და სხვა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის სამსახურის მაღაზიებში, სუფრის ჭარხლის (ჯიში “ბორდი 237”) ძირხენებზე დაავადების გამომწვევი სოკოების სიმრავლე, მათი ინტენსიურად გავრცელება და განვითარება



უნდა აიხსნას იმით, რომ სარეალიზაციოდ ძირხვენები შემოტკიცებული საცავადასხვა რაიონებიდან. მათი ტრანსპორტირების დროს გამორიცხული არ არის მექანიკური დაზიანება. მაღაზიებში და მათ საცავებში დაცული არ არის ტემპერატურის და ტენის რეჟიმი, არ ხდება აერაცია. მაღაზიებში სხვადასხვა ბოსტნეული ერთმანეთისაგან არ არის სრულყოფილად იზოლირებული. აღნიშნული მიზეზები ხელს უწყობს ძირხვენებზე ინფექციების გავრცელებას. განვითარებას და შესაბამისად დანაკარგების ზრდას 9,5%-დან 10,5%-მდე.

ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

სათესლედ და სარეალიზაციოდ შესანახად უნდა შეირჩეს საღი, მექანიკურად დაუზიანებელი ძირხვენები.

სათესლე ძირხვენები უნდა ინახებოდეს 1%-იანი ფორმალინის წსნარით დამშვავებულ მდინარის სილაში.

საცავში სადაც ინახება ძირხვენები, დაცული უნდა იყოს ტემპერატურის ( $0-4^{\circ}\text{C}$ ), ტენის რეჟიმი და სანიტარულ-ჰეთეროგენური ღონისძიებები.

არახელსაყრელ პირობებში შენახულ ძირხვენებზე სოკოვანი დაავადებებით გამოწვეული დანაკარგები 9,5%-დან 10,5%-მდე აღწევს.

## სოკო *Phoma betae*-ს გავლენა სუფრის ჭარხლის ფოთლებში მიმდინარე ზოგიერთ ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებზე

მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესები მნიშვნელოვნად ცვალებადობს პათოგენური სოკოების გავლენით. პათოგენის გავლენა მცენარეზე ძირითადად ვლინდება სუნთქვის ინტენსივობაზე და ფანგვა-ალღენითი ფერმენტების აქტივობაზე. (კაშია, 1972; კუპრაშვილი, 1997; ყანჩაველი, 1998). ბ. რუბინისა და ე. ჩეტვერიკოვას (Рубин, Четверикова, 1955) მონაცემებით, კომბოსტოს გამძლეობა სოკო *Botrytis cinerea*-სამი მით მეტია, რაც მაღალია ფოთლის სუნთქვის ინტენსივობა. ე. ალექსინი და ვ. ჩიგრინი (Алешин, Чигрин, 1966) აღნიშნავენ, რომ სიმინდის ჯანმრთელი და დაავადებისადმი გამძლე ჯიშების სუნთქვის ინტენსივობა შეადგენს 38%-ს. შთამთქმული  $O_2$ -ის საერთო რაოდნობა დაავადებულებში 32%-ს, ხოლო არა გამძლე ჯიშების დაავადებისას სუნთქვის ინტენსივობა



იზრდება 27%-დან 39%-მდე. მსგავს შედეგებზე მოუთითებს პ. პოლიაკოვი (Поляков, 1968) მზესუმზირის მიმართ.

მცენარეთა გამძლეობის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის, მკვლევარები შეიძლონ როლს ანიჭებენ პატრონ-მცენარის ფანგვით სისტემას, რომლითაც ხდება მცენარეთა გამძლეობის გაძლიერება დაავადების მიმართ, მცენარეთა დაავადებისას მათ ქსოვილებში შეღწეული ტოქსინების დაშლას საბოლოო პროცესებისამდე (Рубин, 1971; Рубин, Аксенова, 1957; Рубин, Арциховская, Аксенова, 1975) ფანგვა-აღღენითი ფერმენტებიდან ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: პეროქსიდაზას, ო-დიფენლოქსიდაზას და კატალაზას აქტივობას.

სოკო *Phoma betae*-ს გავლენით სუფრის ჭარხლის ფოთლებში მიმდინარე ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებლის ცვლილების შესწავლის შედეგები მოცემულია მე-10 ცხრილში.

მიღებული შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ სუფრის ჭარხლის (ჯიში “ბორდო 237”) ფოთლებში სუნთქვის ინტენსივობა ცვალებადობს დაავადების ინტენსივობის შესაბამისად. სადი და 1 ბალით დაავადებული ფოთლები ხასიათდებიან სუნთქვის მაღალი ინტენსივობით. კერძოდ, თუ სად ფოთლებში სუნთქვის ინტენსივობას 100%-ად მცვიჩნევო, მაშინ 1 ბალით დაავადებულ ფოთლებში სუნთქვის ინტენსივობა 1,3%-ით იზრდება.

#### ცხრილი 10

სოკო *Phoma betae*-ს გავლენა სუფრის ჭარხლის ფოთლებში  
მიმდინარე ზოგიერთ ფიზიოლოგიურ მაჩვენებლებზე

დაავადების ინტენსივობა ბალებში	სუნთქვის ინტენსივობა 1 გ/სთ 0 <sub>2</sub> მცე. Mწმ	d %	ფ ე რ მ ე ნ ტ ე ბ ი					
			ქატალაზა 1 გ/სთ 0 <sub>2</sub> მც Mწმ	d %	პეროქსიდაზა 1 გ/სთ H <sub>2</sub> O <sub>2</sub> მც Mწმ	d %	ო-დიფენლოქსიდაზა 1 გ/სთ 0 <sub>2</sub> მცე. Mწმ	d %
საღი	1921,7±0,1	0	164,2±0,8	0	176,0±0,8	0	568,2±0,2	0
1 ბალი	1938,6±0,2	1,3	172,8±0,5	5,2	189,0±1,1	7,3	582,2±0,2	2,4
2 ბალი	1832,4±0,2	4,7	186,6±0,5	13,6	197,0±0,6	11,9	512,4±0,1	9,5
3 ბალი	1716,2±0,3	10,7	198,3±0,3	20,7	186,0±0,6	5,6	458,6±0,1	19,3
4 ბალი	1210,2±0,3	37,1	204,2±0,3	24,3	168,0±0,8	4,6	368,8±0,2	35,1
5 ბალი	1028,6±0,1	46,5	216,0±0,5	31,5	149,0±0,8	15,4	260,4±0,4	54,2

შენიშვნა: სხვაობა d გამოანგარიშებულია საღი ფოთლების მონაცემებთან შედარებით



შემდეგ კი დაავადების ინტენსივობის ზრდასთან ერთად, სუნთქმის მიმდინარეობა ინტენსივობა მნიშვნელოვნად მცირდება. ასე მაგალითად, 3 ბალით დაავადებულ ფოთლებში სუნთქვის ინტენსივობა უკვე 10,7%-ით, ხოლო 4-5 ბალით დაავადებულებში შესაბამისად – 37,1% და 46,5%-ით არის შემცირებული.

დაავადების ინტენსივობის ზრდის შესაბამისად მსგავსი კანონმდიერებით ცვალებადობს ფერმენტი თ-დიფენლოქსიდაზა. კერძოდ 1 ბალით დაავადებულ ფოთლებში მისი აქტივობა 2,4%-ით არის გაზრდილი საღი ფოთლების მონაცემებთან შედარებით. 2, 3, 4 ბალით დაავადებულ ფოთლებში კი შესაბამისად – 9,5%, 19,3% და 35,5%-ით არის შემცირებული.

ამავე ცხრილში მოტანილი მონაცემების მიხედვით, ფერმენტ კატალაზას აქტივობა დაავადების ინტენსივობის ზრდის პიორდაპირპორციულად მატულობს. მაგალითად, თუ საღი ფოთლებში ფერმენტ კატალაზას აქტივობა 164,2 გ/სთ. 2 მეტლ-ია, 1 ბალით დაავადებულ ფოთლებში მისი აქტივობა უკვე 5,2%-ით არის გაზრდილი. 3-4 ბალით დაავადებულ ფოთლებში კი შესაბამისად – 20,7% და 24,3%-ით.

სხვადასხვა ინტენსივობით დაავადებულ ფოთლებში არაკანონმდიერად ცვალებადობს ფერმენტ პეროქსიდაზას აქტივობა. კერძოდ, თუ 1 და 2 ბალით დაავადებულ ფოთლებში მისი აქტივობა შესაბამისად 7,3% და 11,9%-ით გაიზარდა საღი ფოთლების მონაცემებთან შედარებით, 3 ბალით დაავადებულ ფოთლებში მისი აქტივობა უკვე მცირდება და 4-5 ბალით დაავადებულ ფოთლებში შესაბამისად 4,6% და 15,4%-ით არის შემცირებული.

ჩვენს მიერ მიღებული შედეგი ემთხვევა მკვლევართა (მაჩხანელი, და სხვა, 1979; ფანხაველი, 1998; **Нанда Кумар**, 1991) მონაცემებს, რომელთა მიხედვითაც სუნთქვის მაღალი ინტენსივობის და დამჟანგველი ფერმენტების მაღალი აქტივობის დროს, მცენარეში წარმოშობილი ფენოლური ნაერთები ტოქსიურად მოქმედებენ ინფექციის გამომწვევ პათოგენზე და ზღუდავენ მის განვითარებას, რაც ზრდის მცენარის გამძლეობას.

სხვადასხვა ჯიშის სუფრის ჭარხლის ფოთლებში მიმდინარე ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებლის შესწავლის შედეგები მოცემულია მე-11 ცხრილში.

ზოგიერთი ფიზიოლოგიური მაჩვენებელი  
 სხვადასხვა ჯიშის სუფრის ჭარხლის ფოთლებში

სუფრის ჭარხლის ჯიში	სუნთქვას ინტენსივობა 1 გ/სთ 0 <sub>2</sub> მცლ. Mწმ	d %	ფ ე რ მ ე ნ ტ ე ბ ი					
			ქატალიზა 1 გ/სთ 0 <sub>2</sub> მცლ. Mწმ	d %	პროტომიდან 1 გ/სთ H <sub>2</sub> O <sub>2</sub> მცლ. Mწმ	d %	ო-დიოქსინილუ- სიდან 1 გ/სთ 0 <sub>2</sub> მცლ. Mწმ	d %
ბორდი 237	1921,7±0,1	0	164,2±0,8	0	176,0±0,8	0	568,2±0,2	0
გორული კრებული	1842,6±0,2	4,2	179,8±0,5	9,5	196,0±0,6	11,3	522,4±0,1	8,0
დენისტიკ- ნაა	1789,2±0,2	6,5	154,2±0,5	6,5	172,0±0,4	9,5	502,6±0,2	11,6

შენაშენა: სხვაობა d გამოინგარიშებულია შედარებით გამძლე ჯიშ  
 “ბორდი 237”-ის მონაცემებთან შედარებით.

მიღებული შედეგების მიხედვით გამოირკვა, რომ შედარებით გამძლე ჯიში “ბორდი 237” ხასიათდება სუნთქვის მაღალი ინტენსივობით, ვიდრე მასთან შედარებით მიმღებიანი ჯიშები „გორული ერთობელი“ და „დვუსემენია“. სხვაობა მათ შორის აღნიშნული მაჩვენებლების მიხედვით შეადგენს შესაბამისად 4,2% და 6,5%-ს.

გამოირკვა აგრეთვე, რომ ფერმენტ პეროქსიდაზას აქტივობას არა აქვს მკვეთრად გამოხატული კავშირი დაავადების მიმართ. კერძოდ, ჯიშ „გორული ერთობელის“ ფოთლებში, ფერმენტ პეროქსიდაზას აქტივობა 11,3%-ით აღემატება გამძლე ჯიშის “ბორდი 237”-ის იმავე მაჩვენებელს, „დვუსემენია“ს- კი 9,5%-ით ჩამოარჩება, მსგავსი მონაცემებია მიღებული ფერმენტ კატალაზას შემთხვევაში.

სოკოვანი დაავადებების მიმართ გამძლე ჯიშ “ბორდი 237”-ის ფოთლებში ფერმენტი ო-დიფენოლოქსიდაზას აქტივობა უფრო მაღალია და შესაბამისად 8,0% და 11,6%-ით აღემატება ჯიში “გორული ერთობელი“-სა და „დვუსემენია“-ს ფოთლებში მის აქტივობას.

ჩვენი მონაცემები ემთხვევა სხვა მრავალი და მათ შორის ა. ნაცვლიშვილის (1967) მონაცემებს, რომელიც ანალიზებს რა შედეგებს სიმძინის პელმინთო-სპორიოზისადმი გამძლეობის ზოგიერთ ფიზიოლოგიურ მაჩვენებელს, აღნიშნავს, რომ იმ პერიოდში, როცა მცენარე პელმინთოსპორიზისადმი გამძლეობას იჩენს, კატალაზაც აქტიურ მდგომარეობაშია. მაშინ

კი, როცა მცენარე შედარებით აღვილად ავადდება, კატალაზას აქტივულობების დაქვეითებულია, რაც გარკვეულ როლს ასრულებს მცენარის დაავადდებაში. იგი ასკვნის, რომ კატალაზა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სიმინდის პელმინთოსპოროზისადმი გამძლეობის ერთ-ერთი მაჩვენებელი.

მსგავსი კანონზომიერებით ცვალებადობს სუფრის ჭარხლის ფოთლებში ჩვენს მიერ შესწავლილი ფერმენტების ო-დიფენოლოქსიდაზას და კატალაზას აქტივობა და სუნთქვის ინტენსივობა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ სუფრის ჭარხლის გამძლეობას სოკოვანი დაავადებების მიმართ განსაზღვრავს: სუნთქვის მაღალი ინტენსივობა, დამჟანგველი ფერმენტების ო-დიფენოლოქსიდაზას და კატალაზას მაღალი აქტივობა.

აღნიშნული კანონზომიერება შეიძლება გამოვიყენოთ როგორც სა-დიაგნოსტიკო მაჩვენებელი მცენარის გამძლეობის დასადგენად.

### ფოთლების ლაქიანობის გავლენა სუფრის ჭარხლის ძირზენების ბიოქიმიურ შედგენილობაზე

მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის სასიცოცხლო პროცესების რეგულირებაში, უჯრედის მეტაბოლიზმში, ჟანგვა-აღღენითი პროცესების მიმდინარეობაში, დიდ როლს ასრულებენ: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები და ფერმენტები.

სოკოვანი დაავადების გავლენით მნიშვნელოვნად იცვლება აღნიშნული ნივთიერების შემცველობა როგორც უჯრედში, ისე მცენარის სხვადასხვა ორგანოებში.

ლიტერატურული წყაროებიდან (Крокер, Бартон, 1955; Бабичев, 1967; Викторов и др., 1977; Аникеенко, 1981) ცნობილია, რომ ფოთლების ლაქიანობის გამომწვევი სოკოების მიერ საასიმილაციო არის შემცირება, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსაკლის რაოდენობაზე და ორგანული ნივთიერებების სინთეზზე.

თ. კუპრაშვილის და სხვა ავტორების (Купрашвили, 1982) მონაცემებით უიტოფტოროზით დაავადებული მცენარეებიდან მიღებული პამიდორის თესლში მცირდება ცილების რაოდენობა 0,7%-ით, ცხიმების 20,0%-ით, ბლუკოზის – 1,08%, კატალაზის აქტივობა 2,9%-ით. დაავადებული



თესლიდან განვითარებულ ღივებში აღნიშნული ნივთიერებების რაოდენობა  
შემცირებულია შესაბამისად 0,9%, 13,8%, 0,8 და 3,1%-ით.

გ. გეფერიძის (Геперидзе, 1986) მიერ დაღვენილია, რომ სოკო *Fusarium oxysporum*-ი და და *Verticillium dahliae*, წიწაკისა და ბადრიჯნის დაავადებისას იწვევენ ფენოლური ნაერთების აქტიურ სინთეზირებას, რომელიც მაქსიმუმს აღწევს მცენარის ინფიცირებიდან 48 საათის შემდეგ.

6. სულამანიძე (Суламанидзе, 1990) აღნიშნავს, რომ სოკო *Pseudopeziza medicaginis* (Lib.) Sacc. იონჯაზე იწვევს ცილების (6,3%-დან 4,40%-მდე) და ცხიმების (7,74%-დან 3,21%-მდე) შემცირებას, ხოლო სოკო *Uromyces stratus* Shorot – შესაბამისად 3,43%-დან 1,13%-მდე.

შაქრის ჭარხლის ძირჩვენებში, სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ბიოქიმიური ცვლილებები მრავალი მკვლევარის მიერ არის შესწავლილი. მცირეა მონაცემები სუფრის ჭარხლის შესახებ.

სუფრის ჭარხლის ფოთლების ლაქიანობის გამომწვევი სოკოები ამცირებენ რა საასიმილაციი არეს, გავლენას ახდენენ მოსავლის რაოდენობაზე და ხარისხზე, მცენარეში მიმდინარე ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ პროცესებზე.

სოკო *Phoma betae*-თი სხვადასხვა სიმძლავრით დაავადებული ფოთლების მქონე სუფრის ჭარხლის ძირჩვენებში ორგანული ნივთიერებების შემცველობის აღრიცხვის შედეგები მოცემულია მე-12 ცხრილში.

## ცხრილი 12

ფოთლების ლაქიანობის გავლენა სუფრის ჭარხლის ძირჩვენების ბიოქიმიურ შედეგებისაზე

დაავადების ინტენსიურობა ბალებში	ორგანულ ნივთიერებათა შემცველობა მარხველების	მარხველი ბალების შედეგების მარხველების
საღი	11,5	0,03
1 ბალი	10,4	0,03
2 ბალი	9,8	0,04
3 ბალი	8,4	0,05
4 ბალი	7,2	0,05
5 ბალი	6,1	0,06



ორგორც ცხრილიდან ირკვევა, სუფრის ჭარბლის მირზვენებში ორგანიზმები ნივთიერებების შემცველობაზე გავლენას ახდენს 1 ბალით დაავადებაც კი. დაავადების ინტენსივობის ზრდის შესაბამისად მნიშვნელოვნად იცვლება დაავადებული მცენარეების მირზვენებში ორგანულ ნივთიერებათა შემცველობა. კერძოდ, 3 ბალით დაავადებულ მცენარეთა მირზვენებში შემცირდა შაქრების საერთო რაოდენობა 3,1%-ით, ვიტამინი C - 2,6%-ით, შშრალი ნივთიერება 2,4%-ით, გაიზარდა მჟავიანობა 0,02%-ით. 5 ბალით დაავადებული ფოთლების მქონე მირზვენებში სხვაობა აღნიშნულ მონაცემებს შორის შესაბამისად 5,4%-ის, 5,6%-ის, 6,0%-ის და 0,03%-ის ტოლია.

მიღებული შეჯეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ფოთლების ლაქიანობის გამომწვევი სოკო *Phoma betae* მნიშვნელოვნად ამცირებს საასიმილაციო არეს და შესაბამისად, ორგანული ნივთიერებების შემცველობას მირზვენებში.

ძლიერი ინტენსივობით – 5 ბალით დაავადებული ფოთლების მქონე მირზვენებში საღ მცნარეებთან შედარებით, მცირდება შაქრების საერთო რაოდენობა 5,4%-ით, ვიტამინი C - 5,6%-ით, შშრალი ნივთიერება 6,0%-ით და იზრდება მჟავიანობა 0,03%-ით.

ბიოქიმიური ცვლილებები მირზვენებში გავლენას ახდენს მის კვებით ღირებულებაზე.

## სუფრის ჭარბლის რიზოსფეროს მიპობირტა

სუფრის ჭარბლის რიზოსფეროს სოკოების სახეობრივი შედეგნილობა და მათი განაწილება ვერტიკალური ზონალობის მიხდვით

ნიადაგში გავრცელებული პათოგენური ორგანიზმების შესწავლა როგორია, მაში მიმდინარე მრავალმრბრივი სასიცოცხლო პროცესების გამო.

ი. ელიავა და სხვა ავტორები (1992) აღნიშნავნ, რომ ბუნებაში არსებული, კრიმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცოცხალი ორგანიზმები, ქმნიან ბიოტურ თანასაზოგადოებებს ანუ ბიოცნობებს. ცენოზის უზნქციურ სტრუქტურაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნიადაგს, რომლის



ნებისმიერი გენეზისური პორიზონტი როგორც ფიზიკურ-ქიმიური მარტინის ბიოლოგიური თვისებებით, ისე შისი თანასაზოგადოების კომპონენტთა კავშირებისა და ურთიერთობებების ხასიათის მიხედვით, სხვებისაგან არსებითად განსხვავებული წარმონაქმნა.

ნიადაგში გავრცელებული პათოგენური ორგანიზმების (სოკოები, აქტინომიცეტები, ბაქტერიები და სხვა) გამოვლენა და შესწავლა წარმოადგენს ურთულეს საკითხს, ნიადაგში მიმდინარე მრავალმხრივი სასიცოცხლო პროცესების გამო. დ. პარკი (Park, 1963, ციტირებულია Tapp, 1975-ის მიხედვით) აღნიშნავს, რომ ნიადაგში აღვილი აქვს მცენარეს, პათოგენს და მიკროორგანიზმთა პოპულაციებს შორის სამმხრივ ურთიერთდამოკიდებულებას. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია აგრეთვე ნიადაგის თავისებურება, აბიოტური და ბიოტური ფაქტორების ზემოქმედება. მსედველობაშია მისაღები – ნიადაგის სოკოების მიერ გამოყოფილი სპეციფიკური მეტაბოლური ნივთიერებები ანტიბიოტიკები და ტოქსინები, რომლებიც უძიდეს გავლენას ახდენს ნიადაგში მიმდინარე პროცესებზე. სოკოების მიერ სინთეზირებული ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები, ზრდის სტიმულატორები – აჩქარებებნ მცენარეთა ზრდას, ზოლო ინიციატივები – პირიქით, ანელებენ პროცესებს.

ცნობილია, რომ სოკო ნიადაგში გვხვდება მიცელიუმის, სპორების ან სხვა მოსკენების მდგომარეობაში მყოფი სტრუქტურული ერთულის სახით. თ. უირკაპს (Yorckap, 1961) შესწავლილი და გაანალიზებული აქვს ლიტერატურული მონაცემები ფესვის ლპობის გამომწვევი სოკოების გავრცელებისა და მათი გამოვლენის მეთოდების შესახებ.

საინტერესო მონაცემები აქვს განხილული ა.დ. ლოკხედ (Локхед, 1962) რიზოსფეროს მიკროორგანიზმების და მათი დამოკიდებულების შესახებ ფესვის ლპობის გამომწვევ სოკოებთან. სტოვერი (Стовер, 1962) მიმოიხილავს ლიტერატურულ წყაროებს და ასკვნის, რომ ფესვის ლპობის გამომწვევი სოკოების ზრდა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება ნიადაგში მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ს. ვილხელმი (Вилхелм, 1962) შენიშნავს, რომ მცენარის ფესვთა სისტემაზე თავს იყრის მრავალრიცხვოანი უცხო პარაზიტი და საპროფიტო ორგანიზმები, რომლებიც იწვევენ ფესვის ბუსუსების, ან შალითის დაავადებას და ქმნიან სპეციფიკურ ეკოლოგიას ფესვისინგვლივ ზონაში.



დ. სანფორტის (Санфорд, 1962) მიერ შესწავლითია ნიადაგის მცენარეების სხვა ორგანიზმების და მათ მიერ გამოყოფილი ნივთიერებების გავლენა ფესვის დაავადების გამომწვევ სოკოებზე. განხილული აქვს ტოქსიკური მეტაბოლიტების ანტიბიოტიკური მოქმედება და თანმხლები ორგანიზმების პარაზიტულობა მათ მიერ ფესვის დაავადების გამოწვევისას.

ვ. კროიტცერი (Kreutzer, 1960, ციტირებულია Tapp, 1975-ის მიხედვით) ფესვის დაავადების გამომწვევ სოკოებს განიხილავს ნიადაგის სიღრმესთან დაკავშირებით და ასკნის, რომ ნიადაგში 6-7 სმ სიღრმეზე თავმოყრილია პათოგენური სოკოების 60%-მდე. მათ შორის ძირითადად გვხვდება თესლის, აღმონაცენების და ფესვის ყელის დაავადებების გამომწვევი სოკოები: *Pythium*, *Rhizoctonia*, *Phitophthora*, *Fusarium*, *Sclerotinia*, *Sclerotium* და *Helminthosporium*-ი 7,6-30,5 სმ. სიღრმეზე გვხვდება 30%. ძირითადად ფესვის დაავადების გამომწვევი სოკოები: *Fusarium oxysporum*, *F. solani*, *Verticillium albo-atrum*-ი, ნემატოდები და სხვა. სოკოების 10%-ი 30,5 მ სიღრმის ქვევით არიან განლაგებული. მათ მიერუონება: *Phytopatrichum*, *Armillaria*, *Fomes* და სხვა სოკოები. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ მონაცემებს ახლავს მრავალი გადახრები, რაც დაკავშირებულია ნიადაგის ტიპთან, გარემო პირობებთან, მცენარეულ საფარითან და სხვა ფაქტორებთან.

სოკოების განლაგებაზე ნიადაგის სიღრმესთან დაკავშირებით გავლენას ახდენს აგრეთვე ის, რომ ერთწლიანი მცენარეების ფესვები ძირითადად ნიადაგის ზედაპირთან არიან განლაგებულნი, ხადაც თავმოყრილია ორგანული ნივთიერებები. ორწლიანი და მრავალწლიანი მცენარეების ფესვები უფრო ღრმად ვითარდებიან.

საქართველოში პირველი გამოკლევები ნიადაგის მიკობიტის შესახებ ეკუთვნის ე. ერისთავს, ს. ისარლიშვილს (Эристави, Исаарлишвили, 1940). ს. ისარლიშვილს (Исаарлишвили, 1957), ტ. დადალაურს (Дадалаури, 1973, 1974, 1975) ტ. დადალაურს და ზ. კოტეტიშვილს (1975, 1976, 1979, 1984), ზ. კოტეტიშვილს (Котетишвили, 1984, 1985) მათ შესწავლით აქვთ სხვადასხვა მცენარეების რიზოსფერო, მიკობიტის განაწილება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით, და სხვა საკითხები. მათ მიერ ნიადაგიდან გამოვლენილი მიკობიტის წარმომადგენლების უმრავლესობა პირველად არის რეგისტრირებული საქართველოში.



მცენარეთა საღ ფესვებზე დასახელებული ნიადაგის მიკროფილეტების შესწავლის შედეგად ტ. დადალაური და ზ. კოტეტიშვილი (1975) ასკვნიან, რომ მცენარეთა ფესვებზე დასახლებული სხვადასხვა სახეობის მიკრომიცეტების აქტიური ფორმების გადანაწილებაში ფესვის ზედაპირზე, გარკვეული სპეციალიზაცია არსებობს. სოკოების ამგვარ გადანაწილებას განაპირობებს ფესვთა სისტემის ბუნება, ნიადაგის თავისებურება, ტენიანობა, აერაცია და სხვა ეკოლოგიური ფაქტორები.

ნიადაგის მიკრომიცეტების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ძირწვენა კულტურებისათვის. ცნობილია, რომ სუფრის ჭარხლის ფორმზის გამომწვევი სოკო *Phoma betae*-ს ინფექციის ძირითად წყაროს წარმოადგენს დაავადებული თესლი და მცენარეული ნარჩენებით დანაგვიანებული ნიადაგი. გარდა ამისა, სუფრის ჭარხლის ძირზენებს ინფექცია მინდვრიდან მიჰყევება საწყობში და მისი განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებში იწვევს ძირწვენების ლპობას. გაზაფხულზე ინფიცირებული ძირწვენების გადარვის დროს, დაავადების საწყისი ნიადაგში გადაღის და აღვილი აქვს ინფექციის ახალი კერების გაჩენას.

ჰ. იენსენის (Iensen, 1931) მიხედვით სხვადასხვა სახის ნიადაგებთან დაკავშირებულია სოკოების განსაკუთრებული თანასაზოგადოება. დ. იორკაპის (yorkan, 1962) მიერ დადგენილია, რომ მჟავე და ტუტე ნიადაგებთან დაკავშირებით სოკოები იყოფა ორ ჯგუფად. ჰ. ტრენსერ, მ. ბაკუს და ი. კურტის (Trenser, Backus, Curtis)

1999-2000 წლებში ჩვენს მიერ შიდა ქართლის რაიონებში (მცხეთა, გასპი, გორი, ქარელი, ხაშური) სუფრის ჭარხლის რიზოსფეროდან, ყამირი და ათვისებული ნიადაგებიდან გამოყოფილი სოკოების სახეობრივი შედგენილობა და მათი განაწილება ვერტიკალური ზონალობის მიხდვით მოცემულია მე-13 ცხრილში.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად შიდა ქართლის რაიონებიდან აღებულ ნიადაგის ნიმუშებში გამოვლინდა 3 კლასის, 41 გვარის, 66 სახეობის სოკო. მათ შორის *Oomycota*-ს კლასს მიეკუთვნება 4 გვარის, 4 სახეობს სოკო; *Zygomycota*-ს 7 გვარის 13 სახეობა, *Deuteromycota*-ს 30 გვარის 48 სახეობა. სახეობის სიმრავლით გამოირჩევა გვარი *Mucor*-ის 5 სახეობა, *Aspergillus* – 4, *Fusarium* – 4, *Alternaria* – 4, *Penicillium* – 3 სახეობა. დანარჩენი გვარები 2 ან 1 სახეობთ არის წარმოდგენილი.

სუფრის ჭარხლის რიზოსფეროს სოკოების სახეობრივი შედგენილობა  
და მათი განაწილება კერტიკალური ზონალობის მიხედვით

№	სოკოს დასახულება	ნიმუშის აღების სიღრმე სპ					
		ნიადაგის ზეპაპრი	5	10	20	30	40
1	2	3	4	5	6	7	8
1	<i>Z. Absidia blacesilicana</i> Lendl. (142:32)				+		
2	<i>Z. A. glauca</i> Hagem (142:9)			+			
3	<i>D. Acremoniella vaccinii</i> (Fusc.) Sacc (118:114)		+		+		
4	<i>D. Alternaria longipes</i> (Ellis) Mason. (246:478)	+	+	+			
5	<i>D. A. radicina</i> M.D. et Ell. (246:470)			+	+		
6	<i>D. A. alternata</i> (Fr.) Keis (246:464)			+			
7	<i>D. A. tenuis</i> Nees (246:265)	+	+	+			
8	<i>O. Aphanomyces cochlioides</i> Drechs. (55:24)	+	+				
9	<i>D. Aspergillus clavatus</i> Desm. Raper. (140:43)	+	+		+		
10	<i>D. As. candidus</i> Link. Raper. (116:43)						+
11	<i>D. As. orjzae</i> Cohn. Raper. (118:20)					+	
12	<i>D. As. lutescens</i> Brain. (116:38)	+	+	+			
13	<i>D. Botrytis cinerea</i> Pers. (246:179)	+	+			+	
14	<i>D. Cephalosporium glutineum</i> Kamy. (118:30)			+	+		
15	<i>D. C. atrum</i> (Gorda) Pidopl. (118:39)	+	+	+		+	
16	<i>D. C. ramosum</i> Kamyshko (118:19)		+	+	+	+	
17	<i>Z. Circinella rigida</i> G. Smith. (142:45)			+	+	+	
18	<i>D. Cercospora beticola</i> Sacc. (246:278)	+					
19	<i>D. Cladosporium lignicola</i> Corda (118:161)					+	
20	<i>D. Cl. epiphyllum</i> Pers. (118:161)	+	+				
21	<i>D. Drechslera maydis</i> (Nisik) Subram sin. <i>Helminthosporium myidis</i> Nisikado. (140:160)	+	+	+			
22	<i>D. Fusarium orthoceras</i> App. (54:139)	+				+	+
23	<i>D. F. oxysporum</i> (Schlecht) Snyd. (54:202)				+	+	
24	<i>D. F. semitectum</i> Berk. (54:184)	+					
25	<i>D. F. solani</i> (Mart.) App. et Wr. (54:208)	+	+				
26	<i>D. Gliocladium zaleskii</i> Pidopl. (140:41)				+	+	+
27	<i>D. Gloeosporium betae</i> Dearch. et Barth. (190:219)	+	+				
28	<i>D. G. lindemuthianum</i> Sacc. (140:205)	+	+	+			
29	<i>D. Graphium bulbicola</i> Hennings (118:200)	+	+				
30	<i>Z. Gunninghamella echinulata</i> (Thax) <i>Rhodera</i> . (142:9)	+	+				
31	<i>D. Humicola grisea</i> Traen. (118:115)	+					



1	2	3	4	5	6	7
32	<i>D. Melanconium sphaeroideum</i> Link. (234:569)	+				2012 წლის ივნისი
33	<i>Z. Mortierella reticulata</i> Tiegh. (142:17)					+
34	<i>Z. Mucor bacilliformis</i> Hesel. (142:50)	+	+			
35	<i>Z. M. paracicicus</i> Bain (142:62)	+		+	+	
36	<i>Z. M. saturninus</i> Hegem. (142:69)	+	+	+		
37	<i>Z. M. recurvus</i> Butler. (142:46)			+	+	
38	<i>Z. M. plumbeus</i> Bon. (142:57)			+		
39	<i>D. Murogenella terrophila</i> Gross. (246:84)			+		
40	<i>D. Nigrospora sphaerica</i> (Sacc.) Mason. (140:32)	+	+	+		
41	<i>D. Penicillium verticilloides</i> Pidop. (139:43)		+	+		
42	<i>D. P. funiculosum</i> Thom. Raper. (139:63)	+	+	+	+	
43	<i>D. P. roseum</i> Brain (139:57)				+	
44	<i>O. Peronospora farinicola</i> (Fr.) Fr. (139:57)	+	+			
45	<i>O. Phytophthora</i> sp.	+	+			
46	<i>O. Pythium debarianum</i> Hesse. (55:24)	+	+			
47	<i>D. Phoma betae</i> Frank. (55:200)	+	+			
48	<i>D. Phomopsis dauci</i> Arx (55:206)	+	+			
49	<i>D. Pullularia pulluoaans</i> (de Bary) (55:113)		+		+	
50	<i>D. Pseudobotrytis terrestria</i> (Tim) Subram.	+				
51	<i>D. Rhizoctonia aderholdii</i> (Ruhl) Kolosh. (55:80)	+	+			
52	<i>D. R. solani</i> Kuhn. (55:85)	+	+			
53	<i>Z. Rhizopus nigricans</i> Fhrenb. (142:34)	+				
54	<i>Z. R. oryzae</i> Went. et Prin. (142:37)	+				
55	<i>D. Sclerotium rolfsii</i> Sacc. (55:88)	+		+		
56	<i>D. Septoria betae</i> West (221:167)	+				
57	<i>D. Stachildium bicolor</i> Link. (246:538)	+			+	
58	<i>D. Stysanus stemonites</i> (Pers.) G. (140:191)			+		
59	<i>D. Torula convoluta</i> Harz. (140:37)			+	+	
60	<i>D. T. herbarum</i> (Pers.) Link. (246:337)	+	+			
61	<i>D. Trichoderma lignorum</i> Tode. (118:47)					+
62	<i>D. Tr. viride</i> Pers. Rifal. (118:46)				+	+
63	<i>D. Tr. koningii</i> Oudem. Ragai. (118:46)				+	+
64	<i>D. Verticillium albo-atrum</i> Reinke et Berth (140:81)		+	+	+	
65	<i>D. V. lateritium</i> Berk. v. <i>beticola</i> Pidopl. (140:79)	+	+	+		
66	<i>Z. Zygorhynchus heterogamus</i> Vuill (142:42)					

შენიშვნა:

- 1) ხოკიები დაღაგებულია ანბანის შიხევით.
- 2) *O - Oomycota; Z - Zugomycota; D - Deuteromycota*
- 3) სუკუს გასწვრივ მითითებულია სარკვევის ნომერი ლიტერატურის სიაში და გვერდი

ნიადაგიდან გამოყოფილი სოკოებიდან 16 სახეობის სოკო ჩვენს მიმღერებულა  
შიდა ქართლის პირობებში რეგისტრირებულია სუფრის ჭარხალზე. მათ  
შორის 6 სახეობა აღმონაცემებზე: *Aphanomyces cochlioides*, *Pythium debarianum*, *Phytophthora* sp., *Rhizoctonia aderholdii*, *Alternaria alternata*, *Fusarium oxysporum*, *Phoma betae*.

9 სახეობა — ძირხვენებზე მინდორში და შენახვის პირობებში: *Botrytis cinerea*, *Oospora betae*, *Verticillium lateritium*, *Rhizopus nigricans*, *Mucor parasiticus*, *M. saturninus*, *Fusarium oxysporum*, *Rhizoctonia aderholdii*, *Phoma betae*.

4 სახეობა — სათესლე გორგლებზე: *Perenospora farinicola*, *Rhizopus nigricans*, *Mucor saturninus*, *Phoma betae*.

6 სახეობა — ფოთლებზე: *Perenospora farinicola*, *Alternaria tenius*, *Gloeosporium betae*, *Septoria betae*, *Cercospora beticola*, *Phoma betae*.

ცხრილის მიხედვით ორკვევა აგრეთვე, რომ სოკოების უმრავლესობა 39 სახეობა ნიადაგის ზედაპირზე გვხვდება, 34 სახეობა — 5 სმ-ის სიღრმეზე, 26 სახეობა აღინიშნა 10 სმ-ის სიღრმეზე აღებულ ნიმუშებში, ხოლო 40 სმ-ის სიღრმეზე 6 სახეობის სოკო გამოვლინდა. ნიადაგის სიღრმესთა დაკავშირებით მცირდება მიკრომიცეტების სახეობრივი შედგენილობა, რაც ემთხვევა ლიტერატურულ მონაცემებს (Беккер, Ямрукова, 1960; Литвинов, 1969; Дадалаури, 1973; Дуринина, Великанов, 1984; დადალაური, ქოტეტიშვილი, 1974).

მკლევარების და ჩვენი დაკვირვების შედეგების მიხედვით ეს მოვლენა აისწება მთელი რიგი ეკოლოგიური ფაქტორებით, რომელთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ორგანული ნივთიერებების შემცველობას, ფანგბადისა და ნახშირორჟანგის ფარდობითობას, ტენიანობას, ტემპერატურას, ნიადაგის წყალბადიონთა (pH) კონცენტრაციას, ნალექების რაოდენობას, აგროცენოზებში ჩატარებულ სანიტარულ-პიგიენურ, აგრო-ტექნიკურ ღონისძიებებს, სოკოების ფიზიოლოგიურ თავისებურებებს და სხვა.




ნიადაგის სოკოების რაოდენობრივი ცვალებადეჭურით  
წლის სეზონურ ცილკოან დაკავშირებით

წლის სეზონურ ციკლთან დაკავშირებით, ნიადაგში მიკრომიცეტების სახეობრივი შედგენილობის და რაოდენობის ცვალებადობის პელევის შედეგები მოცემულია მე-14 ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ირკვევა, გაზაფხულზე ნიადაგის ზედაპირზე არებული ნიმუშების ანალიზის მიხედვით, ერთ პეტრის თასში განვითარებული სოკოს კოლონიების რაოდენობა, რაიონების მიხედვით 35-44-ს შორის მერყეობს, შემოდგომაზე კი 45-52-ს აღწევს (სურათი 18). მსგავსი კანონზომიერება აღინიშნა სხვადასხვა სიღრმეზე აღებულ ნიმუშებში.

ერთ პეტრის თასში განვითარებული სოკოების სახეობრივი რაოდენობა, შემოდგომაზე 5-7 სახეობას შორის ცვალებადობს, გაზაფხულზე კი 3-5 სახეობას შორის მერყეობს. ირკვევა, რომ ნიადაგში მიკრომიცეტების სახეობრივი შედგენილობა და მათი რიცხობრივი რაოდენობა, უფრო მეტია შემოდგომაზე, სუფრის ჭარხლის ძირხვენების ამოღების დროს, ვთდრე გაზაფხულზე, მისი თესევის პერიოდში. ეს შეიძლება იმით აიხსნას,



სურათი 18. პეტრის თასში განვითარებული სოკოს კოლონიები 1, 2, 3, 4 – გაზაფხულზე აღებულ ნიადაგის ნიმუშებში; 5, 6, 7, 8 – შემოდგომაზე აღებულ ნიმუშებში



შეიდა ქართლის ზოგიროვან რაიონის ნიადაგის ნიმუშებიდან გამოყოფილი სოფები და სახელმწიფოს რესპუბლიკური რაოდენობა სეზონურ ციკლთან დაკავშირებით

ნიმუშის აღწერის ტრი და სპეციფიკა	ურთ პეტრის თანხი განკითარებული კოდინივის რაოდენობა											
	ნიადგის ზედაპირი		5 სა		10 სა		20 სა		30 სა		40 სა	
აღკითხა	განსურებული	შემოტკიცილი	განსურებული	შემოტკიცილი	განსურებული	შემოტკიცილი	განსურებული	შემოტკიცილი	განსურებული	შემოტკიცილი	განსურებული	შემოტკიცილი
მცხოვა ძალის	41	48	37	43	14	21	6	11	5	8	3	2
კასა გაფოსტერი	43	52	39	47	13	19	5	8	3	6	2	3
კორი ბერძენი	44	48	35	40	16	18	8	10	3	5	3	4
კორი კარიბი	35	47	31	40	11	16	7	11	3	5	2	4
ჭრელი მოხასი	37	48	29	41	18	22	6	12	4	8	3	5
ხაშური სერია	39	45	27	36	10	15	4	9	3	6	3	5
ურთ პეტრის თანხი განკითარებული სოქოვის საახოვნები ჩაოდენობა												
მცხოვა ძალის	4	7	3	6	3	5	2	4	2	3	1	2
კასა გაფოსტერი	5	7	4	6	3	4	2	4	2	2	1	1
კორი ბერძენი	4	6	3	6	2	3	2	2	1	2	1	2
კორი კარიბი	4	5	3	5	2	4	3	4	2	2	1	2
ჭრელი მოხასი	3	6	3	5	1	3	1	3	1	2	1	2
ხაშური სერია	4	6	3	5		3	1	3	1	2	1	1



რომ ზამთარში არასელსაყრელი პირობების შედეგად სოკოების გაშენებულება ფერხდება, მრავალი მათგანი იღუპება და შესაბამისად მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად მცირდება.

მიკოლოგიური და ფიტოპათოლოგიური კვლევის შედეგად გამოიჩინა აგრევე, რომ სუფრის ჭარხლის აღმონაცემების, ძირხვენების, ფოთლების, თესლის დავადების გამომწვევი და ნიადაგში არსებული მიკრომიცეტების უმრავლესობა, პათოგენობით ერთშანობის იდენტურნი არიან და წარმოადგენენ ინფექციის ძირითად წყაროს.

## ნიადაგის აგროქიმიური შედგენილობის გავლენა სოკოების განვითარებაზე

დ. გვდევანიშვილი (1957) მ. საბაშვილი (1965) აღნიშნავს, რომ შიდა ქართლის ვაკის ზონაში გაურცელებულია მდელოს ყავისფერი, ტყის-ყავისფერი, მდელოს აღუვიური, შავენიშვერი და მდელოს ჭაობიანი ნიადაგები. მათ შორის ყველაზე მეტად გვნვდება მდელოს ყავისფერი ნიადაგები. აღნიშვნული ნიადაგები სასიათლებათ კარგი მიკროაგრუეგატულობით და სტრუქტურით, რაც აპირობებს მათ ხელსაყრელ წყალგამტარ და ჰაერგამტარ თვისებებს (ანჯაუარიძე 1970; ლატარეა, 1977; ურუშაძე, 1997).

შიდა ქართლის ნიადაგების აგროქიმიური შედგენილობა შესწავლილი აქვთ მ. საბაშვილს (1965), შ. ნადარეიშვილს (1967), ნ. გოგინაშვილს (Гогинашвили, 1983), თ. ურუშაძეს (1997) და სხვა მკვლევარებს. მათი მონაცემების მიხედვით ნიადაგის 0-20 სმ-ის ფენაში ჰუმუსის შემცველობა საშუალოდ 3,04%-ია, 20-40 სმ-ის ფენაში 2,87%. საერთო აზოტის – შესაბამისად 0,21 და 0,19%. საერთო ფოსფორის – 0,17 და 0,15%.

განისილავენ რა ნიადაგის და სოკოების ურთიერთდამოკიდებულებას მკვლევარები (Tapp, 1975; Мирчинк, 1976; Жизнь растений, 1976) აღნიშნავენ, რომ ნიადაგში სოკოების განსახლებაზე უდიდეს გავლენას ახდენს ნიადაგის ფიზიკური თვისებები, ქიმიური შედგენილობა და სხვა. მუკე ნიადაგში სოკოების რიცხობრიობა და სახეობრივი მრავალფეროვნება უფრო მეტია, ნეიტრალურთან შედარებით, ნიადაგის ზედ ფენები უფრო მდიდარია სოკოების სახეობრივი შედგენილობით და რაოდენობით ქვედა ფენებთან შედარებით, რაც გამოწვეულია ორგანული ნივთიერებების



სიმცირით. ნიადაგის გაკულტურება იწვევს სოკოების რიცხობრივობის ზრდას მის ქვედა ფენებში.

სოკოების სახეობრივ შედგენილობაზე და მათ ვერტიკალურ განაწილებაზე, ყამირი და ათვისებული ნიადაგების აგროქიმიურ მაჩვენებლების გავლენის შესწავლის შედეგები მოცემულია მე-15 ცხრილში.

ნიადაგის აგროქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრის შედეგად გამოირკვა, რომ ყველა გამოკვლეული ნიადაგის ნიმუშებში ჰუმუსის რაოდენობა

### ცხრილი 15

ყამირი და ათვისებული ნიადაგების აგროქიმიური  
მაჩვენებლების გავლენა ნიადაგის სოკოებზე

ნიმუშების აღტოს სიღრძე სმ	ათვისებული ნიადაგი					გამირი ნიადაგი				
	ჰექტარი, %	საერთო აბოტი, %	სიგრძე ფენი, %	pH	ურთი ჰექტარის თანმიმ განვითარებული სიკურეტო სახურავის რაოდენობა	ჰექტარი, %	საერთო აბოტი, %	სიგრძე ფენი, %	pH	ურთი ჰექტარის თანმიმ განვითარებული სიკურეტო სახურავის რაოდენობა
გორის რაიონი, ბერბუკი										
ნიადაგის ზღვაპირი	3,05	0,18	0,16	7,9	6	3,12	0,20	0,17	7,6	3
5	3,08	0,19	0,16	8,0	6	3,10	0,20	0,16	7,7	3
10	2,87	0,18	0,15	8,0	4	3,06	0,19	0,16	7,8	2
15	2,73	0,17	0,15	8,0	3	3,22	0,19	0,15	7,8	1
20	2,48	0,15	0,14	8,1	2	3,04	0,18	0,15	7,9	0
30	2,32	0,14	0,14	8,2	2	3,02	0,18	0,13	8,0	0
გორის რაიონი, ვარიანი										
ნიადაგის ზღვაპირი	2,15	0,15	0,15	7,8	5	3,08	0,22	0,18	7,7	4
5	2,48	0,16	0,14	7,8	5	3,06	0,22	0,18	7,7	2
10	2,38	0,15	0,13	7,8	4	3,04	0,20	0,16	7,8	2
15	2,27	0,14	0,13	7,9	4	3,04	0,20	0,15	7,9	1
20	2,27	0,13	0,12	8,1	2	2,80	0,18	0,14	8,0	1
30	2,02	0,13	0,12	8,2	0	2,80	0,17	0,14	8,1	0
გუბერიას რაიონი, ბალინი										
ნიადაგის ზღვაპირი	2,80	0,19	0,17	7,9	7	3,10	0,24	0,18	7,6	4
5	2,80	0,19	0,16	7,9	6	3,10	0,23	0,17	7,7	3
10	2,79	0,17	0,16	8,1	5	3,08	0,24	0,17	7,8	2
15	2,78	0,15	0,14	8,1	5	3,07	0,22	0,16	7,9	1
20	2,60	0,14	0,14	8,2	3	3,07	0,20	0,15	8,0	1
30	2,60	0,14	0,13	8,2	2	2,06	0,18	0,14	8,1	0

**შენიშვნა:** ცხრილში მოტანილია მონაცემები შემოდგრძნაშე აღებული ნიმუშებიდან (კრიო ჰეტრის თანამდებობის განვითარებული სოკოების სახეობების რიცხობრივი რაოდენობა).



სჭარბობს ყამირ ნიადაგში, ათვისებულ ნიადაგბოთან შედარებით დამოკიდებულებას ამჟღავნებს აზოტის და ფოსფორის საერთო რაოდენობა. კერძოდ, ბერბეკის საცდელ სადგურში აღებულ ნიმუშებში თუ ათვისებულ ნიადაგებში, ნიადაგის ზედაპირზე ჰქონდება 3,05%, 0,18 % და 0,16%-ია, ყამირ ნიადაგებში ეს მონაცემები – 3,12%, 0,20%, 0,17%-ის ტოლია.

ნიადაგის სიღრმესთან დაკავშირებით აღნიშნული მონაცემების რაოდენობა კანონზომიერად მცირდება და 30 სმ სიღრმეზე ათვისებულ ნიადაგში ჰქონდება 2,32%-ის, საერთო აზოტის 0,14%-ის და საერთო ფოსფორის რაოდენობა 0,14%-ის ტოლია, ყამირ ნიადაგებში ეს მონაცემები შესაბამისად 3,02%, 0,18% და 0,13%-ია, ნიადაგის ზედაპირზე pH-ის რაოდენობა, ათვისებულ ნიადაგში სჭარბობს ყამირ ნიადაგში მის რაოდენობას. ნიადაგის სიღრმესთან დაკავშირებით მისი რაოდენობა იზრდება. ასე მაგალითად, თუ ათვისებული ნიადაგის ზედაპირზე pH 7,9-ის ტოლია, 30 სმ-ის სიღრმეზე 8,2-ს აღწევს, ყამირ ნიადაგში pH-ის რაოდენობა 7,6-დან 8,1-მდე ცვალებადობს.

მსგავსი შედეგებია მიღებული გორის რაიონის ვარიანტა და მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის ნიადაგის ანალიზის შედეგებში.

თუ შევადარებო ნიადაგის სოკოების სახეობრვ მრავალფეროვნებას და რიცხობრივ რაოდენობას ნიადაგის აგროქიმიურ მაჩვენებლებს, ირკვევა, რომ ნიადაგში მიკობიტის განვითარებას ხელს უწყობს ჰქონდება, საერთო აზოტის და საერთო ფოსფორის მაღალი შემცველობა და ნიადაგის სუსტი ტუტე რეაქცია. ნიადაგის ზედაპირზე და 5 სმ. სიღრმეზე არებულ ნიმუშებში ერთ პეტრის თასში განვითარებული სოკოების რიცხობრივი და სახეობრივი რაოდენობის შედარებითი მრავალფეროვნება ამითაც უნდა იყოს განკირობებული.

ნიადაგის სიღრმესთან დაკავშირებით, აღნიშნული მონაცემების ცვალებადობა იწვევს სოკოების სახეობრივი და რიცხობრივი რაოდენობის შემცვირებას, როგორც ათვისებულ, ისე ყამირ ნიადაგებში. ასე მაგალითად, გორის რაიონის ბერბეკის საცდელი სადგურის ათვისებული ნიადაგის ზედაპირზე და 5 სმ სიღრმეზე აღებულ ნიმუშებში (ერთ პეტრის თასში) განვითარებული სოკოს სახეობების რიცხობრივი რაოდენობა 6-ის ტოლია, 10 სმ-ის სიღრმეზე 3-ს არ აღემატება, ხოლო 20, 30 სმ-ის სიღრმის ნიმუშებში 2-ის ტოლია.



ყამირი ნიადაგებილან აღნაულ ნიმუშებში სოკოს სახეობების რიცხვებით რაოდნობა საერთოდ მნიშვნელოვნად მცირება. კერძოდ, ნიადაგის ზედაპირზე და 5 სმ-ის სიღრმის ნიმუშებში 3-ის ტოლია, შემდეგ მისი რაოდნობა სიღრმესთან დაკავშირებით მცირდება და 30 სმ-ის სიღრმის ნიმუშებში სოკოს სახეობები თითქმის არ გვხდება. მსგავსი შედეგებია მიღწეული სხვა ნიადაგების შემთხვევაშიც. მიღწეული შედეგები ემთხვევა ლიტერატურულ მონაცემებს (Мирчиник, 1976; Tapp, 1975).

თუ შევადარებთ ერთმანეთს ათვისებული და ყამირი ნიადაგების სოკოების რიცხობრიობას ნიადაგის ვერტიკალურ ზონალობასთან დაკავშირებით, ირკვევა, რომ ათვისებულ ნიადაგში სოკოების რაოდნობა (ერთ პერტის თასში განვითარებული კოლონიების მიხედვით) მნიშვნელოვნად სჭარბობს ყამირი ნიადაგების შესაბამის შედეგებს. ასე მაგალითად, თუ გორის რაიონის ბერბუკის საცდელი სადგურის ათვისებული ნიადაგის ზედაპირზე აღებულ ნიმუშებში 6 სახეობის სოკო გამოვლინდა, ყამირი ნიადაგის ნიმუშებში – მხოლოდ 3 სახეობა აღინიშნა. 30 სმ სიღრმის ნიმუშებში კი ათვისებული ნიადაგის შემთხვევაში თუ 2 სახეობის სოკო აღინიშნებიდა, ყამირი ნიადაგის ნიმუშებში არც ერთი სახეობა არ აღინიშნა. მსგავსი შედეგებია მიღწეული მცხვოის რაიონის ძალისის ნიადაგების ნიმუშებშიც.

ნიადაგის ზედაპირიდან აღებული ნიმუშების მიკოლოგიური კვლევის შედეგად გორის რაიონის ბერბუკის საცდელი სადგურის ათვისებული ნიადაგებილან აღებულ ნიმუშებში გამოვლინდა შემდეგი სოკოები: *Rhizoctonia aderholdii*, *Alternaria tenius*, *Verticillium albo-atrum*, *Fusarium orthoceras*, *Cladosporium herbarium*, *Phompsis dauci*, *Mucor saturninus*, *Penicillium verticilloides*, *Aspergillus orizae*.

გორის რაიონის სოფელ ვარიანის (კერძო პირის) ათვისებული ნიადაგის ზედაპირზე აღებულ ნიმუშებში აღინიშნა: *Cephalosporium glutineum*, *Murogenella terrophila*, *Alternaria tenius*, *Graphium bulbicola*, *Fusarium solani*, *Mucor recurvus*, *M. plumbeus*, *Aspergillus clavatus*, *A. lutescens*, *Penicillium roseum*.

მცხვთის რაიონის ძალისის ათვისებული ნიადაგიდან აღებულ ნიმუშებში გვხდებოდა შემდეგი სოკოები: *Perenospora farinicola*, *Rhizopus oryzae*, *Rhizoctonia aderholdii*, *Fusarium semitectum*, *Melanconium sphaeroideum*, *Mucor saturninus*, *Aspergillus clavatus*, *Penicillium verticilloides*, *P. roseum*. იგივე რაიონების აუთვისებელი ნიადაგებიდან აღებული ნიმუშებიდან

გამოყოფილი სოკოების სახეობრივ შემაღენლობაში მკვეთრი უწყვეტებელია არ შეინიშნებოდა. ნიადაგის ზედაპირიდან აღბულ ნიმუშებში აღინიშნა შემდეგი სახეობები: *Alternaria tenius*, *Circinella rigida*, *Cladosporium epiphyllum*, *Mucor bacilliformis*, *Aspergillus candidus*, *A. lutescens*, *Penicillium verticilloides*, *P. funiculosum*, *P. roseum*.

ნიადაგის სიღრმეში (20 სმ) აღინიშნებოდა შემდეგი სოკოები: *Circinella rigida*, *Trichodrma koningii*, *Cephalosporium ramosum*, *Penicillium verticilloides*, *Alternaria alternata*, *Fusarium orthoceras*, *F. oxysporum*, *Aspergillus clavatus*, რაც იმაზე მოუთითებს, რომ ათვისებულ და აუთვისებულ ნიადაგებში სოკოები ქმნიან შესაბამის პოპულაციებს, ნიადაგის მცენარეული საფარის და აგროქიმიური შედგენილობის მიხედვით. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ნიადაგის სოკოების განვითარებაზე გავლენას ახდენს ნიადაგში ჰუმუსის, საერთო აზოტის, ფოსფორის და მისი pH-ის რაოდენობა — მავარინობა.

ათვისებული ნიადაგის ნიმუშებში სოკოების პოპულაციების რიცხობრიობა და სახეობრივი შედგენილობა სჭარბობს აუთვისებულ ნიადაგებში მათ რაოდენობას. აუთვისებულ ნიადაგებში სოკოების პოპულაციების სახეობრივი შედგენილობა უფრო სტაბილურია, ათვისებული ნიადაგის სოკოების პოპულაციებთან შედარებით.

ნიადაგის სიღრმესთან დაკავშირებით კანონზომიერად მცირდება პოპულაციების სახეობრივი შედგენილობა. თუ ათვისებულ ნიადაგში 30 სმ სიღრმეზე სოკოს რამდენიმე სახეობა გვხვდება, აუთვისებულ ნიადაგში მათი რაოდენობა მკვეთრად მცირდება და ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნულ სიღრმეზე სოკოს არც ერთი სახეობა აღარ გვხვდება.

## ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა

სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებების გავლენა  
სუფრის ჭარხლის სოკოვან დავადებებზე

ჭარხლის უხვი და მაღალხარისხოვანი მოსავლის მიღებისათვის აუცილებელია მავნებელ-დაავადებების და სარეველების წინააღმდეგ შესაბამისი ეფექტური ღონისძიებების შერჩევა და მათი კომპლექსურად



გამოვენდა. სწორად შერჩეული, ღროულად და სარისხიანად ჩატარებული ლონისძიებები მნიშვნელოვნად ამცირებს მავნებელ-დავადებების გავრცელებას და განვითარების ინტენსივობას.

ცნობილია, რომ ჭარხლის სოკოვანი დაავადებების ინფექციის მირითად წყაროს წარმოადგენს დაავადებული თესლი, მცენარეული ნარჩენები და ნიადაგი. გაზფხულზე ინფიცირებული თესლის თესვა ან ინფიცირებული სათესლე ძირხვენების გადარგვა, ნიადაგში იწვევს ინფექციის ახალი კერების გაჩენას.

გ. გვგნავა (1976) მ. ბერიანიძე, ო. ანთაძე, (1973), ლ. წივილაშვილი (2001) აღნიშვნავენ, რომ ნიადაგის გასუფთავება მცენარეული ნარჩენებისაგან, სარეველების მოსპობა, თესლბრუნვა, სასოფლო-სამურნეო კულტურების მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი საშუალებაა და ხშირად გადამწვეტ როლს ასრულებს.

ჭარხლის სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ სანიტარულ-ჰიგიენური და აგროტექნიკური ლონისძიებების აუცილებლობაზე და ეფექტურობაზე მიუთითებენ რიგი ავტორები (Муромцев, Черняква, Лагутина, 1979; Орехова, 1976, 1981 და სხვა) აღნიშნული ბრძოლის ლონისძიებები მითითებულია ყველა იმ რეკომენდაციებში, რომელიც შემუშავებულია ჭარხლის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით (შაქრის ჭარხლის მავნებლებისა და ავადყოფობების წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუქცია, 1958; Шуканов, 1973; მ. ბერიანიძე, ო. ანთაძე, 1978; Петруха, Пожар и др., 1981) ყოფილი საბჭოთა კავშირის რესუბლიკებში და საქართველოში.

ეკოლოგიურად სუფთა, საღი, მაღალხარისხოვანი და უხვი მოსავლის მისაღებად აუცილებელი პირობაა, სანიტარულ-ჰიგიენური ლინისძიებების ჩატარება. ჭარხლის სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საჭიროა: ნაკვეთის გასუფთავება მცენარეული ნარჩენებისაგან, სარეველების მოსპობა, თესლბრუნვა, სათესლედ საღი ძირხვენების შერჩევა, საღი თესლის თესვა.

ნიადაგში არსებული მცენარეული ნარჩენები წარმოადგენს იფექციის წყაროს და იწვევს სუფრის ჭარხლის აღმონაცემების დაავადებას. ხშირ შემთხვევაში ინფექცია გადადის ზრდასრული მცენარეების ძირხვენებზე, თესლზე. მოსავლის აღების დროს ისინი საცავში მიჰყვებიან და ხელსაფრელი

პირობების შემთხვევაში იწვევენ ძირზენების ლპობას, თესლის მაჟისფითა ხარისხის დაჭვითებას.

სანიტარულ-ჰიგიენური ღინისძიებების დროულად და ხარისხიანად ჩატარება მცენარეული ნარჩენების ნაკვეთიდან გატანა უზრუნველყოფს: მცენარეების ნორმალურად ზრდა-განვითარებას, ინფექციის მარაგის შემცირებას და მცენარეების სოკოვანი დაავადებისაგან დაცვას.

სუფრის ჭარხლის (ჯიში “ბორდო 237”) სოკოვანი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის სანიტარულ-ჰიგიენური ღინისძიებების გავლენის შეწავლის შედეგები ნახევრად ლაბორატორიულ პირობებში მოცემულია მე-16 ცხრილში.

### ცხრილი 16

დაავადებული მცენარეული ნარჩენების გავლენა  
სუფრის ჭარხლის აღმონაცენებზე

ცდის ვარიანტი	ჩათვალი თესლი	აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა		დაავადებული მცენარეების რაოდენობა	
		ცალი	%	ცალი	%
სტრილური ნიადაგი	დეზინფიცირებული 0,5%-იან კარბონატის სინარჩევი	36	100	0	0
	არადეზინფიცირებული	34	94,4	9	0,8
დაავადებული მცენარეული ნარჩენებით ინფიცირებული ნიადაგი	დეზინფიცირებული 0,5%-იან კარბონატის სინარჩევი	27	75,5	5	1,3
	არადეზინფიცირებული	23	63,8	8	2,2

მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე გამოირკვა, რომ სტერილურ ნიადაგში კალიუმისპერმანგანატის 0,5% ხსნარში დამუშავებული თესლიდან აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა 100%-ის ტოლია. იმავე ნიადაგში არადეზინფიცირებული თესლიდან აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა 94,4%-ია. სხვაობა მათ შორის 5,6%-ი ვფიქრობთ თესლის ინფიცირებით უნდა იყოს გამოწვეული.

დაავადებული მცენარეული ნარჩენებით ინფიცირებულ ნიადაგში დეზინფიცირებული თესლიდან აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა 75,5%-ია, არადეზინფიცირებულიდან – 63,8%. მათ შორის სხვაობა 11,7% დაავადებულ მცენარეულ ნარჩენებზე განვითარებული სოკოებით გამოწვეული დაღუპული მცენარეების რაოდენობის მაჩვენებელია.



გამოირკვა აგრეთვე, რომ კალიუმისპერმანგანატის 0,5%-იან ბჟეშაულით დამუშავებული თესლის ჩათვევისას სხვადასხვა სტერილურ ნიადაგში, აღმონაცენებზე დაავადება არ გამოვლინდა. სხვადასხვა სოკოებით დაავადებული მცენარეული ნარჩენებით ინფიცირებულ ნიადაგში, დეზინფიცირებული თესლის ჩათვევისას, დაავადებული მცენარეების რაოდენობა 1,3%-ის ტოლი იყო, არადეზინფიცირებული თესლის შემთხვევაში კი 2,2%.

მიკროსკოპული კვლევის შედეგად დაავადებულ მცენარეებზე გამოვლინდა სოკოები: *Alternaria*-ს, *Phoma*-ს, *Fusarium*-ის და *Cladosporium*-ის გვარიდან. რაც იმაზე მიუთითებს, რომ მცენარეული ნარჩენები ნამდვილად წარმოადგენს ინფექციის წყაროს. სუფრის ჭარხლის დაავადებების თავიდან აცლების მიზნით, აუცილებელია სანიტარულ-პიგინური ღონისძიებების ჩატარება, ნიადაგის გასუფთავება მცენარეული ნარჩენებისაგან.

### გამა დახივების გავლენა სუფრის ჭარხლის თესლის ხარისხზე და სოკო *Phoma betae*-ზე

გამა დასხივების გავლენა სხვადასხვა ბოსტნეული კულტურების სოკოვანი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით მრავალი მკვლევარის მიერ არის შესწავლილი. საქართველოში აღნიშნულ საკითხებზე საინტერესო მონაცემები აქვთ მიღებული გ. წილოსანს (1967), ც. ფეიქრიშვილს (Пенкришвили, 1979), ნ. გოძიანს, ვ. ფეიქრიშვილს (Гозян, Пенкришвили, 1980, 1990), თ. კუპრაშვილს (1997) და სხვა ავტორებს.

ღლემდე შესწავლელია გამა დასხივების გავლენა სუფრის ჭარხლის თესვით ხარისხზე და მისი დაავადების გამომწვევ სოკოებზე.

კვლევის პერიოდში მიზნად დავისახეთ შევესწავლა გამა დასხივების გავლენა სუფრის ჭარხლის თესლის თესვით ხარისხზე. დაგვედგინა სოკო *Phoma betae*-ს სიცოცხლისუნარიანობაზე მოქმედი ოპტიმალური და ღეტალური დოზები და განგვესაზღვრა სუფრის ჭარხლის ფორმოვსისის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით თესლის თესვისწინა დამუშავებისათვის გამოსაყენებელი ოპტიმალური დოზა.

გამა დასხივების გავლენის შესწავლის შედეგები სუფრის ჭარხლის თესვით ხარისხზე და სოკო *Phoma betae*-ს განვითარებაზე მოცემულია მე-17 ცხრილში.

## ცხრილი 17


გამა დასხივების გავლენა სუფრის ჭარბლის თესლით თესვით ზარისხზე  
და სოკო *Phoma betae*-ს პათოგენობაზე

დასხივების დოზა გრ/ტ	გაღიერების უძრავია, %	P	გაღიერების უძრავია, %	P	დაუკავშული ლილების რაოდენობა, %	P
საკონტროლო	56,4	1,8	67,8	1,8	17,4	1,6
10	57,8	2,2	70,0	1,8	18,1	1,6
20	59,6	2,2	70,6	1,6	20,0	1,6
30	60,4	1,6	72,4	1,6	21,9	2,0
40	61,2	1,6	73,8	1,6	22,4	2,2
50	64,6	1,8	74,6	2,2	23,0	2,2
60	62,8	1,8	75,2	2,2	24,2	1,8
70	64,4	2,1	76,6	2,4	20,0	1,8
80	64,6	2,2	77,8	2,6	16,4	1,8
90	67,2	2,2	78,6	2,1	13,2	2,0
100	69,4	1,8	85,0	2,2	8,2	2,2
120	71,2	1,8	86,2	1,2	6,0	2,4
150	72,6	1,2	78,2	1,8	4,6	2,4
200	60,2	1,2	71,4	1,8	2,0	2,2
250	56,0	2,0	64,8	1,2	1,2	2,2
300	51,8	2,2	53,6	2,4	1,0	1,4
400	46,4	3,0	48,8	2,2	0,8	1,2
600	28,3	2,8	32,2	2,2	0,4	2,4
800	18,4	1,4	20,3	2,4	0,2	1,2
1000	8,2	1,8	11,6	2,4	0	0


შენიშვნა:  $P<5\text{-}\%$

გამოირკვა, რომ დასხივების დაბალი დოზა – 10 გრეიც კი მასტი-  
მულირებელ გავლენას ახდენს თესლზე. უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც  
იზრდება თესლის გაღივების ენერგია (1,4%) და გაღივების უნარი  
(2,2%). დასხივების დოზის მატების შესაბამისად იზრდება თესლზე მისი  
მასტიმულირებელი მოქმედება. 100-120 გრეით დასხივების შედეგად  
თესლის გაღივების ენერგია შესაბამისად 14,8-16,2%-ით და გაღივების

უნარი – 17,2-18,4%-ით იზრდება (სურათი 19). 150 გრეთ დასხივებული შეინიშნება თესლის თესვითი ხარისხის შემცირება. 800-1000 გრეთ დასხივებული თესლის გაღივების ენერგია 18,4-8,2%-ს და გაღივების უნარი 20,3-11,6%-ს არ აღემატება, ლიტერატურულ წყაროებზე (წილისანი, 1967; ნოზაძე, ასათიანი, ალადაშვილი, 1983; თ. კუპრაშვილი, 1997; დუბნინ, 1961; ვოლკოვ, ლიპინ, ჩერკასოვ, 1964; ჭინარაული, 1988) დაყრდნობით, ეს შეიძლება აიხსნას გამა დასხივების შედეგად თესლში მიმდინარე ბიოქიმიური, ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებებით.



1



2

სურათი 19. 1 – 10 კ. რადიო დასხივებული და 2 – საკონტროლო დაუსხივებელი სუფრის ჭარბლის თესლის გაღივება

სოკო *Phoma betae*-თი დაავადებული ღივების აღრიცხვის შედეგად გამოირკვა, რომ დასხივების დაბალი დოზები მასტიმულირებლ გავლენას ახდენენ დაავადების გამომწვევ სოკოზე. კერძოდ, საკონტროლო ვარიანტთან შედარებით 10-60 გრეთ დასხივებულ თესლზე, დაავადებული ღივების რაოდნობა 0,7%-დან 6,8%-მდე გაიზარდა. 70 გრეთ დასხივების შედეგად შეინიშნება გამა დასხივების მაღეზინფიცირებული უნარის ზრდა. 100-120 გრეთ დასხივების შემთხვევაში, საკონტროლო ვარიანტთან შედარებით, დაავადებული ღივების რაოდენობა შესაბამისად 9,2-11,4%-ით არის შემცირებული. დასხივების მაღალი დოზები – 800-1000 გრეთ, სრულად უპერატურულ თესლს სოკოვანი დაავადებისაგან – (0,2%-0), მაგრამ უარყოფითად მოქმედებს თესლზე.



ნაჟევრადლაბორატორიულ პირობებში ჩატარებული ცდების გამოირკვა, რომ 100-120 გრეთ დასხივებული თესლიდან აღმოცენებული მცენარეების რაოდენობა შესაბამისად 18,4-21,6%-ით აღემატება საკონტროლო ვარიანტში აღმოცენებული მცენარეების რაოდენობას. ამასთანავე, მცენარეების სიმაღლე საშუალოდ 1,2-2,0 სმ-ით და ერთი მცენარის ბიომასა საშუალოდ 0,8-1,4 გ-ით აღემატება საკონტროლო ვარიანტში აღმოცენებული მცენარეების იგივე მონაცემებს.

ლაბორატორიის პირობებში, ოპტიმალურ ტემპერატურაზე ( $22^{\circ}\text{C}$ ), 100-120 გრეთ დასხივებული სოკო *Phoma betae*-ს გაღივებული სპორების რაოდენობა 8 სო-ის შემდეგ შესაბამისად 28,2-30,7%-ის, ხოლო 24 სო-ის შემდეგ 34,8-42,2%-ის ტოლია. საკონტროლო ვარიანტში შესაბამისად – 88,8% და 100%-ს აღწევს.

800-1000 გრეთ დასხივებული სპორების გაღივების უნარი 24 სო-ის შემდეგ 6,3% და 8,6%-ს არ აღემატება, რაც ესადაგება შესაბამისი დოზებით დასხივებული სუფრის ჭარხლის თესლზე სოკო *Phoma betae*-ს გამოვლენას.

მიღებული შედეგების საფუძველზე ირკვევა, რომ გამა დასხივების დაბალი დოზები 10-60გრე მასტიმულირებელ გავლენას ახდენს როგორც თესლზე, ისე სოკო *Phoma betae*-ს პათოგენობაზე. დასხივების დოზების მატების შესაბამისად, იზრდება მისი მაღეზინფიცირებელი უნარი.

100-120 გრეთ დასხივება ზრდის თესლის გაღივების ენერგიას (14,8-16,2%) და გაღივების უნარს (17,2-184%), აუმჯობესებს აღმონაცენების განვითარებას, ზრდის მის ბიომეტრულ მაჩვენებლებს. იგივე დოზები ამცირებენ სოკო *Phoma betae*-ს სპორების გაღივებას და შესაბამისად 9,2-11,4%-ით ამცირებენ დაავადებული ღივების რაოდენობას.

ლეტალური დოზა 800-1000 გრე უნებელპყოფს სუფრის ჭარხლის თესლს სოკო *Phoma betae*-ს ინუქციისაგან, მაგრამ შესაბამისად გაღივების ენერგიას ამცირებს 18,4-8,2%-მდე და გაღივების უნარს 20,3-11,6%-მდე.

ამრიგად, სუფრის ჭარხლის თესლის გაუსწოვნების და თესვითო ხარისხის გაუმჯობესების ოპტიმალური დოზაა 100-120 გრე.

